

060000000
2018-09-15


პ. ბუჭუ



პატიოლოგი ცეკვები




«ნაკადული»



Յ. ՃԱՀԻԿՅԱ

ՑԱՐԱՐԵՄՈՒ
ԸՆԴԱՐԾԵ



«ՆԱԽԱՂԱՎԱՐ»

19 ԹՆԸՆԸՆ 67

ՅԱՐԱՐԵՄՈՒ
ԸՆԴԱՐԾԵ

355 (C 41) (09)
355 (47.922) (09)
8 993



Կ 264.433
3

ԵՎՐԱ	ՅԱՅԻ	ՅԱՅԻ	ՅԱՅԻ
ՅԱՅԻ	ՅԱՅԻ	ՅԱՅԻ	ՅԱՅԻ
ՅԱՅԻ	ՅԱՅԻ	ՅԱՅԻ	ՅԱՅԻ
ՅԱՅԻ	ՅԱՅԻ	ՅԱՅԻ	ՅԱՅԻ


წინასითა 3

ხალხთა ისტორია უკეთესი ცხოვრებისა და თავისუფლებისათვის შეუწყვეტელ შრომასა და ბრძოლაში დაღვრილი ოფლითა და სისხლით იწერებოდა. შინაური თუ უცხო მტრების წინააღმდეგ მიმართული ეს ბრძოლა ხანგრძლივი და მძიმე იყო. დრო მიდიოდა, თაობას თაობა ენაცვლებოდა, მშრომელის ხედრი კი ისევ სიღარიბე, უუფლებობა და ძლიერთა და მდიდართა მორჩილება იყო. მაგრამ უკვალოდ არ ქრებოდა გარდასულ თაობათა ნაღვაწი, წინა თაობის ბრძოლისა და შრომის გამოცდილება მომდევნო თაობას გადაეცემოდა და ადამიანთა საზოგადოება თანდათანობით წინ მიდიოდა.

უაღრესად რთული და სისხლიანი იყო ის გზა, რომელიც გამოიარა ქართველმა ხალხმა დღევანდელ დღემდე. ცოდნა იმისა, თუ როგორი იყო ეს გზა, როგორ და რა საშუალებით გახდა შესაძლებელი ფიზიკური და ეროვნული არსებობის შენარჩუნება, როგორ იცავდნენ ჩვენი წინაპრები თავიანთ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას მრავალრიცხოვანი დამპურობლებისაგან, ჩვენი პატრიოტული მოვალეობაა.

ისტორიული წარსულის ცოდნა მხოლოდ ადამიანის ცნობისმოვარეობის დაქმაყოფილებას როდი ემსახურება; ეს ცოდნა, უპირველეს ყოვლისა, აწმყოსა და მომავლის უკეთესი გაგებისა და, ამგვარად, ადამიანთა შეგნებული და მიზანდასახული შრომის ხელშემწყობი საშუალება და იარაღია. ამიტომაა, რომ ჩვენში დიდია მოთხოვნილება ასეთი სახის პოპულარულ საკითხავ წიგნებზე.

ამ წიგნში მოთხრობილია ქართველი ხალხის უმნიშვნელო-
ვანესი თავდაცვითი ბრძოლების ამბები ძველი ისტორიული მდგრა-
ნასკნელ და შუა საუკუნეების ისტორიის პირველ პერიოდში.
ქრონოლოგიურად ეს ხანა მოიცავს დროს — ძველი წელთაღ-
რიცხვის პირველი საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის მეათე
საუკუნემდე.



I

პრემიუმ რომანი და პარტიულ-ირანელი და გამოცემული წინააღმდეგ

პომაზის შემოსივა

ძველი წელთაღრიცხვის 66-65 წლების ზამთარი იწურებოდა. უჩვეულო სანახავი იყო იმ დღეებში ქართლის დედაქალაქი და მისი გარეუბანი. ქალი და კაცი, დიდი და პატარა, სხვადასხვა წოდების, ხელობისა და მდგომარეობის აღამიანები, საზოგადოების ყველაზე უფლებო წევრები — გატანჯული და განაწიამები მონებიც კი ყოველდღე თვალცრუმლიანი ევედრებოდნენ უმაღლეს ღვთაებას ქართლის გადარჩენას. არტაგ მეფის ოქროს ტახტებით და ძვირფასი ფარდავებით მორთულ სასახლეში თავი მოეყარათ ქართლის წარჩინებულებს და შეშფოთებულნი მსჯელობდნენ მოახლოებულ საფრთხეზე. მოსალოდნელი უბედურების ამბავი შორეულ სოფლებშიც გაეგოთ. დედაკაცები აშინებდნენ და აჩუმებდნენ ჭირეეულ ბავშვებს, გაჩერდი, თორემ ბუმბუა მოვა და შეგჭამსო.

რა მოხდა? ვინ იყო ბუმბუა? ეს გახლდათ რომის სახელმწიფოს სარდალი გნეუს პომპეუსი, რომელიც პირველი კაცი იყო რომში არა პირადი ღირსების, არამედ თავისი უზარმაზარი სიმდიდრისა და უპრინციპო პოლიტიკური თაღლითობის წყალობით.

დაინტერესდებით და იყითხავთ, რა უნდოდა რომეს და მეს
სარდალს საქართველოში? რას წარმოადგენდა და რა რეზუსტანცია
ტორიულ გარემოცვაში იმყოფებოდა მაშინ საქართველოში?

რომის სახელმწიფოს საფუძველი მეურნეობის მონათმფ-
ლობელური სისტემა იყო, მონების შეძენის ყველაზე იაფი და
ხელსაყრელი წყარო კი — ომი და დაპყრობა. ამიტომ რომი გა-
ნუშვერდივ ეომებოდა ყველა ხალხსა და ტომს. სიმღიღრისა
და ძალაუფლების დაუმცხრალი წყურვილი ეწეოდა მას სხვა
ხალხების ძარცვა-ჩბევისა და მსოფლიო ბატონობის მოპოვე-
ბისაკენ.

რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს განსაკუთრებუ-
ლი გაძლიერება ძველი წელთაღრიცხვის მესამე-მეორე საუკუ-
ნეებიდან დაიწყო. იტალიის, ჩრდილოეთ აფრიკისა და საბერძ-
ნეთის დამორჩილების შედეგად რომი მთელი ხმელთაშუა
ზღვის მიდამოების უძლიერესი სახელმწიფო გახდა. ამის შემ-
დევ რომის დაპყრობითი პოლიტიკის მახვილი აღმოსავლეთის
მღიღარი ქვეყნების წინააღმდეგ აღიმართა.

აღმოსავლეთში (აზიაში) ძველი წელთაღრიცხვის VI საუ-
კუნეში ჩამოყალიბდა სპარსეთის (ირანის) მონათმფლობელუ-
რი სახელმწიფო. სახელმწიფოს სათავეში აქემენიანთა სამეფო
დინასტია ჩაუდგა და ამის გამო იგი აქემენიანთა სახელმწიფოს
სახელითაც არის ცნობილი. დაპყრობის გზით შექმნილ აქემე-
ნიანთა სამეფოში მოექცა აღმოსავლეთის ძველი კულტურუ-
ლი ქვეყნები: ბაბილონი, ეგვიპტე და სხვა. ეს უზარმაზარი იმ-
პერია გადაჭიმული იყო ინდოეთიდან და სირდარიიდან მაკე-
დონიამდე და მდინარე დუნაის ქვემო წელამდე. ამ სამეფოს
გავლენა საქართველოს სამხრეთ რაიონებამდე ვრცელდებოდა.
ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნეში აქემენიანთა სა-
ხელმწიფო ბერძენ-მაკედონელებმა დაიპყრეს ძველი დროის
უდიდესი და უნიჭიერესი მხედართმთავრის ალექსანდრე მა-
კედონელის წინამდლოლობით. ინდოეთის ოკეანიდან ბალკანე-
თავდე გადაჭიმული ალექსანდრე მაკედონელის უზარმაზარი
იმპერია, აქემენიანთა იმპერიის მსგავსად, განვითარების სხვა-
დასხვა დონეზე მდგარ ხალხთა ნაძალადევი გაერთიანების შე-
ღებად წარმოიშვა. ამიტომაც ეს იმპერია ალექსანდრეს სიკვდი-
ლისთანავე (323 წ. ძვ. წ.) დაიშალა, იგი დაინაწილეს ალექსან-

დრეს მემკვიდრე სარდლებმა. აზია წილად ხვდა ერთ-ერთ
სარდალს — სელევკის და მის შთამომავლებს, ამ უნიტერატებულ
ფოს სელევკიანთა სახელმწიფოს უწოდებენ. სელევკიანთა ვე-
ჯერთელა სახელმწიფოც, მასში შემავალი ქვეყნების განვითა-
რების დონისა და ეთნიკური შემადგენლობის თვალსაზრისით
მეტად ჭრელი და გაერთიანებისათვის საჭირო ეკონომიკურ სა-
ფუძველს მოკლებული იყო. ამ ნიადაგზე უკვე სელევკის სი-
ცოცლეში იჩინა თავი ამ სახელმწიფოს დაშლის ტენდენციამ.
რეცი წელთაღრიცხვის მესამე-მეორე საუკუნეებში სელევკი-
ანთა სახელმწიფოს გამოეცვნენ და დამოუკიდებელ სახელმწი-
ფოდ ჩამოყალიბდნენ პართია, პონტო, სომხეთი და სხვ.

პართიის სახელმწიფოს თავდაპირველად ეჭირა კასპიის
ზღვის სანაპიროს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. სახელმწი-
ფოს სათავეში არშაკიანთა სამეფო დინასტია იდგა. ამიტომ
პართიას არშაკიანთა სახელმწიფოსაც უწოდებენ. დასაწყისში
სახელმწიფოს დედაქალაქი იყო ნისა — ახლანდელი აშხაბადის
ახლოს. პართიის სახელმწიფო გაძლიერდა ძვ. წ. II—I საუ-
კუნეებში. მისი ტერიტორია გადაჭიმული იყო ამუ-დარიიდან
ევფრატამდე, სატახტო ქალაქი იყო კტეზიფონი, მდინარე ტიგ-
როსზე. პართიის სახელმწიფომ ხუთი საუკუნე იარსება (ძვ. წ.
247—ახ. წ. 224 წწ.) და აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწი-
ფოდ ითვლებოდა. პართიის გაძლიერება საფრთხეს უქმნიდა
რომის ინტერესებს აღმოსავლეთში. ამიტომ მათი შექახება
გარდაუვალი გახდა.

პონტოს სამეფოს თავდაპირველად მცირე ტერიტორია ეჭირა
შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე. სახელმწოდება ამ სამეფომ
შავი ზღვის ანუ პონტოს სახელიდან მიიღო. სამეფოს მოსახ-
ლეობის უმრავლესობას ხალიბები, ტიბარენები, კოლხები, მაკ-
რონები და სხვა ქართველი ტომები შეადგენდნენ, დროთა ვი-
თარებაში ზოგიერთი ტომი საკუთრივ ქართული სახელმწიფო-
ების (ეგრისისა და ქართლის) ფარგლებს გარეთ დარჩა. მსოფ-
ლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარეობა და
აზიაში ალექსანდრე მაკედონელისა და მისი მემკვიდრეების
მიერ შექმნილ სახელმწიფოებს შორის გამუდმებული ბრძოლა
პონტოს სამეფოს თანდათანობითი გაძლიერების უმნიშვნელო-
ვანესი საფუძველი იყო. უდიდეს ძლიერებას პონტოს სამეფომ

ნიჭიერი სარდლისა და პოლიტიკოსის — მითრიდატე VI, ევკა-
ტორად (კეთილშობილი) წოდებულის მეფობაში (ძვ.წ. 120-ები
წწ.) მიაღწია. მის დროს პონტოს სამეფომ დაიმორჩილა შავი
ზღვის ჩრდილოეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონები, ყი-
რიმისა და ტამანის ნახევარკუნძულები, მცირე აზიის ნაწილი,
კოლხეთი, მცირე სომხეთი, მაკედონია, საბერძნეთი და სხვა.
მითრიდატე დიდი გავლენით სარგებლობდა მდინარეების:
დნეპრის, დნესტრის და დუნაის ქვედა წელის, ეგეოსისა და აღ-
რიატიკის ზღვების სანაპირო რაიონებში მცხოვრებ სხვადასხვა
მეომარ ტომებზე. პონტოს ასე გაძლიერება საფრთხეს უქმნიდა
რომის სახელმწიფოს მისწრაფებას მსოფლიო ბატონობისაკენ.
ამიტომ პონტოსა და რომის შეჯახებაც გარდაუვალი გახდა.

სომხეთის სახელმწიფო ძეელი წელთაღრიცხვის მეორე სა-
უკუნის დასაწყისში გამოეყო სელევკიანთა სახელმწიფოს.
190 წელს (ძვ. წ.) რომაელები პირველად შეიჭრნენ აზიაში და
ქალაქ მაგნეზიასთან (ეგეოსის ზღვის სანაპიროზე, ახლანდელ
თურქეთში) სასტიკად დაამარცხეს სელევკიანთა მეფე. ამით
ისარგებლეს სელევკიანთა სარდლებმა, რომლებიც სომხეთს
განაგებდნენ, და თავი დამოუკიდებელ მეფეებად გამოაცხა-
დეს. სომხეთის სახელმწიფომ უდიდეს ძლიერებას მიაღწია
ტიგრან II მეფობის (ძვ. წ. 95-56 წწ.) დროს. მაშინ სომხეთის
ვრცელი სახელმწიფო გადაჭიმული იყო კასპიის ზღვიდან
ხმელთაშუა ზღვამდე. სირიას, ფინიკიასა და მესოპოტამიასაც
სომხეთი ფლობდა.

ამრიგად, ძეელი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში რო-
მის სახელმწიფოს აღმოსავლეთში გაბატონებისაკენ მიმართულ
პოლიტიკას ძლიერი მოწინააღმდეგენი აღმოუჩნდნენ პონტოს,
სომხეთისა და პართიის სახით. დასავლეთსა და აღმოსავლეთს
შორის შეურიგებელ წინააღმდეგობათა დიდი და დახლართუ-
ლი ქვანძი შეიკრა, რომელიც იარაღს უნდა გაეჭრა. მალე მე-
ტოქენი ხანგრძლივსა და სისხლისმღვრელ სამკვდრო-სასიცო-
ცხლო ომში ჩაებნენ. გამანადგურებელი ომების ამ სფეროში
ძალაუნებურად მოექცნენ ამიერკავკასიის პატარა ქვეყნებიც—
ალბანეთი (თანამედროვე აზერბაიჯანი) და საქართველო.

თანამედროვე ამიერკავკასიის პირველ მონათმფლობელურ
სახელმწიფოებს — ეგრისს ანუ კოლხეთს, ქართლს ანუ იბე-

რიას, ალბახეთს და სომხეთს ეკონომიური და მამხედომოვანი თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი ტერიტორია ეჭირ-რათ. კავკასიის ფართო ყელი ევროპისა და აზიის უდიდეს მარშრუტების ბელი ხიდი იყო. ამ ტერიტორიაზე გადიოდა აღმოსავლეთის შორეული ქვეყნებიდან — ჩინეთიდან და ინდოეთიდან — შავ და ხმელთაშუა ზღვამდე მომავალი დიდი სავაჭრო გზები. ამი-ტომ, ვინც აღმოსავლეთში გაბატონებას ესწრაფოდა, მისთვის აუცილებელი იყო ამიერკავკასიაში გაბატონებაც. ამიტომ არც ამიერკავკასიის ქვეყნებს ასცდა რომაელ დამპყრობთა მახ-ვილი.

* * *

იმ შორეულ დროში, საიდანაც ჩვენი თხრობა დავიწყეთ (ძ. წ. IV—I საუკუნეები) ქართლისა და ეგრისის სამეფოებს, ისევე, როგორც სომხეთსა და ალბანეთს, სახელმწიფოებრივი ცხოვრების საქმაოდ ხანგრძლივი. გზა ჰქონდათ გამოვლილი. ისინი მონათმფლობელური სამეფოები იყვნენ. დიდ და მტკი-ცე ციხე-სიმაგრეებს, ხიდებს, საზოგადოებრივი დანიშნულე-ბის ნაგებობებს, სამეფო და წარჩინებულთა სასახლეებს, სა-ხელმწიფო შარაგზებსა და სხვას მონები აშენებდნენ. მოსახ-ლეობის ძირითადი ნაწილი, სასოფლო თემების თავისუფალი და ნახევრადთავისუფალი მცხოვრებლები, მიწას ამუშავებდა. ომის დროს ქართული ლაშქრის მთავარი ძალა სწორედ ეს ხალხი იყო. საზოგადოების გაბატონებული წოდების წევრე-ბად ითვლებოდნენ მეფე და მისი საგვარეულო, სამხედრო სა-მოხელეო წარჩინებულნი და ქურუმები. სახელმწიფოს სათა-ვეში იდგა მეფე, რომლის ხელისუფლება მემკვიდრეობით გა-დადიოდა.

ქართლისა და ეგრისის ბარის რაიონები — რიონ-მტკვრის აუზი — მჭიდროდ იყო დასახლებული. იმ დროისათვის მაღალ დონეზე იდგა მიწათმოქმედება — მარცვლეულის მეურნეობა, მევენახეობა-მებალეობა, ვაჭრობა და ხელოსნობა. მსოფლიო მნიშვნელობის ერთ-ერთი სავაჭრო გზა — ინდოეთიდან შავ ზღვამდე — საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა. საზოგა-დოების მაღალ ფენებში ფართოდ იყო გავრცელებული სწავ-

ლა-განათლება. ქართლის იმდროინდელი მდგომარეობის ჭა-
სახასიათებლად საკმარისია მოვიყვანოთ ძვ. წ. I საუკუნეზე შეკ-
ორე ნახევრის და ახ. წ. I საუკუნის პირველი ნახევრის ცენტრ-
ბილი ბერძენი გეოგრაფის — სტრაბონის ცნობა. მისი სიტყ-
ვით, იბერია ძლიერი და მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა, აქ
მრავალია ქალაქი და სოფელი, კრამიტით დახურული და ორქი-
რექტურის წესით აშენებული სახლები, ქულბაქები (სავაჭრო-
დუქნები) და სხვა სავაჭრო შენობები.

ასეთი იყო საქართველოს საერთაშორისო და შინაგანი ვი-
თარების ზოგადი სურათი, როცა მახლობელი აღმოსავლეთის-
ცა რომის სახელმწიფოდან წამოსული შავი ღრუბლებით იფა-
რებოდა.

რომის მონათმფლობელურ სახელმწიფოს, უპირველეს-
ყოვლისა, აზიის სიმდიდრე იზიდავდა. რომაელ წარჩინებუ-
ლებს აზიის გარეშე რომის სახელმწიფოს არსებობა შეუძლე-
ბლად მიაჩნდათ. მშეენივრად გამოხატავდა რომის საზოგადო-
ების ამ ნაწილის აზრებს სახელგანთქმული რომაელი ორატო-
რი და საზოგადო მოღვაწე მარკუს ტულიუს ციცერონი (ძვ. წ.
106-43 წწ.). აზია რომის სახელმწიფო ხაზინის ძირითადი სასი-
ცოცხლო წყაროა, — ამბობდა ციცერონი, — ჩვენ, რომაელები,
ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური სიძლიერის სასიცოცხლო
არტერიებს საგადასახადო სისტემაში ვხედავთ და ამ არტერი-
ების უფრო ხშირი ქსელი აღმოსავლეთიდან მოედინება; აზია
მეტად დოვლათიანი და მდიდარი ქვეყანაა, რომელიც უკან
იტოვებს სხვა პროვინციებს მიწის ნაყოფიერებით, ხილ-ბოსტ-
ნეულის ნაირსახეობით, საძოვრების სივრცით და საექსპორ-
ტოდ ვარგისი პროდუქტების სიჭარბით.

აი, რას ეძებდნენ რომაელები აზიაში და რატომ ვერ წარ-
მოედგინათ მათ აზიის გარეშე არსებობა...

* * *

აზიაში რომაელებს პირველად პონტოს მეფე მითრიდატე VI
შეებრძოლა. პართია ჯერჯერობით თავს იკავებდა აქტიური სა-
ომარი მოქმედებისაგან, რომისა და პონტოს ჭიდილს ფხიზლად

ადევნებდა თვალყურს და მომავალი შეჯახებისათვის გულისხმობა
მით ემზადებოდა. ძველი წელთაღრიცხვის 88 წელს აფასებული
რომისა და პონტოს ომი და შესვენებებით სრულდებოდა მარტინ
საუკუნე გაგრძელდა. ომის დაწყებამდე რამდენიმე წლით იდრე
მითრიდატემ კავშირი შექრა სომხეთის მეფე ტიგრან მეორეს-
თან. ეს კავშირი მითრიდატეს ქალიშვილზე ტიგრანის დაქორ-
წინებით დაგვირგვინდა. პონტო-სომხეთის კავშირის მონაწი-
ლეებად გამოდიოდნენ ქართლი და ალბანეთიც. თავდაპირვე-
ლად მითრიდატეს საქმე კარგად წაუვიდა. მან ადვილად შეძ-
ლო რომაელთა ბატონობით სულშეხუთული ხალხების დარაზ-
მვა და პონტოს ომმა რომის წინააღმდეგ განმათავისუფლებე-
ლი ბრძოლის ხასიათი მიიღო. მაგრამ ასეთი ხასიათი ამ ომს-
არ შეიძლებოდა ბოლომდე ჰქონოდა, რადგან თვით მითრიდა-
ტეც დამპყრობელი და სხვა ხალხების მძარცველი იყო. ამი-
ტომ, როგორც კი ხელსაყრელ მომენტს დაიგულებდნენ, მით-
რიდატეს ბატონობის ქვეშ მყოფი ხალხები თავს არ ზოგად-
ნენ დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის. სხვებთან ერთად
ასე მოიქცნენ კოლხებიც რომისა და პონტოს ომების დროს.

კოლხეთის ძველი ქართული სამეფო, რომელიც ამ
დროისათვის საგრძნობლად დასუსტებული იყო, მითრიდატე დაიმორჩილა ძველი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის დასას-
რულს. იმის ნათელსაყოფად, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა პონტოს მეფე კოლხეთის დამორჩილებას, საქმარისია, მოვიტა-
ნოთ მითრიდატეს ელჩის ჰელოპიდეს სიტყვა, რომლითაც მან
მიმართა რომაელთა მხედართმთავრებს, ჯერ კიდევ ომის დაწყე-
ბამდე. ეს სიტყვა მოჰყავს ახალი წელთაღრიცხვის მეორე სა-
უკუნის რომაელ ისტორიკოსს — აპანეს თავის „მითრიდატეს
ომების ისტორიაში“. თქვენ — ერთგვარი მუქარით ეუბნებო-
და პელოპიდე რომაელ მხედართმთავრებს, — ჩვენს წინააღმ-
დეგ რომ მოქმედებთ და არაფრად გვაგდებთ, მხედველობაში
უნდა იქონიოთ, რომ მითრიდატემ, თავისი ვრცელი მამეული
სახელმწიფოს გარდა, კიდევ ბევრი მეზობელი შეიმატა და მათ
შორის კოლხები, რომლებიც კარგი მეომარი ხალხიაო.

და, აი, ეს დამორჩილებული კოლხები ძველი წელთაღრი-
ცხვით 83 წელს პონტოს აუგანყდნენ. ამავე დროს დაიწყო
აფანყება ბოსფორის სახელმწიფოშიც. ეს სახელმწიფო ძველი

წელთაღრიცხვის V საუკუნეში წარმოიშეა ბერძნულ კოლონი ნიების გაერთიანების შედეგად ქარჩისა და ტამანის მუნიციპალიტეტების კუნძულებზე და შემდეგ მითრიდატე VI-მ დაიპყრო. მითრიდატემ ომი დაიწყო კოლხეთისა და ბოსფორის წინააღმდეგ. კოლხებისა მითრიდატეს მოსთხოვეს, მეფედ შენი ვაერშეილი მითრიდატე დაგვინიშნეო. პონტოს მეფე იძულებული გახდა, დაეკმაყოფილებინა კოლხების ეს მოთხოვნა, რადგან ამ დროს რომაელებთან პონტოს მეორე ომი იწყებოდა. აჯანყებული კოლხეთი დაწყნარდა, მაგრამ მამა მითრიდატემ ეჭვი აიღო, კოლხები ჩემს შვილს წინასწარ ხომ არ შეუთანხმდნენ და დამოუკიდებლობის მოპოვებას ხომ არ ცდილობენო. გამოცდილი პოლიტიკოსის ვარაუდი უსაფუძვლო არ იყო. მითრიდატემ დააჭირინა შვილი, ოქროს ბორკილები დაადო და შემდეგ მოკლა კიდეც.

რომისა და პონტოს ოში თავდაპირველად უპირატესობა მითრიდატეს მხარეზე იყო, მაგრამ შემდეგში მდგომარეობა შეიცვალა. რომაელთა მამაცმა და ნიჭიერება სარდალმა ლუკულუსმა დაამარცხა მითრიდატე, მერე კი პონტოდანაც განდევნა. მითრიდატე 2000 მხედრით სომხეთში გაიქცა... რომი თუ ამიერკავკასიას ვერ დაიმორჩილებდა, აზიაში ვერ გაბატონდებოდა. ამიტომ ლუკულუსმა ლაშქრობა განაგრძო და ძველი წელთაღრიცხვის 69 წელს სომხეთს შეუტია.

რომაელები შეიქრნენ თუ არა სომხეთში, მითრიდატემ ტიგრანს ათიათასიანი ლაშქარი გამოსთხოვა და პონტოსაკენ გამობრუნდა. მითრიდატეს პონტოში გამავრებული რომაული გარნიზონები უნდა ამოეულიტა, ადგილობრივი მოსახლეობა დაერაზმა და შემდეგ ლუკულუსისათვის ზურგიდან დაერტყა. პონტოს მეფემ ტიგრანთან თავისი ერთ-ერთი გამოცდილი სარდალი მრჩევლად დატოვა და თავისი სიძე დაარიგა, რომაელებთან გენერალურ ბრძოლაში არ ჩაბმულიყო, პარტიზანული ომი გაემართა და მტრისთვის სურსათის მომარავების საშუალება არ მიეცა, გაეჭიანურებინა ომი მანამ, სანამ თვითონ მობრუნდებოდა.

ტიგრანმა უზარმაზარ ლაშქარს მოუყარა თავი. ლაშქარში ილბანელთა და იბერიელთა რაზმებიც შედიოდნენ. სომხეთის მეფე განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა იბერიელ შუბოსნებ-

ზე, მამაც და უშიშარ მებრძოლებზე. ტიგრანის მიერ ახლადდა არსებული ალყაშემორტყმული სომხეთის დედაქა ბრძოლა რანაკერტი) მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს. თავისი ლაშქრის სიმრავლითა და რომაელთა სიმცირით გათამამებულ-მა ტიგრანმა დაივიწყა რომაელებთან ბრძოლაში გამოცდილი სიმამრის დარიგება, არ დაუჭერა მითრიდატეს სარდალს და ლუკულუსს ნაჩქარევად გაუმართა გადამწვევტი ბრძოლა. როცა ტიგრანმა რომაელთა შედარებით მცირერიცხვანი ჯარი დაინახა, ირონიული სიცილით მიმართა ახლობლებს: თუ ელჩები არიან — ძალიან ბევრნი წამოსულან, ხოლო თუ მტრები არიან — მეტისმეტად ცოტანიო...

ძველი წალთალრიცხვით, 69 წლის 6 ოქტომბერს ლუკულუსმა სასტიკად დაამარცხა ტიგრანის ლაშქარი. მალე მდიდარი ქალაქი ტიგრანაკერტიც დაეცა. ტიგრანი მიხვდა თავის შეცდომას, მაგრამ უკვე გვიან იყო. მართალია, ლუკულუსმა გაიმარჯვა, მაგრამ სომხეთი საბოლოოდ ვერ დაიმორჩილა. მრავალი წლის მძიმე ლაშქრობით გაწამებულ რომაელთა ლაშქარში თავი იჩინა დიდმა უკმაყოფილებამ. იმავე დროს ლუკულუსს რომიდან არავითარი დახმარება არ მოსდიოდა. დაზამთრდა, ყინვები დაიჭირა. ლაშქარს გაუჭირდა. ჯარისკაცებმა აშკარად განაცხადეს უარი შემდგომ ლაშქრობაზე და ლუკულუსი იძულებული გახდა, უკან დაეხია... ამასობაში მითრიდატე კვლავ გასწორდა წელში და ხელი გამოილო. ამრიგად, ლუკულუსის ბრწყინვალე გამარჯვებას მნიშვნელობა თითქმის დაუკარგა და ყველაფერი ისევ თავიდან უნდა დაწყებულიყო.

ასეთი იყო აღმოსავლეთის საქმეები, როცა რომში ლუკულუსის მაგივრად ახალი მთავარსარდალი გნეუს პომპეუსი დანიშნეს. ძველი წელთალრიცხვით, 66 წელს პომპეუსი მრავალრიცხვანი არმიით პონტოში შეიკრა. მითრიდატე ისევ სომხეთში გაიქცა, მაგრამ ტიგრანი მტრულად შეხვდა. საქმე ის იყო, რომ ტიგრანს აღრე საკუთარი შვილი (მითრიდატეს შვილიშვილი) აუჯანყდა და შვილის აჯანყება მითრიდატეს დააბრალა. მართალია, ტიგრანმა აჯანყება ჩაახშო, ხოლო მეფის-წული პართიაში გადაიხვეშა, მაგრამ ტიგრანსა და მითრიდატეს შორის მტრობა ჩამოვარდა. მითრიდატეს მართლაც ჰქონდა საფუძველი, უკმაყოფილო ყოფილიყო. სიძის მცდარმა სამხედ-

რო ტაქტიკამ რომაელებთან ომის კარგად მოფიქრებული ჰყიდვა
მა ჩაუშალა. ამიტომ, შესაძლოა, მართლაც გადაიბირთვა შეიყვარა
შვილი. ასე იყო თუ ისე, მითრიდატეს სომხეთში აღარ ედგო-
მებოდა, კოლხეთში გაიქცა და ერთ ხანს ქალაქ დიოსკურიიში
(ახლანდელ სოხუმში) დარჩა.

ამასობაში ტიგრანის შეილი ტიგრან მცირე პართელების
ჯარით სომხეთში შემოიჭრა, მაგრამ მამამ ბრძოლაში დაამარ-
ცხა და მითრიდატესთან გაიქცა. გზად პაპამისის უმწეობა გა-
იგო. მაშინვე ხელი აიღო თავდაპირველ განზრახვაშე და პომ-
პეუსთან გამოცხადდა. მალე ტიგრან II-ც დარწმუნდა, რომ
რომაელებთან ბრძოლა მის ძალ-ღონეს აღემატებოდა, იარაღი
დაყარა და რომაელ სარდალს დაემორჩილა. ტიგრანის მიერ
დაპყრობილი თითქმის ყველა ქვეყანა (სირია, ფინიკია და სხვა)
რომის მფლობელობაში გადავიდა. გამარჯვებულმა რომის სარ-
დალმა ტიგრან II სომხეთის მეფედ დატოვა და „რომაელი
ხალხის მოკავშირედ და მეგობრად“ გამოაცხადა. ეს როდი იყო
ნამდვილი მეგობრობა, მაგრამ ორივე მხარე დუმდა. სომხები
ფიქრობდნენ, სამეფო არ მოგვიშალა და პროვინციად არ
გვაქცია, ღმერთს მაღლობა შევწიროთ. პომპეუსს ალბანეთის
და საქართველოს დაპყრობა ეწადა და „მეგობარ“ სომხეთს
გზიდან ადვილად ჩამოიცილებდა.

ეიდრე სომხეთის საქმეებს მოაგვარებდა, პომპეუსს ზამ-
თარმა მოუსწრო, ამიტომ გადაწყვიტა, ხალხი დაესვენებინა,
მომზადებულიყო და ალბანეთსა და საქართველოზე ლაშქრო-
ბა საგაზაფხულოდ გადაედო.

* * *

66 წლის შემოდგომის მიწურულს სამ ნაშილად გაყოფილი
პომპეუსის მრავალრიცხოვანი არმია მდინარე მტკვრის სამხ-
რეთ სანაპიროზე დაბანაკდა. ჯარისკაცები გამალებით მუშაობ-
დნენ, საზამთრო ბანაქს ლრმასა და განიერ თხრილებს ორმა-



გად აელებდნენ, სურსათს იმარაგებდნენ, წესრიგში მოჰყვავა
დათ სამხედრო აღჭურვილობა.

პომპეუსი ისე იქცეოდა, თითქოს ალბანელებთან და იბე-
რიელებთან სამტრო არაფერი ჰქონდა. თავდაპირველად ალ-
ბანეთის მეფეს ოროისეს შეუთვალა, რომაელების დაუძინებე-
ლი მტერი მითრიდატე პონტოელი კოლხეთში გაქცეულა, მო-
მავალ გაზაფხულზე მის შესაპყრობად მივღივარ და თქვენს
ქვეყანაზე გამატარეთო. მითრიდატე ამ დროს მართლა ქალაქ
დიოსკურიის აფარებდა თავს. ალბანელებმა პომპეუსის ელ-
ჩებს თანხმობა უთხრეს, მაგრამ მალულად სამხედრო სამზა-
დისს შეუდგნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომაელთა სარდალი
თვალთმაქცობდა და იოლი გზით, უმსხვერპლოდ ცდილობდა
ალბანეთის ხელში ჩაგდებას.

ოროისეს იმდედი ჰქონდა, რომ ზამთარში სამ ბანაკად გაყო-
ფილ რომაელთა ჯარს ცალ-ცალკე დაამარცხებდა. და, აი, ალ-
ბანელთა 40 ათასიანი ლაშქარი მდინარე მტკვარს მიადგა. ამ
დროს რომაელები ერთ-ერთი დღესასწაულისათვის ემზადე-
ბოდნენ.

პომპეუსმა ალბანელთა განზრახვა ამოიცნო, მაგრამ არა-
ფერი შეიმჩნია და მტერს მდინარეზე გადმოსვლა აცალა. ალ-
ბანელთა მეფემ ჯარი სამაღ დაპყო და 66 წლის 17 დეკემ-
ბერს რომაელთა სამიეკ ბანაკს ცალ-ცალკე შეუტია. რომაე-
ლებმა შეტევა მოიგერიეს და ალბანელები დამარცხდნენ.

ოროისემ პომპეუსს ელჩები მიუგზავნა და დაზავება ითხო-
ვა. რომაელთა სარდალს შურისძიება სწყუროდა, მაგრამ ზამ-
თარი სალაშქროდ არახელსაყრელი დრო იყო და ზავის დადე-
ბა ამჯობინა: იფიქრა, შემდეგში უფრო იოლად დავიპყრობ
ალბანეთსო.

ქართველები ფხიზლად ადევნებდნენ თვალს რომაელთა
ლაშქარს და მხარს უკერდნენ პონტოსა და სომხეთს, რადგან
კარგად ხედებოდნენ რომის ნამდევილ მიზნებს.

ქართლის მაშინდელმა მეფემ და წარჩინებულებმა ასე გან-
სახეს: პომპეუსს ელჩები გავუგზავნოთ და მეგობრობა შევთა-
ვაზოთ, თუ რომაელთა სარდალი მშეიღობაზე უარს იტყვის,
მოლაპარაკებაში დროს მოვიგებთ და საომარ თადარიგს და-
ვიჭერთო.

ქართველი ელჩები პომპეუსს საზამთრო ბანაკში ცეწვიერებდა ქართლის მეფის სახელით მშვიდობა ითხოვეს. რომელიც ჰყოფა დალმა ქარგად იცოდა, რომ ქართლს საბოლოოდ მცხილული ყველა რაღით დაიმორჩილებდა, მაგრამ რაღან ალბანეთთან აპირებდა შებრძოლებას, არტაგის ელჩებს ზავის დადება აღუთქვა. მოლაპარაკება დამთავრებული არ იყო, როცა რომაელთა მზევრავებმა ამბავი მოიტანეს, ქართლში საომრად ემზადებიან. პომპეუსმა უმალვე იაზრა, რომ ქართლთან ომის ქარგი საბაბი ეძლეოდა. იგზ მოხერხებული დიპლომატიც გახლდათ და სადაც საჭირო იყო, ადგილობრივი ხალხის გულისმოგებას ცდოლობდა. ახლაც ასე იანგარიშა: ალბანეთთან ზავი დავდევით, ახლა შურისძიებას რომ ავყვეთ და ომი დავუწყოთ, ხალხი დარწმუნდება ჩვენს უსამართლობასა და ვერაგობაში. რაც შეეხება ქართლს, რაკი თავდაცვისათვის ემზადება, ყველას ადვილად დავაჯერებთ, რომ ქართველები თავდასხმას აპირებენ. ამრიგად, ქართველებთან ომს სამართლიანი ომის ხასიათი მიეცემა. პომპეუსმა პირველ რიგში ქართლის დამორჩილება გადაწყვიტა და ყველაფერი იღონა, რომ არტაგს მოულოდნელად დასხმოდა თავს.

65 წლის (ძვ. წ.) გაზაფხულზე პომპეუსმა მოკლე გზა აირჩია და ისე სწრაფად შემოიჭრა ქართლში, რომ ვიდრე არმაზუინეს არ მოადგა, არტაგს რომაელთა გამოლაშქრება არც გაუგია.

შეშინებულმა არტაგმა ბრძოლას თავი აარიდა, მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადავიდა და ხიდი დაწევა. არმაზის მცირე-რიცხოვანი გარნიზონი უთანასწორო ბრძოლაში ჩაება, მაგრამ მეფის გაქცევამ მხნეობა დაუკარგა და ციხე-სიმაგრე პომპეუსს ჩააბარა. რომაელთა სარდალმა ციხესა და ხეობის ვიწროებში მცველები ჩააყენა, თვითონ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს აჟყვა და ქართლის ეს მხარე დაიმორჩილა.

დაიპყრო თუ არა მტკვრის სამხრეთი სანაპირო, პომპეუსი მდინარის გადასალახად მოემზადა. ამასობაში არტაგის ელჩები ეახლნენ და ზავი სთხოვეს, თან აღუთქვეს, ხიდს აღვადგენთ და სურსათსაც მოგაწვდითო. არტაგმა ხიდიც აღადგინა და სურსათიც მიაწოდა, მაგრამ პომპეუსი მაინც გადავიდა ახლად აგებულ ხიდზე, არტაგი გაიქცა. ქართველი მშვილდოსნები რომა-

ელებს შეებრძოლნენ და ერთ ხანს შეაჩერეს მტრის შემოტკიცა. /
არტაგმა ამაღლით და ჯარის ნაწილით არაგვზე გადასვლა შემოტკიცა.
წრო და ქაც დასწვა ხიდი.

ქართველ მეომართა ნაწილი ბრძოლის ველზე დაიღუპა,
ვინც გადარჩა, ტყეს მიაშურა და პარტიზანული ომი გააჩაღა. მშევილდოსნები და მეშურდულები მტერს ხეებიდან უშენდ-
ნენ ისარსა და ქვას, რომაელებს დიდ ზიანს აყენებდნენ. მაშინ
პომპეუსმა ბრძანა, ტყე გაეჩეხათ და ცეცხლი წაეკიდებინათ.
ამ ხერხმა გასჭრა: თავდამცველთა დიდი ნაწილი დაიღუპა, და-
ნარჩენმა თავს უშეველა.

ქართლის ჯარის ძირითადი ნაწილი განადგურდა. არტაგმა
ისევ განაახლა საზაო მოლაპარაკება და ამჯერად პომპეუსს
შეირთასი საჩუქრები გაუგზავნა: ოქროს ტახტი, ოქროს სარე-
ცელი და ოქროს მაგიდა. პომპეუსმა ძლვენი სიამოვნებით მი-
იღო, მაგრამ არტაგს შეილები მოსთხოვა მძევლად. მეფეს უმ-
ძიმდა ამ მოთხოვნის შესრულება და პასუხს აგვიანებდა. დრო
გადიოდა, ზაფხულში მდინარემ დაიკლო, პომპეუსმაც არ დაა-
ყოვნა და ფონზე გადავიდა. არტაგი იძულებული გახდა, შეი-
ლები მძევლებად გაეგზავნა. ამის შემდეგ საზაო ხელშეკრუ-
ლებაც დაიდო.

ასე დასრულდა ეს სისხლიანი ბრძოლა. დაახლოებით ერთ-
ნახევარი საუკუნის შემდეგ ბერძენმა ისტორიკოსმა პლუტარ-
ქემ მას „დიდი ბრძოლა“ უწოდა. პლუტარქე გადმოგეცემს,
რომ ამ ბრძოლაში დაიღუპა 9 000 ქართველი, 10 000-ზე მე-
ტი კი ტყვედ ჩაუვარდა რომაელებს. დაჭრილთა შორის, რო-
მაელებმა რომ შეიპყრეს, ქალიც ბევრი იყო. მარტო ეს ფაქტი
ნათელკყოფს, თუ როგორ მამაცურად და თავგანწირულად
იცავდა ქართველი ხალხი სამშობლოს დამოუკიდებლობასა და
თავისუფლებას.

იბერიის დამორჩილების შემდეგ პომპეუსი სურამის ქედ-
ზე გადავიდა და ეგრისში შეიჭრა. გზადაგზა ხან ბრძოლით,
ხან მოფერებითა და დაპირებებით იმორჩილებდა რიონის სა-
ნაპირო ციხე-სიმაგრეებს და ასე ჩავიდა ქალაქ ფაზისამდე
(ფოთი). ფაზისიდან პომპეუსი ჩრდილოეთისაკენ დაიძრა, მაგ-
რამ ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა და იძულებული გახდა,
ლაშქრობა შეეჩერებინა. ეგრისის მეფედ პომპეუსმა ვიღაც

არისტარხი დასვა. აქ მან ცნობა მიიღო, ალბანელები აჭანურებულანო და სასწრაფოდ ალბანეთში გაეშურა.

მეტად გაუძნელდა პომპეუსს ეს ლაშქრობა. პომპეუსი ვი მეგზურები მას უდაბური და უწყლო გზით ატარებდნენ. დიდი გაჭირვებით გადალახა პომპეუსმა მტკვარი, ალაზანი და ალბანეთს მიადგა. ბრძოლის დაწყების წინ ავანგარდში ცხენისნები დააყენა, ქვეით ჯარს კი უბრძანა, ცოტა მოშორებით დაჩოქილიყვნენ, ფარებს ამოფარებოდნენ და ხელჩართულ ბრძოლას დალოდებოდნენ. ალბანელებს ეკონათ, მარტო ცხენისნები დგანანო და დიდი რიხით ეკვეთნენ რომაელებს. პირველი შეტაკებისთანავე რომაელებმა ცხენები მოაბრუნეს და გაიქცნენ, დაჩოქილები კი მაშინვე წამოდგნენ, გაიწ-გამოწიეს, თავიანთი ცხენისნები გაატარეს და შეტევაზე გადმოსულების ერთი ნაწილი გარემოცვაში მოიმწყვდიეს. ცხენისნებმა ირგვლივ შემოუარეს და ზურგში მოექცნენ ალბანელთა ლაშქრის იმ ნაწილს, რომელიც რომაელთა ქვეითი ჯარის გარემოცვას გადაურჩა. ალბანელთა ჯარს ოროისე მეფის ძმა კოსისი მეთაურობდა. გახურებულ ხელჩართულ ბრძოლაში კოსისი პომპეუსს ეკვეთა და შები აძგერა, ჯავშანმა შები აისხლიტა, პომპეუსმა დრო იხელთა და კოსის მახვილით თავი გაუპო. ალბანელები დამარცხდნენ.

გამარჯვების შემდეგ პომპეუსი ჯერ სომხეთში, შემდეგ კი პონტოში ჩაეიდა და დაპყრობილ-დამორჩილებული ქვეყნების მართვა-გამგეობა მოაწესრიგა. პონტო რომის პროვინციიდ გამოაცხადეს. სომხეთი, ქართლი და ალბანეთი რომაელთა „მოკავშირედ და მეგობრად“, ეგრისი კი უშუალოდ რომის ხელისუფლებას დაუმორჩილეს.

65—64 წლებში (ძვ. წ.) პომპეუსის ჯარმა დაიპყრო სირია, ფინიკია და პალესტინა. 63 წელს კი პომპეუსი არაბეთისკენ გაეშურა. იმავე წელს საბოლოოდ დამარცხებულმა მითრიდატემ თავი მოიკლა. ორი წლის შემდეგ აზიაში ნაალაფევით დატვირთულ პომპეუსს რომში არაჩვეულებრივი ზეიმი და ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყვეს.

ამრიგად, რომის სახელმწიფო მთელს მცირე აზიას და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებს დაეუფლა

და პართიის უშუალო მეზობელი გახდა. მალე ეს ორი დამაყ-
რობელი ერთმანეთს დაეჭახა. ეს ომი საუკუნეების განვითარება
ბაში გაგრძელდა.

ფარსეანი და ოროდი

რომის სახელმწიფოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების ურთი-
ერთობა, რომაელების თქმით, „მეგობრობა“, სინამდვილეში ბა-
ტონობასა და მორჩილებაში გამოიხატებოდა. ძალით თავსმოხ-
ვეული „მეგობრობა“, რა თქმა უნდა, არავისთვის არ იყო სა-
სურველი და მისაღები. ქართლსა და სხვა ქვეყნებში აჯანყება
აჯანყებას მოსდევდა და რომი იძულებული ხდებოდა, დარღვე-
ული „მეგობრობა“ იარაღის ძალით აღედგინა. მიუხედავად
ამისა, პართიასთან მეტოქეობა რომს აიძულებდა, შედარებით
ფრთხილი და რბილი პოლიტიკის გზას დადგომოდა, „მეგობ-
რების“ გული მოეგო და ხშირად ძვირფასი საჩუქრებითა და
ტკბილი სიტყვით ემოქმედა.

რომისა და პართიის ბრძოლა უმთავრესად სომხეთში, სა-
ქართველოსა და ალბანეთში გაბატონებისათვის მიმდინარეობ-
და. ყველაზე უფრო მეტად ამ ბრძოლაში სომხეთი ზარალდე-
ბოდა. იგი რომსა და პართია-ირანს შორის ყოველთვის გან-
ხეთქილებას იწვევდა.

35 წელს (ახ. წ.) გარდაიცვალა სომხეთის მეფე არტაქსი—
რომაელთა „მეგობარი“. ეს მომენტი ხელსაყრელად ჩათვალი
პართიის მეფე არტავანმა და სომხეთის ხელში ჩაგდებას შეე-
ცადა. მეზობლებთან ომებში გამარჯვებული არტავანი ძალზე
გათამამდა და რომის მოხუც იმპერატორს — ტიბერიუსს დაე-
მუქრა, შემოგესევიო. თან არტაქსის გარდაცვალებისთანავე
სომხეთის სამეფო ტახტზე თავისი შვილი არშაკი დასვა. ამით
ის რომის წინააღმდეგ აშკარად გამოვიდა. არტავანთან ურთი-
ერთობის მოვარება ტიბერიუსმა ქართლის საშუალებით სცა-
და. მან წერილი და ბრძანება გამოუგზავნა თავის „მეგობარს“,
ქართლის მეფეს — ფარსმანს, შენი ჯარით არშაკის წინააღმდეგ
გაემართე, გააძევე ის და სომხეთის ტახტზე შენი ძმა მირდატი
დასვიო.

იმპერატორის ბრძანების თანახმად, ქართლის ჯარი სომ-

ხეთში შეიჭრა და პართელები განდევნა. მირდატის მოსყიდულ-
მა პირებმა ორშავი მოკლეს. პართის მეფემ დიდმანი და მცი-
თავისი მეორე შეილი ოროდი გამოგზავნა სომხეთში, თას იძი-
ერკავკასიაში სარმატების ჯარი დაიქირავა და მათ დაელოდა.
სარმატებისაგან ჯარი ქართლის მეფემაც დაიქირავა. ასე რომ,
სარმატების ერთი ნაწილი ორტავანის დასახმარებლად პირებ-
და წასვლას, მეორე კი — ფარსმანისა. ფარსმანმა დარიალის
გადასასვლელზე თავისი მომხრე სარმატები გადმოიყვანა და
კარები ჩაეტა. დარუბანდის გადმოსასვლელი თავისთვის ჩა-
კეტილი იყო, გზა ზღვის ტალღებს დაეფარა და ორტავანის მი-
ერ დაქირავებული სარმატები ვერ გადმოვიდნენ.

ბრძოლის დაწყების წინ ოროდი ესაუბრა ლაშქარს, აქო,
ადიდა ორშავიანები, ცუდად მოიხსენია ქართველები, ირწმუნე-
ბოდა, ამ ბრძოლაში აუცილებლად ჩვენ გავიმარჯვებთო. თა-
ვის ლაშქარს ესაუბრა ფარსმანიც. მან ქართველები გაამსნე-
ვა — მრავალრიცხვან მტერს ვაეკაცობით ვდლევთო და თან
დაუმატა, გამარჯვება მონობას აგვაცილებს და სახელს მოვიხ-
ვეჭსო.

პირველად ცხენოსნები შეეტაკნენ ერთმანეთს. ხან ერთი
იხვედა უკან, ხან მეორე. ბოლოს ხელჩართულ ბრძოლაზე გა-
დავიდნენ. ფარსმანი და ოროდი ბრძოლის შუაგულში მოექც-
ნენ. იცნეს თუ არა ერთმანეთი, იყვირეს, შუბები ისროლეს და
ერთმანეთს დაეძგერნენ. ფარსმანმა მახვილით მუზარადი გაუ-
პო და თავში დაჭრა ოროდი, მეორედ მოქნევა კი ვერ მოახერ-
ხა, ცხენმა შორს გაიტაცა. ოროდი სიკვდილს გადაურჩა, მავ-
რამ პართელებში ხმა გავარდა, სარდალი მოკლესო. ამ ცნობამ
არევ-დარევა შეიტანა მტრის რიგებში და ფარსმანის ჯარმა
ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

დამარცხებამ განარისხა პართის მეფე. მან მთელი თავისი
ლაშქარი შეჰყარა და ქართველებს შეუტია. ბრძოლა დიღხანს
გაგრძელდა, მავრამ პართელები ბრძოლის ყველა უბანზე და-
მარცხდნენ. ამ დროს რომაელთა სარდალმა ვიტალიუსმა გან-
გებ ხმა დაარხია, პართიაში სალაშქროდ მივდივარო. ორტავანს
რა უნდა ექნა, სომხეთი დატოვა და უკან გაბრუნდა. სომხეთის
ტახტზე რომაელებმა ქართლის მეფის ფარსმანის ძმა მირდატი
დასვეს.



ფარსმანი ქართლში დიდხანს მეფობდა. ხშირად ჰუმანიტარულ
დნენ ტახტს, მაგრამ ის არავის ინდობდა და სასტიკად უსწორ-
დებოდა ყველას. მან საკუთარი შვილიც კი არ დაინდო.

ფარსმანს იმ დროის ყველა საქმეში საუკეთესოდ განსწავ-
ლული ვაჟიშვილი ჰყავდა. მშვილდოსნობაში ტოლს ვერ უდებ-
დნენ, ფარ-ხმალს უნაკლოდ ხმარობდა, უპირველეს მოასპარე-
ზედ ითვლებოდა, შესანიშნავი ტანადობით გამოირჩეოდა. ყვე-
ლა ამ თვისებამ ფარსმანის ვაჟს რადამისტს მეტისმეტად გაუ-
თქვა სახელი არა მარტო სამშობლოში, არამედ მეზობელ ქვეყ-
ნებშიც. აქებდნენ და ადიდებდნენ თვალსახიერ ყმაწვილს. რა-
დამისტი პატივმოყვარეობამ და განდიდების დაუცხრომელმა
სურვილმა შეიცყრო. ჭაბუკი მოუთმენლად მოელოდა სამეფო
ტახტს, მაგრამ მოხუცებული მამა არ კვდებოდა. რადამისტი
თვის გულისოქმას ვერ ფარავდა. ხშირად ამბობდა, მამაჩემი
მოხუცდა, სამეფო საქმეებს ველარ უძღვება და ქართლის სა-
მეფო დაძაბუნების გზაზე დგასო. ფარსმანი შიშმა აიტანა, ვა-
ითუ შვილმა ტახტი წამართვასო და განდიდების სურვილით
შეპყრობილ შვილს ჩააგონა, ბიძის წინააღმდეგ ამხედრებული-
ყო და სომხეთის სამეფო ტახტს დაუფლებოდა. თან დაარიგა,
ესტუმრე ბიძაშენს და წინასწარ მომხრეები გაიჩინეო.

51 წელს (ა. წ.) რადამისტი ბიძას ესტუმრა სომხეთში და
შესჩივლა, დედინაცვალს ვერ შევეწყეო. მამა წამეჩხუბა და
იძულებული გავხდი, ქართლიდან გამოვცეულიყვაიო. მირ-
დატი სიყვარულით შეხვდა ძმისწულს, უხევდ დაასაჩუქრა. იმ
დროს, როცა ბიძა რადამისტს სულ ახალ-ახალ წყალობებს აძ-
ლევდა, ის ჩუმად მოქმედებდა მამის დარიგებისამებრ: სომეხ
წარჩინებულებსა და თვით მირდატის მსახურებს ზოგს ფული
მისცა, ზოგს დაპირდა, წყალობით აგავსებო და მომხრეები გა-
იჩინა. მერე ბიძას გამოეთხვეა, წივალ და მამაჩემს შევურიგ-
დებიო. ქართლში ჩამოვიდა, მამას წარუდგა და მოახსენა: ყვე-
ლაფერი ისე გავაკეთე, როგორც შენ დამარიგე, დანარჩენი ია-
რალმა უნდა დაასრულოსო. ფარსმანმაც მირდატის წინააღმდეგ
ომის გამოცხადების საბაზი ადვილად გამონახა, შეუთვალა:
როცა მე ალბანელების მეფეს ვეომებოდი და რომაელების

მოხმობა მინდოდა, შენ წინააღმდეგობა გამიწიე და წელი შე
მიშალეო.

ქართლის ჯარი რაღამისტის მეთაურობით სომხეთში მცირებული
რა და ომისათვის მოუმზადებელი მირდატი და მისი ჯარი სომ-
ხეთის დაბლობებიდან განდევნა. მირდატი გარნის ციხე-სიმაგ-
რეში ჩაიკეტა. გარნის ციხე ბუნებრივად კარგად დაცული და
ძნელმისადგომი იყო. თანაც რომაელთა გარნიზონი იცავდა.
ციხის იერიშით აღებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. რაღამისტს
კედლის სანგრევი მანქანებიც არ ჰქონდა, მაგრამ იქ, საღაც ია-
რალი ვერ ვრიდა, ოქროს ძალამ ვაჭრა. რაღამისტმა დიდძალი
ფულით რომაელთა გარნიზონის მეთაური მოისყიდა. მეთაური
მირდატს ურჩევდა, ქართველები შენზე უფრო ძლიერები არი-
ან, სომხების უმრავლესობა მხარს არ ვიჭრს, ამ ციხის გარ-
და სხვა თავშესაფარი არ გაბადია, ქართველები ზავს ვთავა-
ზობენ და შენ ამაზე უარი არ უნდა თქვაო.

გარნის ციხეში რომ ასეთი მოლაპარაკება მიმდინარეობდა
და მირდატს ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო, რაღა-
მისტს ფარსმანის შიკრივი ეახლა. მამა უბრძანებდა, ციხე საჩ-
ქაროდ აეღო. რაღამისტმა ისევ თქროს ყოვლისშემძლე ძალას
მიმართა. ციხის მცველი ჯარისკაცები მოისყიდა. მოსყიდულებ-
მა მირდატს მოსთხოვეს, ზავი დავდოთ, თორემ ციხეს არ და-
ვიცავთო. მირდატი იძულებული გახდა, ზავზე დათანხმებული-
ყო. დაინიშნა დრო და ადგილი და ბიძა-ძმისწული ერთმანეთს
შეხვდნენ. რაღამისტი როგორც მამას, ისე გადაეხვია ბიძას და
შეჭვიცა, არც ხმლით და არც საწამლავით ზიანს არ მოგაყენე-
ბო. მერე მახლობელ ხეივანში მიიპატია, საღაც დაზავების
წესი უნდა აღესრულებინათ. საერთოდ, დაზავება ასე ხდებო-
და: მოპირდაპირების მარჯვენა ხელის დიდ თითებს ერთმა-
ნეთთან გადააჭვარედინებდნენ და კანაფს წაუჭერდნენ. როცა
თითებს სისხლი მოაწევებიდა, მსუბუქად უჩხვლეტდნენ. გამო-
ეონილ სისხლს დაზავებულნი ერთმანეთს თითიდან სწოვდნენ.
მაშინდელი ჩვეულებისა და ჩრდილის თანახმად, ამრიგად და-
დებული ზავი სისხლით ნაკურთხი და, მაშასადამე, მტკიცე და
ურლვევი იქნებოდა. ეს წესი რომ სრულდებოდა, ცერემონიის
ერთი მონაწილე განგებ წაბორძიკდა, მირდატს ფეხებში ეცა
და წააქცია. წაქცეულს უცებ მისცვივდნენ რაღამისტის მცვე-

ლები, შებორკეს და წაათრიეს. ასეთი სასჯელი მაშინ ყველა-ზე უფრო დამამცირებლად და სამარცხვინოდ ითვისტებოდა. მირდატს უკან გულსაკლავი ტირილით მიჰყვებოდა ცოლ-შვილი.

მირდატი და მისი ცოლ-შვილი რაღამისტმა მოჩარდახულ ურემში ჩამწყვდია და ფარსმანის ბრძანებას დაელოდა. ფარს-მანი შემოუთვალა, მირდატი მოკალიო. რაღამისტმა ფიცი არ გატეხა, არც ხმლით შეხებია ბიძას და არც მოუწამლავს. მირ-დატი და მისი მეუღლე მიწაზე დააწვინეს, ზედ უამრავი ტან-საცმელი და ქვეშაგები დააყარეს და გაგუდეს. დედ-მამის უბედურებით შეწუხებული ბავშვები მწარედ ტიროდნენ. შე-უბრალებელმა რაღამისტმა ისინიც დაახოცვინა.

რომაელებს უხაროდათ, დაპყრობილ ქვეყნებს შორის შულ-ლი და მტრობა რომ ჩამოვარდებოდა. რა თქმა უნდა, ესეც გა-უხარდათ.

რაღამისტი ჭერ კიდევ გამარჯვებას ზეიმობდა, რომ სომ-ხეთს პართიელები შეესივნენ და ქართლის ჭარი განდევნეს. მკაცრი ზამთარი იდგა. ქვეყნად შავი ჭირი მდვინვარებდა. პარ-თიის მეფე ირანში დაბრუნდა. ამით ისარგებლა რაღამისტმა და სომხეთის ტახტი ისევ დაიპყრო. ახლა რაღამისტი უფრო მკაცრად ექცეოდა სომხებს, ყველანი მოღალატეებად მიაჩნდა და ხალხი აღშფოთებამდე მიიყვანა. სომხები აჯანყდნენ. აჯან-ყებულები რაღამისტის სასახლეს შემოერტყნენ. რაღამისტი და მისი მეუღლე ზენობია რის ვაივაგლაზით ცხენებს შემოახტ-ნენ და გაიქცნენ. მათი ბედი ცხენების ფეხმარდობაზე იყო და-მოკიდებული. ზენობიამ ერთ ხანს გმირულად აშენა ცხენი, მაგრამ ფეხმძიმე ქალმა დიდხანს ერ გაუძლო შორ გზას. მუ-ცელი ასტკივდა და საშინლად იტანგებოდა. მოსიყვარულე ცო-ლი ეხვეწებოდა ქმარს: მიხსენი ტყვეობაში ჩავარდნისა და მოსალოდნელი სამარცხვინო დამცირებისაგანო. რაღამისტი ჭერ გადაეხვია ცოლს, მერე ხელში აიყვანა და ნუგეშისცემა დაუწყო; ბოლოს ეჭვმა გაკენწლა, ზენობია ცოცხალი რომ და-ტოვო, სხვა დაეპატრონებაო, სატევარი ამოილო, საყვარელი მეუღლე დაჭრა, არაქსისკენ წაათრია და შიგ ჩააგდო, თვითონ კი ქართლისკენ გამოიქცა.

ზენობიას ჭრილობა სასიკვდილო არ ყოფილა. უბედური

ქალი მწყემსებმა ამოიყვანეს მდინარიდან; ჭრილობაშე მაღა
მო დაადეს და შემდეგ არტაშატში ჩაიყვანეს. აქედან უძველეს ხაჯუ
ხეთის ახალ მეფეს, პართიის მეფის ძმას მიჰვარეს, შან კარგად
მიიღო გაუბედურებული ქალი და პატივისცემით მოვცურო.
რა ბედი ეწია შემდეგ ზენობიას, არ ვიცით. რადამისტი კი მა-
მას ეახლა. ფარსმანმა იგი მოაკვლევინა. ამით რომაელები ერთ-
გულებაში დაარწმუნა და თანაც მოქიშპე თავიდან მოიცილა.

ფარსმანის, რადამისტისა და ზენობიას თავგადასავალი ცბი-
ერებისა და ვერაგობის, დაუნდობლობისა და შურისძიების,
სიმდიდრის, დიდებისა და სახელის მოხვეჭისათვის ბრძოლის
ერთ-ერთი ფურცელია, რომელიც დამახასიათებელი იყო, სა-
ერთოდ, მონათმფლობელური და ფეოდალური საზოგადოების
უმაღლესი, გაბატონებული ფენებისათვის.

აღწერილი ეპიზოდი იმ დროს მოხდა, როცა ქართლის სა-
მეფო განსაკუთრებულად გაძლიერებული იყო. ქართლის სიძ-
ლიერე რომაელებში უკმაყოფილებას იწვევდა. ეს კარგად
ჩანს რომაულ ისტორიოგრაფიაში. რომაელი ისტორიკოსები
შეეცადნენ, მუქ ფერებში დაეხატათ ფარსმანისა და რადამის-
ტის თავგადასავალი. სინამდვილეში სამეფო კარის პოლიტიკა
ქართლისა და სომხეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებს შეე-
საბამებოდა.

რომის ივარია და სასანიათა ირანი

ამიერკავკასიაში რომაელთა მფლობელობის დამყარების
დროიდან თითქმის 300 წლის განმავლობაში პართიის სახელმ-
წიფომ ვერ შეძლო თავისი გავლენის გავრცელება საქართვე-
ლოში. შავ და ხმელთაშუა ზღვებზე ბატონობისათვის მიმდი-
ნარე ბრძოლაში აშკარა უპირატესობა რომის მხარეზე იყო.
რომი ზოგჯერ არშაკიანთა სახელმწიფოს ცენტრშიიაც ახერხებ-
და შეჭრას. ამის მიუხედავად, რომმაც მტკიცედ ვერ მოიკიდა
ფეხი. მიზეზი მონათმფლობელური რომის საერთო კრიზისი
და ე. წ. „ბარბაროსული“ ტომების შემოტევა იყო. უფრო მე-
ტად ეს მიზეზი არშაკიანთა სახელმწიფოზე ახდენდა გავლენას.

არშაკიანთა პართია ახალი წელთაღრიცხვით II—III საუ-

კუხეებში შინაგან წინააღმდეგობათა და განუწყვეტელ საკუ-
რეო ოძების გამო იმდენად დასუსტდა, რომ ერთიანი, ცენტრული
ლიტერატურული სახელმწიფო ხელისუფლება არც კი არსებობდა.
უზარმაშარი ქვეყანა მრავალ პატარ-პატარა სამეფოდ იყო და-
ყოფილი. სამეფოთა ხელისუფლება ხშირად ერთი პატარა ქა-
ლაქისა და მისი მიღმობების ფარგლებს არ სცილდებოდა.

არშაკიანთა ფაქტიურად დაშლილი სახელმწიფოს ხელახლა
გაერთიანება პარსის ანუ ფარსის ოლქიდან დაიწყო. ეს ოლქი
ირანის ვრცელი ზეგანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდება-
რეობს სპარსეთის ყურის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე.
ბერძნები მას პერსიდას ეძახდნენ. აქედანაა ნაწარმოები ირანის
ბერძნული სახელწოდება სპარსეთი.

ირანის ახალი სახელმწიფოს დამარსებელი გახდა ერთ-ერ-
თი ტაძრის ქურუმის სასანის შვილიშვილი არტაშირი. მან თან-
დათანობით ხელში ჩაიგდო მთელი ძალაუფლება პარსის ოლქ-
ში. მერე ადვილად დაიმორჩილა არშაკიანთა სხვა სამფლობე-
ლოებიც. ბოლოს, 224 წლის 20 აპრილს, დიდსა და გადამწყვეტ
ბრძოლაში არტაშირმა სასტიკად დაამარცხა არშაკიანთა უკა-
ნასკნელი მეფე არტავან V. ამ გამარჯვების აღსანიშნავად არ-
ტაშირმა ერთ-ერთ კლდეზე თავისი თავი გამოაქანდაკებინა.
(ცხენებები ამხელრებული არტაშირის წინ გართხმული იყო არტა-
ვან V, ღმერთი კი არტაშირს სამეფო გვირგვინს აღგამდა).

ორი წლის შემდეგ არტაშირმა არშაკიანთა სატახტო ქალა-
ქი კტეზიფონიც დაიმორჩილა და საზეიმოდ მიიღო შაპინ-შა-
პის (მეფეთა-მეფის) ტიტული. ასე ჩაეყარა საფუძველი ირა-
ნის ახალ სახელმწიფოს. მას, სასანის სახელის მიხედვით, სასა-
ნიანთა ირანს ეძახდნენ. ირანი 400 წელზე მეტი ხნის განმავ-
ლობაში უძლიერეს სახელმწიფოდ ითვლებოდა წინა აზიაში.
ის იყო რომის სახელმწიფოს ღირსეული მოპირდაპირე და სა-
ქართველოს საშიში მეზობელი.

სასანიანთა მონარქიამ არშაკიანთა საგარეო პოლიტიკა გა-
ნავრძო. მონარქიას სურდა, ხმელთაშუა და შავ ზღვაზე გასუ-
ლიყო და ამიერკავკასიის ქვეყნებზე გაბატონებულიყო. ამ ნი-
ადაგზე რომსა და ირანს შორის ხანგრძლივი ბრძოლა გაჩაღ-
და. ორივე მხარე დაეინგბით ესწრაფოდა, ხელში ჩაეგდო ამი-
ერკავკასია და კერძოდ, საქართველო. ამიერკავკასიას დასავ-

ლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობის განვითარებისათვის
დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გარდა ამისა, მნიშვნელობისათვის
საყრდენი იყო მებრძოლი მხარეებისათვის. ვინც ამიერკავკა-
სიაშე გაბატონდებოდა, მის ხელი იქნებოდა ჩრდილო კავკა-
სიასთან დამაკავშირებელი, ბუნებრივი პირობებით კარგად გა-
მაგრებული გადასასვლელები.

საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში სამი მნიშვნელო-
ვანი საუღელტეხილო გადასასვლელი იყო. ერთი გზა, არაგვის
ხეობიდან ჯერის უღელტეხილით, თერგის ხეობაში გადადიო-
და (ახლანდელი საქართველოს სამხედრო გზა — თბილისი —
ორგონიკიძე); რიონის ხეობა, მამისონის უღელტეხილით, თერ-
გის შენაუკიდის — არდონის ხეობას უკავშირდებოდა (ახლან-
დელი ოსეთის სამხედრო გზა — ქუთაისი — ალაგირი); მესამე
გზა, კოდორის ხეობიდან ქლუხორის უღელტეხილით, თებერ-
დას ხეობაში გადადიოდა (ახლანდელი სოხუმის სამხედრო
გზა — სოხუმი — ჩერკესკი). აზერბაიჯანის ტერიტორიიდან
ჩრდილო კავკასიაში გასასვლელი კასპიის ზღვის სანაპიროზე,
დერბენიდის გზით მიდიოდა. მთებს შორის გამავალ, ბუნებრი-
ვად მშვენივრად დაცულ ამ გადასასვლელებს მაშინ კარებს
უწოდებდნენ. ვინც ამ კარებზე კონტროლის უფლებას მოიპო-
ვებდა, ის სურვილისამებრ დახურავდა და გააღებდა მათ და
ჩრდილო კავკასიის თვალუწვდენ ველებზე მომთაბარე მე-
ომარ ტომებსაც თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა. მეორე
მხრივ, იმ დროს იმიერკავკასია და ჩრდილო შავიზღვისპირეთი
მონებისა და სხვა საქონლით ვაჭრობის დიდი ბაზარი იყო. ამი-
ტომაც რომი და ირანი გადასასვლელების დაუფლებისათვის
იბრძოდნენ.

* * *

რომისა და სასანიანთა ირანის ომების ხანაში დიდი ცვლი-
ლებები მოხდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის მონათმფლო-
ბელური ქვეყნების ცხოვრებაში. საზოგადოების შიგნით მწვა-
ვე კლასობრივი ბრძოლების პირობებში თანდათანობით ირლ-
ვეოდა მონათმფლობელური ურთიერთობა და მეურნეობის

ახალი, ფეოდალური წესი ვითარდებოდა. ასე მიმდინარეობდა /
საზოგადოებრივი განვითარების პროცესი ამიერკავკასტიმუშქუდა-
ხებშიც. მონათმფლობელურიდან ფეოდალურ საზოგადოებ-
რივ ურთიერთობაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში რო-
მის იმპერიასა და ამიერკავკასიაში ქრისტიანული იდეოლო-
გია გაბატონებულ რელიგიად იქცა. ამან დიდად შეუწყო ხელი
ფეოდალთა კლასის განვითარება-განმტკიცებას.

წარმოების ძეელი, მონათმფლობელური წესის კრიზისმა
რომის იმპერიაში თავი იჩინა ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში
და IV საუკუნისათვის განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო.
იმპერიის სხვადასხვა ნაწილში გახშირდა მონათა, ღარიბთა და
დაჩაგრულ ხალხთა აჯანყებები. ამავე დროს რომის იმპერიას
ყოველმხრივ უტევდნენ მომთაბარე ტომები, რომაელების
თქმით, ბარბაროსები. 330 წელს იმპერიის სატახტო ქალაქი
რომიდან დასავლეთით ბალკანეთის ბოსფორზე მდებარე ქა-
ლაქ ბიზანტიონში გადაიტანეს. ბიზანტიონს იმპერატორ კონს-
ტანტინეს პატივსაცემად კონსტანტინოპოლი (ე. ი. კონსტან-
ტინეს ქალაქი) უწოდეს.

395 წელს რომის იმპერია ორ ნაწილად დაიყო: დასავლეთ
რომის იმპერიად და აღმოსავლეთ რომის იმპერიად. 410 წელს
გუთებმა ალარიხის მეთაურობით აიღეს და გაძარცვეს ქალაქი
რომი. „მარადიული ქალაქი“ (ასე ეძახდნენ რომს იმ დროს) ცა-
რიელდებოდა. ადგილი, სადაც წინათ მსოფლიოს ხალხთა ბე-
დი წყდებოდა, ახლა ხშირი ბალახით დაიფარა და საქონლის
საძოვარი გახდა. 476 წელს დასავლეთ რომის იმპერიის არსე-
ბობას ბოლო მოეღო: გერმანელ ტომთა ერთ-ერთმა მეთაურმა
ოდოაკრმა ტახტიდან ჩამოაგდო უკანასკნელი იმპერატორი,
რომელსაც, თითქოს ბედმა დასცინაო, იგივე სახელი ერქვა,
რაც „მარადიული ქალაქის“ ლეგენდარულ დამაარსებელს. აღ-
მოსავლეთ რომის იმპერიამ, რომელიც ისტორიაში ბიზანტიის
(ქალაქ ბიზანტიონის სახელის მიხედვით) სახელწოდებით არის
ცნობილი, 1453 წლამდე იარსება (თურქ-ოსმალების მიერ დაპ-
ურობამდე). ბიზანტიელები თავის თავს მოელი შუა საუკუნეე-
ბის მანძილზე რომეებს ე. ი. რომაელებს ეძახდნენ, ხოლო თა-
ვიანთ სახელმწიფოს—რომეების სახელმწიფოს. ამის შესაბამი-
სად დასავლეთის მეზობლები ამ ქვეყანას რომანიას უწოდებ-

დნენ, აღმოსავლეთისა კი — რუმს. საქართველოში ბიზანტიის საბერძნეთს ეძახდნენ, ბიზანტიიელებს კი — ბერძნები. მაგრა და პრომეგებს. თავდაპირველად ბიზანტიის შემადგენლობაში შედიოდა მცირე აზია, სირია, ეგვიპტე და ძველი რომის სხვა აღმოსავლური ქვეყნები.

სასანიანთა ირანსა და რომის იმპერიას შორის გაშლილი ომების შედეგად IV საუკუნის ბოლოსათვის აშკარა უპირატესობა ირანის მხარეზე იყო. ამ დროისათვის სომხეთის უდიდესი ნაწილი ირანის ბატონობის ქვეშ მოჰყავა, სომხეთის ერთი მეხუთედი ნაწილი (სომხეთის დასავლეთი მხარე) კი რომს შერჩა. ირანის ბატონობა დამყარდა აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლში) და ალბანეთში. ქართლი ირანს ხარჯს უხდიდა. ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებში ირანელების გარნიზონი იდგა. ადგილობრივი მოსახლეობა ვალდებული იყო, მონაწილეობა მიეღო ირანის ლაშქრობებში.

დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ამიერკავკასიის ხალხებისათვის ირანი გაცილებით უფრო საშიში გახდა, ვიდრე რომი. სომხები, ქართველები და ალბანელები ადრევეც არა ერთხელ გამოსულან ერთობლივ ბრძოლაში საერთო მტრების წინააღმდეგ, ამ დროიდან კი ამიერკავკასიის ამ მოძმე ხალხთა საბრძოლო მეგობრობა უფრო განმტკიცდა. მართალია, ექსპლოატატორულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ბატონობის პირობებში ხალხთა შორის მეგობრობას არ შეიძლება მტკიცე და ურყევი საფუძველი ჰქონდა, მაგრამ ერთს ბედს ქვეშ ყოფნამ, საერთო მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ისტორიულმა აუცილებლობამ, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ერთად დალვრილმა სისხლმა სათანადო ნიადაგი მოამზადა ამიერკავკასიის ხალხთა იმდროინდელი მეგობრობისათვის.

ამიერკავკასიის დაუფლებისათვის რომისა და ირანის ბრძოლის ხანაში სომხეთში, საქართველოსა და ალბანეთში ფეოდალიზაციის პროცესი ძლიერდებოდა. აზნაურთა წოდება ეკონომიურად და პოლიტიკურად სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. დიდ-დიდი აზნაურები ქვეყნის, შიგნით დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდნენ და ამ მიზნით სამეფო ხელისუფლებას ებრძოდნენ. ბრძოლაში აზნაურები გარეშე მტრებსაც

იყენებდნენ. მტერსაც ეს უნდოდა: 'შინაგანი განხეფქილუბის
და ბრძოლის პირობებში უფრო აღვილი იყო დამოუკრძალული
ბისათვის მებრძოლ ქვეყნებში გაბატონება. აღნიშნულში გარე-
მოებამ გააადვილა სამეფო ხელისუფლების მოსპობა ჯერ სომ-
ხეთსა და ალბანეთში, შემდეგ ქართლში.

პროლა დაოცაიდებლობისათვის 7 საუკუნე

სასანიანთა ირანის ბატონობა ამიერკავკასიის ქვეყნებში
განსაკუთრებით V საუკუნეში დამძიმდა. ირანი ცდილობდა,
დამოუკიდებლობის ყოველგვარი ნიშანწყალი მოესპო ქართლ-
ში, სომხეთსა და ალბანეთში, აღმოეფხვრა ამ ხალხების კულ-
ტურა, წეს-ჩეეულებანი, ქრისტიანული სარწმუნოება და გაევ-
რცელებინა ცეცხლთაყვანისმცემლობა. 429 წელს სომხეთში,
ხოლო 461 წელს ალბანეთში ირანელებმა მეფობა გააუქმეს
და ეს ქვეყნები თავიანთ პროვინციებად აქციეს. თუმცა ქართ-
ლში ჯერჯერობით მეფე ჰყავდათ, მაგრამ ცხადად ჩანდა, რომ
ამას სასანიანები დიდხანს ვერ მოითმენდნენ. სამივე ქვეყნის
ხალხს უზომო გადასახადები დააკისრეს. გადასახადები დაადეს
არა მარტო მოსავლიან მიწებს, არამედ დაუმუშავებელსაც.
გადასახადი ედო საკვებ პროდუქტებს, მთას, ველს, ტყეს. გადა-
სახადების აკრეფა უფრო ყაჩალურ ძარცვა-რბევას ჰეგავდა,
ვიდრე მოწესრიგებულ სახელმწიფო სისტემას.

ირანის შაპის ტახტზე ამ დროს იეზდიგერდ II (439—
457 წწ.) იჯდა. ამიერკავკასიის ხალხთა წინააღმდეგობა რომ
შეესუსტებინა, შაპი ქართლში, სომხეთსა და ალბანეთში პე-
რიოდულად ცხენოსანთა რაზმებს კრებდა და შუა აზიაში აგ-
ზავნიდა, ვითომ საზღვრების დამცველები სჭირდებოდა. რჩე-
ულ მეომართა რაზმებს უკან დაბრუნება არ ეწერათ. ქვეყანა
ჯან-ლონით სავსე ვაჟკაცებისაგან იცლებოდა. ასეთი რაზმების
შეგროვებას თან ვაი და ვუი სდევდა. ნათესავები წინასწარ გა-
მოიტირებდნენ ხოლმე დასაქარგავად მიმავალ მეომრებს.

იეზდიგერდი, უპირველეს ყოვლისა, შეეცადა, ცხენოსანთა
რაზმელებისათვის სარწმუნოება გამოეცვლევინებინა. ერთ-
ხელ, შაპმა ნადიმზე მიიწვია რაზმების მეთაურები, მოეფერა

მათ, მიუალერსა და სთხოვა, ეჭამათ სპარსული რელიგიის შესით მზისათვის შეწირული საქონლის ხორცი. მეთაურებულებული განაცხადეს. იეზდიგერდი არ გაძალიანებულა, უჭიშანებებიცა ეტანათ ჩვეულებრივი საჭმელი. მოილხინეს, მაგრამ ვაი, ასეთ მოლხენას! ნადიმის დამთავრების შემდევ შაჰმა ბრძანა, რაზმის მეთაურები დაეკავებინათ. მათ ზურგს უკან ხელები შეუკრეს და ჯურლმულებში ჩაყარეს, რამდენიმე დღე აშიშმილეს, შემდევ იქიდან ამოიყვანეს და გააძევეს. ქრისტიანებისაგან შემდგარი რაზმები კი პატარ-პატარა ჯგუფებად დაყვეს და შორეულ სტეპებში გაგზავნეს საომრად.

შაჰმა, როცა ქრისტიანი რაზმელები ცეცხლთაყვანისმცემლებად ვერ მოაქცია, სომხეთის მთელ მოსახლეობას გადაჭრით მოსთხოვა, ქრისტიანობა უარყავით და სპარსული სარწმუნოება მიიღეთო. თან იეზდიგერდი დიდ პატივსა და წყალობას დაპირდა სომეს წარჩინებულებს, თუ ისინი დათანხმდებოდნენ და ცეცხლთაყვანისმცემლობას მიიღებდნენ.

შაჰი ამით ცდილობდა ამიერკავკასიის ხალხებს შორის განხეთქილება და მტრობა ჩამოეგდო. მან კარგად იცოდა, თუ სომხეთი მის მხარეზე იქნებოდა, მარტო დარჩენილი ქართლი და ალბანეთი ვერას გახდებოდნენ. სომხებმა განაცხადეს, ქრისტიანობას ვერ უარყოფთო. მაშინ განრისხებულმა იეზდიგერდმა სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის თავკაცები სასწრაფოდ დაიბარა. თან ბრძანა, ვინც დააგვიანებს და დროზე არ მეახლება, სიკვდილით დავსჯიო.

შეშინებულმა სომხებმა, ქართველებმა და ალბანელებმა მოციქულები გაგზავნეს ერთმანეთთან, სახარებაზე ფიცი დადეს, რომ ბოლომდე ერთმანეთის ერთგულნი იქნებოდნენ, და როგორც იმდროინდელი სომები ისტორიოსი ლაზარე ფარპეცი წერს, ფიცით შეკრული სამივე ქვეყნის წარმომადგენლები ირანში ჩავიდნენ. მისულებს იეზდიგერდმა გადაჭრით განუცხადა: უარყავით თქვენი მცდარი სჯული, რომლის სიბნელეში აქამდის ცხოვრობთ სომენი, ქართველი და ალბანი; წინააღმდეგ შემთხვევაში ცოლ-შვილითა და გვარითურთ დაგლუპავთო. შეფიცულებმა შაჰს სთხოვეს, მიეცა მათვის რამდენიმე დღე მოსაფიქრებლად და მოსათაბირებლად. შაჰმა ნება დართო, ეთათბირათ. დიდხანს ბჭობდნენ სომებთა, ქართველთა

და ალბანთა თავეაცები. ბოლოს გადაწყვიტეს, დაუკარგოს მოთ და დაგებულ მახეს თავი დავაღწიოთ, ჩეენს ქვეყანაში კი ისევ ჩეენი რჯული ვიწამოთ და თუ შაპი არ მოვასვერშემდებრიშვარა შინ ცოლ-შვილით უცხო მხარეს გადავინევეწოთო.

მიიღეს თუ არა ასეთი გადაწყვეტილება, შაპს განუცხადეს, თანახმა ვართ, ვეზიაროთ სპარსელთა სარწმუნოებასო. გახარებულმა იეზდიგერდმა და სპარსელებმა ზეიმით აღნიშნეს ეს დღე. მართალია, მძევლები დაიტოვეს, მაგრამ სომები, ქართველი და ალბანელი წარჩინებულები დაასაჩუქრეს, სპარსული რელიგიის მრავალი მასწავლებელი გამოაყოლეს და თავიანთი ქვეყნებისკენ გამოისტუმრეს. მათ ევალებოდათ, ერთი წლის განმავლობაში აღმოეფეხრათ ქრისტიანობა, დაეცეტათ, ყველა ეკლესია-მონასტერი, ქონება შაპის ხაზინაში ჩაერიცხათ, ბავშვებისათვის საჯაროდ ექადაგათ სპარსული სარწმუნოება, მოესპოთ ქრისტიანული ქორწინების წესები, შემოელოთ მრავალცოლიანობა და სისხლით ნათესავებზე დაქორწინება.

ქართველებს, სომხებსა და ალბანელებს სრული გადაგვარება ემუქრებოდათ. ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა...

როგორც კი წარჩინებული სამშობლოში დაბრუნდნენ, სამივე ქვეყნის ხალხი ერთდროულად აღდგა, რომ თავი დაეცვა. 450 წელს სომხეთში, ქართლსა და ალბანეთში დიდი აჯანყება დაიწყო. პირველ ბრძოლაში აჯანყებულებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

გაიგო თუ არა მომხდარი ამბავი, შეშინებულმა და განრისხებულმა შაპმა მრავალრიცხვანი ჯარი გამოგზავნა აჯანყების ჩასაქრობად. აჯანყებულთა ლაშქარში 66 ათასი მეომარი ითვლებოდა. სპარსელებს კი 200 ათასიანი არმია ჰყავდათ. 451 წლის 2 ივნისს სოფელ ავარაირის ახლოს (ახლანდელი ქალაქების მაქსა და ხოის შორის) გაიმართა დიდი სისხლისმლპრელი ბრძოლა. შუაღლისას ორივე მხარე გაატორებული ეძგერა ერთმანეთს. აჯანყებულებმა უკუაქციის მოწინააღმდეგის მარჯვენა ფრთა. პირველი დარტყმის სიძლიერე იმდენად დიდი იყო, რომ შაპის „უკვდავთა რაზმიც“ შედრეა და უკუიქცა. მაგრამ უკეთ შეიარაღებული და გაცილებით მრავალრიცხვანი მტერი ისევ მობრუნდა. საბოლოოდ ბრძოლა სპარსელებმა მოიგეს. ბრძოლის ველზე გმირული სიკვდილით დაეცა აჯანყე-

ბის მთავარი ხელმძღვანელი, სომებთა ცნობილი სართალი კურ-
დან მამიკონიანი. აჯანყების დამარცხების ერთ-ერთი უძირე-
რესი მიზეზი სამშობლოს მოღალატე დიდი აზნაურების მიზეზ
ცემლობაც იყო. სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის მებრ-
ძოლ ლაშქარში ერთსულოვნება არ სუფევდა და მოღალატე-
ებმა აჯანყებულთა რიგებში განხეთქილება შეიტანეს. გამარ-
ჯვებულმა შაპმა სამივე ქვეყანაში დამსჯელი რაზმები გაგ-
ზავნა.

მართალია, 450-451 წლების ამიერკავკასიის ხალხთა აჯან-
ყება ჩაახშეს და ამიერკავკასიის ხალხების ირანის ბატონობი-
საგან განთავისუფლების ამოცანაც გადაუწყვეტელი დარჩა,
მაგრამ მას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. შაპი იძუ-
ლებული გახდა, თავი შეეკავებინა და ამჯერად ხელი აელო
ამიერკავკასიის ხალხების სრული ასიმილაციის პოლიტიკაზე.

* * *

იმ დროს, როცა ქართლი ირანელთა ბატონობისაგან გან-
თავისუფლებას ცდილობდა, დასავლეთ საქართველოს მოსახ-
ლეობა რომაელ დამპყრობლებს ებრძოდა. მაშინ კოლხეთი
პონტოს პროვინციის შემადგენლობაში იყო მოქცეული.

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა არ ურიგდებოდა
რომაელთა ბატონობას. შეუნელებელმა წინააღმდეგობამ და
ბრძოლამ ის შედეგი გამოიღო, რომ II—III საუკუნეებში
რომაელთა ჯარი თანდათან გააძევეს და ამიერიდან კოლხების
რომაელებისადმი მორჩილება მხოლოდ სამხედრო სამსახურ-
ში გამოიხატებოდა. IV საუკუნეში დასავლეთ საქართველოს
ტომებს შორის განსაკუთრებით გაძლიერდა ლაზების (მეგრე-
ლების) ტომი. ლაზებმა დაიმორჩილეს სხვა ტომები და მთელი
დასავლეთი საქართველო გააერთიანეს. ასე წარმოიშვა კოლხე-
თის ახალი სამეფო. ამ სამეფოს რომაელები, ლაზების სახელის
მიხედვით, ლაზიკას ეძახდნენ, ქართველები კი, ძველებურად,
ეგრისს.

ეგრისის მეფე რომის „მეგობრად და მოკავშირედ“ ითვ-

ლებოდა. არც ხარჯს უხდიდა რომაელებს და არც საშედოთ /
სამსახური ეკისრებოდა, თუმცა ფორმალური დამოუკიდებულება
ლება მაინც არსებობდა. ტახტზე ამავალ ეგრისის მეტეშტუმცემა
ტანტინოპოლიდან უგზავნიდნენ სამეფო ძალაუფლების და-
მაღასტურებელ ნიშნებს.

ეგრისის ასე გაძლიერება აღმოსავლეთ რომის იმპერიას
(ბიზანტიას), რა თქმა უნდა, ხელს არ აძლევდა და, როგორც კი
დრო და საშუალება მიეცემოდა, არაფერს ზოგავდა იმისათვის,
რომ ეგრისის ხალხი დაემორჩილებინა. V საუკუნის შუა ხანებ-
ში ეგრისისა და ბიზანტიის ურთიერთობა იმდენად გამწვავდა,
რომ მათ შორის ომი დაიწყო.

456 წელს რომაელთა ლაშქარი ეგრისში შეიჭრა. ლაშები
მამაცურად დახვდნენ შემოსეულ მტერს. გაშლილ ველზე მათ
დრმა ორმოები ამოთხარეს და შივ შუბები ჩაარკვეს. ზემო-
დან ამ ორმოებს ლეროებისაგან დაწნული ჩელტები
დააფარეს. შემდეგ მიწა დააყარეს და პური დათესეს. ნათე-
სებზე ჯეჭილი ამოიზარდა. ეგრისელებმა მტერი სწორედ ამ
გაშლილ ველზე შემოიტყუეს. რომაელი მოლაშქრეები ცხენ-
კაციანად შუბებზე ეგებოდნენ. მტერი უკუიქცა.

ეგრისიდან უკუქცეულმა, დამარცხებულმა დამპყრობელშა
ახალი ომისათვის დაიწყო მზადება. რომაელებს ნაწვნევი
ჰქონდათ ეგრისელთა წინააღმდეგობის ძალა და ბევრს ფიქ-
რობდნენ ხელახალ გამოლაშქრებაზე. V საუკუნის მწერლის
პრისკე პანიონელის ცნობით, რომაელები საბრძოლველად
რომ ემზადებოდნენ, თურმე ორჭოფობდნენ, რომელი მხრი-
დან შეეტიათ ეგრისისათვის—ზღვიდან, თუ სომხეთიდან (ირა-
ნის მოსაზღვრე რომაული სომხეთი). რომაელებს დახმარება
უთხოვიათ სპარსეთის შაპისათვისაც. არც ეგრისის მეფე გუ-
ბაზი იჯდა გულხელდაკრეფილი. მან ელჩები გაგზავნა ირანში
და შაპს რომაელების წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. ამ
დროს სპარსელები თვითონვე იბრძოდნენ აღმოსავლეთში და
არც ერთისათვის არ ეცალათ. ბოლოს ეგრისელები და რომაე-
ლები შეთანხმდნენ და ამჯერად ახალ ომს თავი დააღწიეს.

* * *

ამიერკავკასიის ხალხების 450-451 წლების აჯანყების ჩაქრის შემდეგ ირანელებმა თანდათანობით ხელი აიღეს შედარებით ზომიერ პოლიტიკაზე და გადაწყვიტეს, დაემორჩილებინათ მთელი ამიერკავკასია. ქართლში მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა V საუკუნის მეორე ნახევარში. ადგილობრივ ფეოდალთა ერთი ნაწილი ირანს ეხმარებოდა. ისინი სპარსელებისაგან წყალობასა და მამულებს ელოდნენ. ქართლის წარჩინებულთა შორის ირანის ყველაზე უფრო ენერგიული მომხრე იყო ქავემო ქართლის ერისთავი ვარსქენი. მან ქრისტიანობა უარყო და ცეცხლთაყვანისმცემლობა მიიღო. ამისათვის ირანის შაჰმა ვარსქენი კავკასიის ერთი დიდი ოლქის უფროსად დანიშნა. ვარსქენი შაჰს შეპპირდა, მეუღლეს და შვილებსაც ცეცხლთაყვანისმცემლობას მივაღებინებო. 469 წელს სპარსეთიდან მობრუნებული ვარსქენი მეუღლე შუშანიების სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. ქრისტიან ქალს არ სურდა, სარწმუნოებისათვის ელალატა. შუშანიკი აწამეს, სცემეს, გვემეს, აშიმშილეს, საპყრობილები ჩააგდეს. 475 წელს იგი საშინელ ტანგვაში გარდაიცვალა. ქართულმა ეკლესიამ შუშანიკი ქრისტიანობისათვის წამებულ წმინდანებში ჩარიცხა. შუშანიკის წამების ისტორია დაწვრილებით აღწერა V საუკუნის ქართველმა მწერალმა იაკობ ხუცესმა (ცურტაველმა).

იმ დროს ქართლის მეფე ვახტანგი შაჰს ირანში ჰყავდა დაბარებული. ვახტანგმა დიდხანს ვერ მოახერხა, სამშობლოში დაბრუნებულიყო. მაგრამ როგორც კი დაბრუნდა, სათავეში ჩაუდგა სახალხო მოძრაობას და გადაწყვიტა, მოძალადე დამპყრობლები საქართველოდან და ამიერკავკასიიდან განედევნა. დაუკავშირდა მოძმე სომებს და ალბანელ ხალხებსაც.

გოლიათური აგებულების ვახტანგი გამოცდილი სარდალი, ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე და მამაცი მებრძოლი იყო. სპარსელებმა მას „გორგასალი“ („მგლისთავა“) შეარქვეს. ბრძოლის დროს ვახტანგს ისეთი მუზარადი ეხურა, რომელზეც მგელი იყო გამოსახული. ქართველი ისტორიკოსის ჭუანშერის სიტყვით, როცა სპარსელები ბრძოლის ველზე ვახტანგს

დაინახავდნენ, ერთმანეთს უყვიროდნენ თურმე: „დურიზ/გორგასალ“, რაც ნიშნავს: „ერიდეთ მგლისთავას.“ ერთანაუზი ვახტანგი ჯერ კიდევ 15 წლისა იყო, ბრძოლაში აქმდის ჩატარდა.

ებრძოდა მოძალადე დამპყრობლებს და მშობლიური მიწა-წყლიდან სდევნიდა. სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თა-ვისუფლებისათვის თავდადებულმა მებრძოლმა ხალხმა შეიყ-ვარა ვახტანგ მეფე და ქება-ლიდება შეასხა. იგი ყოვლის-მძღვდ მიაჩნდათ და მის ძალას, ძლიერებას ლეთისგან მომად-ლებულად თვლიდნენ. ხალხში დღემდე შემორჩა ლექსი უძ-ლეველ ვახტანგ გორგასალზე:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზე ფეხი შედგა,
დიდმა მოებმა იწყეს ღრეკა.“

ვახტანგი ირანელთა წინააღმდეგ აჯანყებისათვის დიდხანს უმზადებოდა. უპირველეს ყოვლისა, შეეცადა სპარსელების მომხრე ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგობა გაეტეხა. მან 482 წელს მოაკვლევინა კავკასიის ოლქის უფროსი ვარს-ქენი. ვარსქენის მოკვლით დაიწყო ქართლის აჯანყება ირანის წინააღმდეგ. ამ დროს ირანს მძიმე ომი ჰქონდა შუა აზიაში. ვახტანგმა სწორედ ეს დრო შეარჩია აჯანყების დაწყებისა-თვის.

ქართლთან ერთად აჯანყდნენ სომხები და ალბანელები. ლაზარ ფარპეცის ცნობით, როცა სომხებმა ქართველთა აჯან-ყების ამბავი შეიტყვეს, გულით გაიხარეს და ვახტანგის სიმა-მაცით აღფრთოვანებულებს იმედი მიეცათ. მათაც დაიწყეს მზადება აჯანყებისათვის. თანაც ვახტანგმა და მისმა სომებმა თანამზრახველებმა ბიზანტიის სთხოვეს დახმარება. ბიზანტი-ის ამ დროს თვითონ უჭირდა და ხელი ვერ გაუმართა კავკასი-ელებს. ვახტანგი აღრევე დაუკავშირდა ჩრდილო კავკასიის ჰუნების მეომარ ტომებსაც. შეთანხმდნენ, რომ ჰუნთა მრა-ვალრიცხოვანი ლაშქარი აჯანყების დაწყებისთანავე ქართლში გადმოსულიყო. სამწუხაროდ, მხოლოდ 300 ჰუნი გადმოვიდა. ასე რომ, ჩრდილო კავკასიიდანაც ხელი მოეცარათ.

სომხებმა სარდლად იირჩიეს ვაპან მამიკონიანი და ენერ-გიულად ემზადებოდნენ აჯანყებისათვის. ამ მზადებაში რომ

იყვნენ, ზოგიერთმა მოღალატე დიდმა აზნაურმა — საკონფერის ხელისუფლებას აცნობა, ქართლის მეფეს ჰუნების გადაწყვეტილ არ მოსელია, სომხებმაც ბიზანტიის კეისარს სოსტეფანი აჭარება, მაგრამ ჯერ იქიდანაც არაფერი ჩანს, თვითონაც ჯერ არ არიან მომზადებულიო.

თუ ახლაც შემოუტევთ, — ურჩევდნენ მოღალატეები ირანელთა სარდალს, — ადვილად შევიძლიათ, აჯანყებულები დამარცხოთ, ხოლო თუ დაიგვიანებთ, მაშინ გაგიჭირდებათო. გაფრთხილებული ირანელები რამდენიმე ათასიანი ჯარით სასწრაფოდ შეიჭრნენ სომხეთში. სომხეთა მცირებიცხოვანი რაზმი სოფელ აკორისთან (არარატის მთის ძირის) მამაცურად შეებრძოლა შემოსეულ მტერს და სასტიკად დაამარცხა ის.

483 წლის გაზაფხულის დასაწყისში ირანელებმა დიდმალი ჯარი გამოგზავნეს სომხეთსა და ქართლში. ვახტანგი დარწმუნდა, რომ მრავალრიცხოვან მტერთან მარტო საკუთარი ძალებით შებრძოლება უაზრო იქნებოდა და თავისი ლაშქრით სომხეთის მთებში გამაგრდა ქართლის საზღვართან. აქ სომხებს დაელოდა. სურდა, შეერთებული ძალებით მიეტანათ იერიში. მალე ვახტანგთან მოვიდა სომხების ჯარი ვაპან მამიკნიანის მეთაურობით.

სომხეთა მეთაურებს ძალიან აღონებდათ ის გარემოება, რომ ჰუნების დამხმარე ლაშქარი არ ჩანდა. ვახტანგი არწმუნებდა მათ, ჰუნები საცაა, გამოჩნდებიანო. მაგრამ მოღოდინი არ მართლდებოდა. ამის მიუხედავად, ვახტანგმა გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ შებმოდა ირანელებს და გაბედული იერიშით უკუეგდო ისინი, მანამ, ვიდრე მტერი ქართლის შიდა რაიონებში შეიჭრებოდა და იქაურობის აოხრებას მოასწრებდა. სხვანაირად ფიქრობდა ვაპან მამიკნიანი. მისი აზრით, ირანელთა მრავალრიცხოვანი ლაშქრის გამკლავებას ქართველ-სომხეთა მცირე ძალები ვერ შეძლებდნენ და მიზანშეწონილად მიაჩნდა, მთებში დარჩენილიყო ჰუნების მოსვლამდე. ვაპანს და სხვა სომხეს სარდლებს ასეთი სიფრთხილის სხვა უფრო ღრმა საცუდველი ჰქონდათ. მათ იცოდნენ, რომ სომხეთა ჯარში ერთსულოვნება არ სუფევდა, რაც ასუსტებდა მებრძოლთა მხნეობას. ლაზარ ფარპეცის სიტყვით, ვაპანმა „იცოდა სომხეთა ჯარის სისუსტე და ხედავდა, რომ მას დაპკარგოდა მხნეობა“.

ბა, დაუძლურებულიყო და სრულებით არ ჰგავდა აღრინდელ
გულმოდგინე და მონდომებულ ლაშქარს".

მტრის წინააღმდეგ სწრაფი და გაბეღული შეტევის გეგმის
განსახორციელებლად ვახტანგს დასჭირდა ხერხისათვის მიე-
მართა. ერთ ლამეს ვახტანგმა ქართველი და სომეხი მზვერა-
ვები გაზავნა მთებიდან ველზე. როცა აღნიშნული მზვერავე-
ბი ველზე ჩავიდნენ, შორს, ვრცელ მინდორზე თვალი მოპე-
რეს, რომ კოცონები ენთო და ირგვლივ ადამიანები შემოსხ-
დომოდნენ. როგორც შემდეგ გამოიჩინა, ეს ვახტანგს წინას-
წარ მოეწყო. ვახტანგის ბრძანებით, სომეხთა გასამხნევებლად
დაენთოთ ეს კოცონები, ირგვლივ კუნძები შემოეწყოთ, ვი-
თომ ჰუნები გადმოვიდნენ.

დაბრუნდნენ მზვერავები და ამბავი მოიტანეს, ვრცელ მინ-
დორზე ჯარია დაბანაკებულიო. ვახტანგმა სომხებს მიმართა:
იქ, ჰუნების ბანაკია, ჰუნები მთებში არ ამოდიან, მეუბნებიან,
სომხები აქ ჩამოიყვანე, გვაჩვენე, მაშინ ვერწმუნებით შენს
სიტყვას და, რასაც გვიბრძანებ, ყველაფერს გავაკეთებთო.

თუ არ დამიჯერებთ და ველზე არ ჩახვალთ, — ეუბნებოდა
ვახტანგი სომხებს, — ჰუნები იქიდან არ დაიძვრიან, სპარსე-
ლები კი მობრუნდებიან და ქართლს აოხსრებენ.

ასე იყო თუ ისე, ბოლოს სომხები დათანხმდნენ და ჩაჰყვ-
ნენ ქართველთა ჯარს ველზე.

ქართველ-სომეხთა ჯარი ქართლში, გარდაბნის ველზე და-
ბანაკდა. მალე მათ პირდაპირ მტკერის მეორე ნაპირზე დაბა-
ნაკდა სპარსელთა ლაშქარი. იმ ღამეს სომეხთა ჯარიდან მო-
ლალატეებმა ირანელთა ლაშქარში მყოფ თავიანთ ნაცნობებ-
სა და ახლობლებს შეუთვალეს: ჩვენ ამ საქმეში ჩვენი სურ-
ვილით არ გავრეულვართ, ვაჲანმა ძალით გამოგვიყვანა, ხვალ,
ბრძოლის ველზე რომ გამოვალთ, ჩვენ თვითონ გავიქცევით
და სხვასაც ბევრს გავიყოლებთო. მეორე დღეს, ბრძოლის
წინ, ვახტანგი ამხნევებდა სომეხთა სარდლებს და არწმუნებ-
და, ქართველ-სომეხთა შეერთებული ლაშქარი ჰუნების
დაუხმარებლადაც დასძლევს სპარსელებსო. პირველი შეტევა
ქართველ-სომეხთა წარმატებით დაიწყო. მტრის ერთი ფრთა
უკუქცა, და მტკერის გადაღმა გადარეკეს, მაგრამ ამ გაცხა-
რებული ბრძოლის დროს ველიდან უეცრად გაიქცა სომეხთა

და ქართველთა ჯარის დიდი ნაწილი. გაქცეულ ქართველთა-
გან მრავალი მოღალატე მთელი ძალლონით გაჟყვრის კუნძულები-
ხები გაიქცნენ, და თავს უშველეთო. ბრძოლის ბედი უკვე გა-
დაწყვეტილი იყო.

ქართველ-სომეხთა დარჩენილი ჯარიც გაეცალა ბრძოლის
ველს და შემდგომი ბრძოლისათვის მზადებას შეუდგა.

484 წელს სომხეთსა და ქართლში ირანელთა აზალი, მრა-
ვალრიცხოვანი ჯარი შემოვიდა. ამ ჯარის მეთაურს შაპისაგან
ნაბრძანები ჰქონდა, ქართლის მეფე ვახტანგი ან შეეპყრო, ან
მოეკლა, ან ქართლიდან გაეძევებინა. ქართლში შემოსულმა
ირანელთა სარდალმა გარშემო შემოიკიბა ვახტანგის მოღა-
ლატეები, ზოგ ფეოდალს დიდ პატივს, ადგილ-მამულებს და
საჩუქრებს დაპირდა და ამ გზით რაზმიც კი შეადგინა.

ვახტანგი ხედავდა, რომ ბრძოლა წაგებული იყო, ქართლის
დიდ აზნაურთა გავლენიანი ნაწილი მტერმა გადაიბირა. სომ-
ხეთიც უმშეო მდგომარეობაში იმყოფებოდა და დახმარება
არ შეეძლო. ასეთ ვითარებაში ვახტანგი თავისი მომხრეებით
ეგრისში გადავიდა. ამასობაში ირანელები სასტიკად დამარცხ-
დნენ შუა აზიაში, თვით შაპი პეროზიც დაიღუპა ბრძოლის
ველზე, ისე, რომ მისი გვამიც ველარ ნახეს. სპარსელთა ჯარის
სარდლები იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ ქართლი და
სომხეთი. ამით ისარგებლა ვახტანგმა, ეგრისიდან ქართლში
გადმოვიდა და სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლა განაახლა.
ერთ-ერთ ბრძოლაში ვახტანგი მოკლეს მისმა პოლიტიკურმა
მოწინააღმდეგებმა (503 წ.). ქართლის დამოუკიდებლობისათ-
ვის დიდი სახალხო მოძრაობის მეთაური მცხეთას დაკრძალეს
სვეტიცხოველში და ქვის ძეგლი დაუდგეს. ძეგლზე ამოჭრეს
ვახტანგის სურათი „სწორი ასაკისა მისისა“ ე. ი. მისი ტანის
სიღიღისა.

ამრიგად, V საუკუნის მეორე ნახევრის განმათავისუფლე-
ბელმა ბრძოლებმა ამიერკავკასიის ხალხები იხსნა სრული გა-
დაგვარებისა და მოსპობისაგან. განუწყვეტელი წინააღმდეგო-
ბისა და სახალხო აჯანყების შედეგად ირანის მთავრობა იძუ-
ლებული გახდა, ქართველი, სომეხი და ალბანელი ხალხის
ერთბაშად გადაგვარების პოლიტიკაზე ხელი აეღო. 482—484
წლების აჯანყების შემდეგ ირანმა ალბანეთში მის მიერვე ად-
რე გაუქმებული მეფობაც კი აღადგინა.

ბრძოლა ბიზანტიელი და ირანელი
დამპროგლების წინააღმდეგ

„მიცვალებულები არ დამარხოთ!“

დადგა VI საუკუნე. სომხეთსა, ალბანეთსა და ქართლში ისევ ირანი ბატონობდა. ყველაფერს, რაც კი საჭიროა ადამიანის სიცოცხლისათვის, ბეგარა ედო. შაპის მოხელეთა თვითნებობას საზღვარი არ ჰქონდა: აშკარა ძალადობა, ყაჩაღური ძარცვა და უსამართლობა, დაპირება და მოტყუება, მუქარა და სასჯელი მათი საქმიანობის ჩვეულებრივ მეთოდებად იქცა. დამპყრობელთა ბატონობის სუსნი თუმცა მოსახლეობის ყველა ფენას უჭირდა, მაგრამ განსაკუთრებით მიწის მუშა დაზარალდა. სიღატაკე და შიმშილი მისი ცხოვრების თანამგზავრი გახდა. ყოველივე „მწუხარებით იყო აღსავსე და აღარავის აღარა ჰქონდა უნაღვლო ცხოვრება“.

ირანში ამ დროს კავალი მეფობდა (488—531 წწ.). მან კარგად იცოდა, თუ საქართველოში მტკიცედ ვერ გაბატონდებოდა, მის დაუძინებელ მეტოქეს ბიზანტიას ვერაფერს დაუკლებდა. შაპის აზრით, სანამ ამიერკავკასიის ქვეყნებსა და ირანში რელიგიური სხვადასხვაობა იარსებებდა — ამ ქვეყნებზე ბატონობას მტკიცე საფუძველი არ ექნებოდა. ამ მხრივ, ირანის მბრძანებელი მართალი იყო, მაგრამ სასტიკად შეცდა, როცა განიზრახა სომხეთში, ალბანეთსა და საქართველოში ქრისტიანობა აღმოეფხვრა და ირანული სარწმუნოება დაენერგა. მიიღო თუ არა ასეთი გადაწყვეტილება, შაპიმა ყველგან ბრძანებები დაგზავნა. მალე ქართლის მეფესაც მიართვეს კავალის ბრძანება: ყველა ქართველმა უარი თქვას თავისი წეს-ჩვეულებებზე და ჩვენს სჯულზე გადმოვიდესო. შაპის ბრძანების თანახმად, სხვათა შორის, ამიერიდან ქართველებს თავიანთი მიცვალებულები მიწაში კი არ უნდა დაემარხათ, არამედ მინდვრებში დაეგდოთ ძალებისა და ფრინველების საძიძგნად, როგორც ეს ირანში იყო მიღებული.

ქართლის მოსახლეობას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა: / ან უნდა დამორჩილებოდა შაპის ბრძანებას და ქართული მაკვადა და ქართულ კულტურაზე ხელი აეღო, ან ბრძოლით დაეცეა დამოუკიდებლობა. მონობას შეუჩვეველმა ქართველმა ხალხმა გადაწყვიტა, ებრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

აჯანყებისათვის მზადებას სათავეში ჩაუდგა ქართლის მაშინდელი მეფე გურგენი. უპირველეს ყოვლისა გადაწყვდა დახმარება ეთხოვათ ბიზანტიისათვის: ნათლად ჩანდა, რომ ქართლის სამეფო ირანის უზარმაზარ იმპერიას საკუთარი ძალებით ვერ გაუმკლავდებოდა. ირანი და ბიზანტია შეურიგებელი მტრები იყვნენ. ორივენი საუკუნეების განმავლობაში შეუპოვარი ენერგიით იბრძოდნენ საქართველოსა და საერთოდ, კავკასიაში გაბატონებისათვის. და თუ ქართლი ბიზანტიას მიმართავდა, დახმარების ხელი გამომიწოდეო, ეს ნიშნავდა, შენი ქვეშევრდომი გავხდებიო. ეს კარგად იცოდა გურგენმა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. ორ დიდ მტერს შორის მოქცეულ პატარა ქვეყანას მათი მეტოქეობით უნდა ესარგებლა და მოხერხებული პოლიტიკით დროებით მაინც შეემსუბუქებინა უცხოელთა ბატონობის სიმიმე. თანაც ბიზანტია რჯულის გამოცვლას არ მოსთხოვდა და ამით ქართველობა გადაგვარებას გადარჩებოდა.

გურგენმა ბიზანტიის იმპერატორს იუსტინეს (518-527 წწ.) შეუთვალა: გადავწყვიტეთ, თქვენს მხარეზე გადმოვიდეთ, თუკი პირობას მოვცემთ, რომ არასოდეს გადაგვცემთ მტარვალი ირანელების ხელშიო. იუსტინე დიდი სიხარულით შეხვდა ამ სასიამოვნო ცნობას, მაგრამ ქართლში მხოლოდ მცირერიცხვანი დამხმარე რაზმი გამოგზავნა.

523 წელს კავადმა გაიგო, რომ ქართლში აჯანყება დაიწყო ირანის ბატონობის დასამხობად და სასწრაფოდ გამოგზავნა მრავალრიცხვოვანი ჯარი. გურგენმა და მისმა თანამებრძოლებმა დაინახეს, რომ ბიზანტიის მცირერიცხვოვანი დამხმარე რაზმი ვერას უშეველიდათ. აიყარნენ და ეგრისში გადავიდნენ. აქ ქართლ-ეგრისის საზღვართან, ძნელად გასასვლელ ადგილზე გამაგრდნენ და ერთ ხანს წარმატებით იგერიებდნენ დადევნებულ მტერს. ბოლოს, როცა მარტო სიმამაცე საკმარისი არ აღ-

მოჩნდა, რომ ერთის ძალა ათის ძალისათვის გაეწონა უწოდები-
ნათ, ქართველები იძულებული გახდნენ, გასცლოჲშემოშეჭრა-
ლვა ემუტულ მტერს.

გურგენი თავისი მხლებლებითურთ ეგრისიდან კონსტან-
ტინოპოლიში ჩაეიდა. ათიოდე წლის შემდეგ ბევრმა მათგანმა
მოახერხა სამშობლოში დაბრუნებულიყო, ბევრი ბიზანტიის
სამსახურში ჩადგა. მათგან ნაწილი ირანელების წინააღმდეგ
ომებში დაიღუპა, ნაწილი კი სამუდამოდ ჩარჩა უცხოეთში.

გამარჯვებული დამპყრობელი ახლა უფრო მტკიცედ დაე-
პატრონა აღმოსავლეთ საქართველოს და ეგრისის ტერიტორი-
აზე ქართლის საზღვართან (ახლანდელი ზესტაფონისა და
თერჯოლის რაიონებში) მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეები —
შორაპანი და სკანდაც ხელში ჩაიგდო.

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ირანმა ქართლში მეფობა
მოსპო. ამიერიდან ქვეყნის უშუალო გამგებელად ირანის შა-
ჰპის მოხელე დაინიშნა. ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებში დამ-
პყრობელთა გარნიზონი იდგა.

მართალია, ქართლი დამარცხდა, მაგრამ აჯანყებამ ერთ-
გვარი შვება მაინც მოუტანა ხალხს. შაჰმა ხელი აიღო გადაწყ-
ვიტილებაზე, ქართველები გადაეგვარებინა და საქართველოში
ირანული წეს-ჩვეულებები ერთბაშად შემოეღო. ხალხის შეუ-
ნელებელი წინააღმდეგობა და ირან-ბიზანტიის მეტოქეობა
შაჰს უკარნახებდა, ფრთხილი და შედარებით ლოიალური პო-
ლიტიკის გზას დასდგომოდა. ამის მიუხედავად, ქართლის მო-
სახლეობაზე შეწერილი ხარჯი და სამხედრო ვალდებულება
(ქართველები მოვალენი იყვნენ, მონაწილეობა მიეღოთ ირა-
ნის ყველა ლაშქრობაში). თანდათანობით ოუტანელი გახდა.
დამპყრობლები და დაპყრობილები მუდამ ეჭვითა და უნდობ-
ლობით უყურებდნენ ერთმანეთს. ქართველები ხელსაყრელ
დროს უცდიდნენ, რომ ისევ აჯანყებულიყვნენ და გადაეგდოთ
მონობის უღელი. მაგრამ ამიერკავკასიის ხალხთა ახალი აჯან-
ყება ირანის წინააღმდეგ დროებით გადაიდო.



527 წელს ირანსა და ბიზანტიის შორის ომი დაიწყო. მეტერე წელს ირანის ჯარი დასავლეთ საქართველოში შეიქრა. ერთმანეთს ეომებოდნენ ეგრისში გაბატონებისათვის. ბიზანტიისათვის ეგრისი მოხერხებული დასაყრდენი პუნქტი იყო. ეგრისიდან ირანის წინააღმდეგ შეტევა უადვილდებოდა. ირანი, თუკი ეგრისში გაბატონდებოდა, შავ ზღვაზე გადიოდა. იქიდან კი ადვილად დაემუქრებოდა ბიზანტიის ცენტრს. გარდა ამისა, ეგრისი ყოველთვის ირანელთა წინააღმდეგ აჯანყებული ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის მებრძოლთა თავშესაფარი იყო. მეორე მხრივ,—და ეს არანაკლები მნიშვნელობის საქმე გახლდათ, ვიდრე სხვა რომელიმე — ვის ხელშიც იქნებოდა საქართველო და ალბანეთი, მისსავე სურვილზე იქნებოდა დამოკიდებული იმიერკავკასიის ვრცელ ტრამალებზე მომთაბარე მრავალრიცხვან და მეომარ ჰუნთა ტომების გამოყენებაც. ეგრისი, ქართლი და ალბანეთი ხომ კავკასიონის მთებიდან გადმოსასვლელ კარებს კეტავდნენ. ჩრდილო კავკასია იმითაც იზიდავდა ბიზანტიისა და ირანს, რომ ის მონების შეძენის დიდი და იაფი წყარო იყო. ეს მიზეზებიც რომ არა, ისიც საკმარისი იქნებოდა, ეგრისის სახით მის მფლობელს მდიდარი ქვეყანა და მამაცი ხალხი რომ ეყოლებოდა თავის განკარგულებაში. აი, რას წერდა ეგრისელებზე VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია, მას, რა თქმა უნდა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავწამებთ მიკერძოებას ლაშების შეფასებაში: „ძლიერი და მამაცი ტომია ლაშები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და გულადი არ მეგულება, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწა-წყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით.“ აი, რატომ იყო, რომ არც ერთ მხარეს, არც ირანს და არც ბიზანტიას, არ უნდოდა ეგრისის დათმობა. უიმისოდ ქართლსა და, საერთოდ, ამიერკავკასიაში ბატონობაც მტკიცე ვერ იქნებოდა.

ვერ კიდევ ქართლის 523 წლის აჯანყებამდე ირანი ბიზან-

ტიას ედავებოდა: ლაზიკა (ეგრისი) თქვენ უკანონოდ გიში-
რავთ, ის ძველი დროიდან ჩვენი იყოთ. ბიზანტია კი სპონსორი მისა-
მდევოს ამტკიცებოდა. მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ
კავადმა გადაწყვიტა, ომი დაეწყო. ამასობაში ქართლი აჯანყ-
და და, როგორც ვნახეთ, ირანმა ამჯერად ეგრისში მხოლოდ
შორაპნისა და სკანდას ციხე-სიმაგრის ჩაგდება მოახერხა.

აღნიშნული სიმაგრეების ირანელთა ხელში გადასვლამ სა-
კონებელში ჩააგდო ბიზანტიის იმპერატორის კარი. ირანი
ხომ ამით არ დაკმაყოფილდებოდა, ამ სასაზღვრო სიმაგრეებ-
ზე დაყრდნობით შეეცდებოდა, მთელი ეგრისი დაეპყრო. ბი-
ზანტიიელებმა სასწრაფო ღონისძიებანი გაატარეს ეგრისის
ზღვისპირა და ცენტრალური რაიონების გასამავრებლად. ამ
მზადებაში რომ იყვნენ, 528 წელს კავადის ჭარი შემოესია ეგ-
რისს. ეგრისელებმა, მათი მეფის წათეს მეთაურობით და ბი-
ზანტიიელთა დახმარებით, შეძლეს შემოსეული მტერი დაემარ-
ცხებინათ და თავიანთი ქვეყნიდან განედევნათ.

კავადი დარწმუნდა, დასავლეთ საქართველო რომ დაეპყ-
რო, ამისათვის უკეთ უნდა მომზადებულიყო. ხანგრძლივი მო-
ლაპარაკების შემდეგ, 532 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის
ზავი დაიდო. მას „საუკუნო ზავი“ უწოდეს იმის ნიშნად, რომ
თითქოს არასოდეს არ უნდა დარღვეულიყო. სინამდვილეში-
ორივე მხარე ამ ზავს უყურებდა, როგორც დროებითს და გა-
დამწვერი შეტევისათვის ემზადებოდნენ.

532 წლის ზავის თანახმად, დასავლეთ საქართველო ბიზან-
ტიამ შეინარჩუნა. ირანელებმა შორაპნისა და სკანდას ციხე-
სიმაგრე დატოვეს.

ხოსრო I და იუსტინიანი

იმ დროს, როცა 532 წლის ზავი დაიდო და საქართველო-
ორმა დამპყრობელმა გაინაწილა — აღმოსავლეთი საქართვე-
ლო ირანმა, ხოლო დასავლეთი — ბიზანტიამ, ირანში კავადის
შეილი — ხოსრო I მეფობდა (531—579 წწ.), ბიზანტიის იმ-
პერატორის ტახტზე კი იუსტინიანე იჯდა (527—565 წწ.). ორი
დიდი იმპერიის ეს ორი მეფე მუდამ სიძულვილით უყურებდა



ერთმანეთს და ორივემ მთელი თავისი ხანგრძლივი სერიული ფლეჭვები
ერთმანეთთან ომში გაატარა. პიგდეიონია

ხოსრო ნიკიერი სახელმწიფო მმართველი იყო. თავისი
ნამდვილი გულის ზრახვების მოხერხებულად შენიღბვის საქ-
მეში მას ვერავინ შეედრებოდა. ბუნებით სასტიკსა და შეუბრა-
ლებელს, ცბიერსა და გაუმაძლარს, ბოროტსა და ხარბს — ად-
ვილად შეეძლო, სრულიად უწყინარი, უცოდველი და მოწყა-
ლე ადამიანის სახე მიეღო, ისე, რომ ამ მომენტში მისი ნამდ-
ვილი შინაგანი გულისწყრომისა და გაბოროტების გამოცნო-
ბას თვით მახლობლებიც კი ვერ ახერხებდნენ. გარემოებისა
და ღროის შესაბამისად ის მზად იყო ყოველგვარ დაპირება-
ზე, მაგრამ არც ერთ აღთქმასა და დაპირებას — თუკი ის ოდ-
ნავ მაინც ხელს არ აძლევდა, არასოდეს არ ასრულებდა. უზო-
მოდ ხარბი და ვერცხლისმოყვარე ხოსრო ფულის გულისთვის
ყოველგვარ დანაშაულს ჩაიდენდა.

იმპერატორი იუსტინიანეც ბევრ რამეში ჰგავდა ხოსროს.
არა ნაკლებ იყო შეპყრობილი მსოფლიო ბატონობის სურვი-
ლით, ატარებდა რეაქციულ პოლიტიკას. სურდა, ალელგინა და
განემტკიცებინა უკვე ძირითადი შერყეული მონათმფლო-
ბელური წყობილება იმპერიის როგორც დასაცლეთ, ისე აღ-
მოსავლეთ ნაწილებში. თანამედროვეთა დახსიათებით, ამ
კაცს მთელი დედამიწაც ვეღარ იტევდა, მისთვის მსოფლიოს
მფლობელობაც ცოტა იქნებოდა; კაში ეთერს შეპყურებდა
და ოკეანეს იქით ეძებდა იღუმალ საყუდლებს, სადაც ცდი-
ლობდა თავისთვის მეორე სამყარო შეექმნა.

წარმოშობით იუსტინიანე ჩრდილოეთ მაკედონიელი გლე-
ხი იყო. ბიძამისი იუსტინე, რომელმაც სამსახური უბრალო
ჯარისკაცობით დაიწყო და სიკვდილამდე წერა-კითხვის უცო-
დინარი დარჩა, ჯერ იმპერატორის გვარდიის უფროსად დაწი-
ნაურდა, ხოლო შემდეგ კონსტანტინოპოლის იპოდრომზე არ-
მიამ იმპერატორად გამოაცხადა. იუსტინიანემ თავისი ღროი-
სათვის ბრწყინვალე განათლება მიიღო და უშვილო ბიძის
გარდაცვალების შემდეგ იმპერატორი გახდა. იმპერატორმა
სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ყველა მხარე საკუთარ ხელ-
ში ჩაიგდო. მას უნდოდა თვითონ, თავისი ხელით გაეკეთებინა
ყველაფერი და თავისი დაულალავი ენერგიით განცეიფრებას

იწვევდა კონსტანტინოპოლის არისტოკრატიულ წრეებში. გვ-ს
რეგნულად აუღელვებელი და თავდაქერილი იმპერატურული უცხად-
ვე დროს მკაცრი და ვერაგი იყო. ის არ იცნობდა ტექირის უკუკუ-
ყანას, მუდამ კაბინეტში იჯდა და აქ მოფიქრებული, ხშირად
რეალურ სინაზდვილეს დაშორებული, გეგმებით ახორციელებ-
და იმპერიის ხელმძღვანელობას.

აი, ასეთი ადამიანები იდგნენ მაშინდელი მსოფლიოს ორი
უდიდესი იმპერიის — ირანისა და ბიზანტიის (აღმოსავლეთ
რომის იმპერიის) სათავეში.

ირანისა და ბიზანტიის ინტერესები ერთად ვერ თავს დე-
ბოდნენ. იმ დროს, იმ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, შეუძ-
ლებელი იყო ხანგრძლივი მშეიღობიანობა და კეთილმეზობ-
ლური ცხოვრება. „საუკუნო ზავი“ მალე დაირღვა და ეგრის-
ში ისევ გაჩაღდა გამანადგურებელი და ხანგრძლივი სისხლის-
მღვრელი ომი.

„მთავარი შეზრდილებათ“

ცნობილია, რომ მეტოქე ქვეყნები დაიკავებდნენ თუ არა
ერთმანეთს შორის საღავო ტერიტორიას, პირველ ხანებში შე-
დარებით რბილად ექცეოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.
ერთმანეთის შიში ჰქონდათ — ვაითუ შეწუხებული ხალხი ავ-
ვიჯანყდეს და მტრის მხარეზე გადავიდეს; მაგრამ დიდი დრო
არ იყო საჭირო იმისათვის, რომ დაპყრობილ ადგილებში მეტ-
ნაულები სიმტკიცით ფეხის მოკიდების შემდეგ აღნიშნული
პრინციპი დავიწყებისათვის მიეცათ და სულ უფრო და უფ-
რო მეტი სიხარბით ეწუწნათ ქვეშევრდომების სისხლი.

ასე მოხდა ეგრისშიც. ბიზანტიამ მოიმაგრა თუ არა ფეხი,
მოსახლეობის ძარცვა-გლეჭა მაშინვე ჩვეულებრივ მოვლენად
იქცა. ბიზანტიის მრავალი, სხვადასხვა ტომებისაგან შემდგარი
ჯარიც გამდიდრებაზე ზრუნავდა, მაგრამ ყველაზე უფრო სა-
შინელი ჯარის მეთაურთა მოქმედება იყო. ამ მხრივ ყველას
გადააჭირბა სარდალმა ითანე ციბერ. ეგრისში განლაგებული
ბიზანტიის ჯარის სარდალს ითანეს ახასიათებდა სიხარბე და
გაუმაძლრობა, რაც შესანიშნავად იყო შეხამებული მეფე-ბა-

ტონისა და საიმპერატორო კარის დიდ და გავლენიან მოხუ-
ლეთა წინაშე მღიქვნელობასა და გაიძერობასთან ერმიტულების
მხოლოდ ამ თვისებებით შეიძლებოდა მაღალი თანმშეცვებობა
სათვის მიგელწია. იოანემაც ამ თვისებების წყალობით მიალ-
წია სარდლობას.

იოანეს რჩევით, იმპერატორმა იუსტინიანემ ბრძანება გას-
ცა ეგრისში, ზღვის სანაპიროზე, იქ, სადაც იმედად ციხისძი-
რია და სადაც ციცაბო, ქარაფოვანი კლდეები ვიწრო გასასვ-
ლელს ქმნიდა, — აეგოთ დიდი და მტკიცე ციხე-ქალაქი. ბრძა-
ნება შესრულდა და ამ ადგილს აღიმართა სიმაგრე. მას სახე-
ლად პეტრა უწოდეს. პეტრას ციხე-ქალაქი კეტავდა იმ გზას,
რომელიც სამხრეთიდან მოღიოდა ეგრისში ბიზანტიისა და
ირანის პროვინციებიდან და ამდენად მას უდიდესი სამხედრო
და სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. აი, აქ ჩაჯდა
იოანე, „ვითარცა აკროპოლში და ძარცვავდა ლაზთა ქონებას.“

სარდალმა მთელს ეგრისში თავისუფალი ვაჭრობა აკრძა-
ლა: ამიერიდან ვაჭრობის უფლება მხოლოდ მას და მის ავენ-
ტებს ჰქონდათ, თვითონვე აწესებდნენ ფასებს ყოველგვარ
საქონელზე, ყიდულობდნენ იაფად და ყიდღნენ ძვირად. გან-
საკუთრებით შეაწუხა ხალხი იმან, რომ მარილით თავისუფალი
ვაჭრობა აიკრძალა. ეს პირველი მოთხოვნილების საგანი ადგი-
ლობრივ არ მოიპოვებოდა და ყირიმიდან შემოჰქონდათ.

ეგრისელებმა გადაწყვიტეს, იარაღი აეღოთ და განედევნათ
უცხოელები თავისი ქვეყნიდან. ეგრისის პატარა სახელმწიფო
საკუთარი ძალებით ამას ვერ შეძლებდა. ქვეყანა იძულებული
გახდა, დახმარება ირანისათვის ეთხოვა. ეს ნიშნავდა, ირანე-
ლების მფლობელობაში გადასულიყვნენ. ასეთი იყო პატარა
ქვეყნის ბედი, ბედი ქვეყნისა, რომელსაც ორი შეუდარებლად
დიდი და ძლიერი მტერი მოსმალებოდა.

ეგრისის მეფის გუბაზის ელჩები ირანის სატახტო ქა-
ლაქში — კტეზიფონში ჩავიდნენ, საიდუმლოდ წარუდგნენ
ხოსროს და განუცხადეს, გადავწყვიტეთ, თქვენს მხარეზე გად-
მოვიდეთ და თქვენთან ერთად განვდევნოთ ბიზანტიელები
ჩვენი ქვეყნიდანო. ელჩები ეუბნებოდნენ ხოსროს: წყეულმა
ბიზანტიელებმა ჩვენს ქვეყანაში უამრავი გარი ჩააყენეს, ტუ-
სალებივით მოგვიმწყვდიეს და ჩვენს ქონებას დაეპატრონენ;

ჩვენს მეფეს ძალაუფლება წაართვეს და მას მხოლოდ მეფო-
ბის გარეგანი, მოჩენებითი ნიშნები დაუტოვეს; გვაიძულებენ: გ
ვიყიდოთ უკელაფერი, რაც მათთვის ზედმეტია და ჩექენ-ქუყან-
გვესაჭიროება. რაც თვითონ ესაჭიროებათ, და რისი შოვნაც
ჩვენში შეიძლება, თითქმის უფასოდ მიაქვთ. ფასებს თვითონ-
ვე აწესებენ. გვარომევენ ოქროს, უოველგვარ ძვირფასეულო-
ბას. ქვეყნის სათავეში დგას მთავარი მეწვრილმანე და წერილ-
წვრილად გვაცლის, რაც კი გვაბალია.

ხოსროს ლაპროგა ეგრისი

სიხარულით შეხედა ირანის მბრძანებელი ეგრისელი ელჩე-
ბის მოტანილ ცნობას. რა თქმა უნდა, ხოსროს ეგრისელებზე
გული არ შესტყიოდა, მისი ერთადერთი მიზანი იყო ეგრისი-
დან ბიზანტიიელები განედევნა და თვითონ გაბატონებულიყო.
კოლხიდაში (ეგრისში) ლაშქრობისათვის დიდი საიდუმლოე-
ბით ემზადებოდნენ. ჯარების შეგროვება ხომ არ დაიმალებო-
და, მაგრამ რისთვის აგროვებდნენ, ამას ხოსრო არავის არ უმ-
ხელდა. ელჩებიც გააფრთხილა: არსად და არავისთან კრინტი
არ დასძრათ იმის თაობაზე, რაზეც მოვილაპარაკეთო. რომ ემ-
ზადებოდა, განვებ ხმა გაავრცელა, ქართლში მივდივარ, რაღ-
გან იმ მხრიდან ჩვენს სამფლობელოებში ჰუნები შემოჭრი-
ლან და იმათ უნდა გავცე პასუხიო.

გულდასმით მომზადების შემდევ 542 წლის ზაფხულში
ირანის მრავალრიცხოვან ჯარს წინ ხოსრო წარუძღვა, ქართლი
გამოიარა და ეგრისისენ დაიძრა. ირანელთა ჯარს წინ ეგრი-
სელთა ელჩები მიუძღლდნენ. სურამის ქედის ხეობებსა და
ვიწრო გასასვლელებში ჯარს გადასვლა გაუჭირდა. ელჩების
რჩევით, ხოსრომ ბრძანება გასცა, გაეჩეხათ ხშირი და დაბუ-
რული ტყე, გაუსვლელი ხევები ხევებით აევსოთ და ამნაირად,
გაუვალი გზა სავალი გაეხადათ. ჯარი ნელა მიიწევდა წინ. არ-
სად არ შებრკოლებულან. ეტყობოდა, რომ ბიზანტიელთა წი-
ნაალდევ აჯანყებულ გუბაზს ზომები მიეღო. ასე დაუბრკო-
ლებლად მიაღწია ხოსრომ შუაგულ ეგრისს, სადაც მას გუბაზი
შეეგება და თავისი სამეფო ირანის მბრძანებელს შეავედრა.

დაიწყო დიდი ომი ირანსა და ბიზანტიის შორის ეგვიპტის
ტერიტორიაზე. ეს ბრძოლა ხანმოკლე შესვენებით მთელი 20
წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

ერებულის არა გამოსახულია

პეტრას დაცვა

გუბაზმა და ხოსრომ ერთად შეაღვინეს ეგრისიდან ბიზანტიელთა განდევნის გეგმა. გადაწყდა, უპირველეს ყოვლისა, იერიში მიეტანათ პეტრას ციხე-ქალაქზე. აქ იყო თავმოყრილი ბიზანტიის მთავარი ძალები ითანებული ციხეს მეთაურობით. პეტრა ბიზანტიის აღმოსავლეთი პროვინციებიდან და ირანის ჩრდილო-დასავლეთის საზღვრებიდან შემომავალ გზას კეტავდა. მეორე მნიშვნელოვან გზას, რომელიც აგრეთვე სამხრეთიდან შემოღილდა დასავლეთ საქართველოში — ახლანდელი აბასთუმნით, ზექარის გადასასვლელით და მაიაკოსით, იმ დროს უკვე ირანი უწევდა კონტროლს. ამიტომ გადაწყვიტეს გუბაზმა და ხოსრომ, პირველ რიგში პეტრა აეღოთ.

ხოსრომ ჯარის ერთი ნაწილი ანიაბედის სარდლობით ამ ციხე-ქალაქის წინააღმდეგ გაგზავნა და ბრძანა იერიშით აეღოთ. ჯარის მეორე ნაწილი პიტიუნტში (ბიჭვინთაში) და სევასტოპოლისში (ცოხუმში) გაიგზავნა. ამ ქალაქების ბიზანტიელთა გარნიზონმა, როგორც კი გაიგო ირან-ეგრისის ჯარი შოდისო, მაშინვე გადაწვა ორივე ქალაქი, სიმაგრეები დაანგრია, ხომალდებში ჩაჯდა და ტრაპეზუნტში გაიქცა.

იოანე ციხემ გაიგო თუ არა, მტერი ქალაქს უახლოედებაო, გადაწყვიტა ხერხი ეხმარა, მოეტყუებინა და ისე გაექლიტა მოწინააღმდეგენი. სარდალმა ბრძანება გასცა, არც ერთი ჯარისკაცი არ გამოსულიყო ქალაქის ზღუდის გარეთ, არც კი დალებზე დამდგარიყო ვინმე; ციხის მცენელი ჯარი ქალაქის ჭიშკრის მახლობლად დააყენა და დაარიგა: არავის ხმა არ ამოელო და სრული სიჩუმე დაეცვა.

ირანელები ციხის კედლებს მიაღვნენ, მაგრამ იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, არც არავინ ჩანდა. ანიაბედმა იფიქრა, მტერს ქალაქი დაუტოვებია და გაქცეულაო. ბრძანება გასცა, კედლებზე კიბეები მიედგათ და თან ხოსროს აცნობა, ბიზანტიე-

ლები არ ჩანანო. სამხედრო საქმეებში გამოცდილი შაჰი მისა-
და, რომ რაღაც ოინი იყო მოწყობილი და ანიაბედს კეჭუნდჲულ-
უგზავნა თავისი ჯარის დიდი ნაწილი, თან უბრძანაშე მჭრელულება
მხრით იერიში მიეტანა კედლებზე, ქალაქის ვიშკრისათვის კი
კედლის სანგრევი მანქანები (ტარანები) მიეყენებინა.

შაჰი ამალით პეტრას მახლობლად მდებარე ერთ მაღალ
გორაკზე ივიდა. იქიდან ადევნებდა თვალყურს იერიშს. ანია-
ბედს და მის ჯარს მაინც ეგონათ, რომ ციხე-ქალაქი დაცარიე-
ლებული იყო. ისინი თამამად და ყოველგვარი სიფრთხილის
გარეშე მიადგნენ ზღუდის კედლებს და კიშკარს. მაშინ მოხ-
და მოულოდნელი და წარმოუდგენელი რამ. გარნიზონის ჯარ-
მა უცბად კიშკარი გააღო და მოვარდნილი ზვავივით ეკვეთა
გაუფრთხილებელ მტერს. მოულოდნელობისაგან თავზარდა-
ცემული ირანელები დაიბნენ. საბრძოლო წყობის მიღება ვერ
მოახერხეს, მეტი წილი გაიკლიტა. გადარჩენილებმა კი სარ-
დალთან ერთად გაქცევით უშველეს თავს.

პირველივე დღის ასეთი მარცხით დამთავრებაშ საშინლად
განარისხა ირანის მხრძანებელი და ყველაფერი თავის სარ-
დალს დააბრალა. ირანის სარდალი ვიღაც მეწვრილმანე და ჯა-
ბანმა იოანემ როგორ მოგატყუაო და გაჯავრებულმა საზარე-
ლი სასჯელი გამოუტანა: ანიაბედი სარჩე წამოაგეს.

ამის შემდეგ თვით შაჰი ჩაუდგა სათავეში მთელ ჯარს და
ერთდროულად ყოველი მხრიდან იერიში მიიტანა. წამოვიდა
ისრების წვიმა. ბიზანტიელები მაღლიდან (კედლებიდან) ის-
როდნენ, რაც მათ ერთგვარ უპირატესობას ანიჭებდა. მათი
ისრები ხშირად აღწევდა მიზნამდე. დღე იწურებოდა, როცა
მოიერიშეთა მხრიდან გამოსროლილი ისარი კისერში მოხვდა
იოანეს. სარდალი დაიღუპა. მეთაურის დაკარგვამ თავდამც-
ველთა საბრძოლო განწყობილება ერთგვარიდ შეასუსტა, მაგ-
რამ ბრძოლა მაინც არ ცხრებოდა. მოწინააღმდეგენი ღამის
სიბნელემ გაჰყარა.

მეორე დღეს ხოსრომ გარიერაჟზე განაახლა შეტევა. ირა-
ნელთა ერთმა ნაწილმა ქალაქის კედლის ერთ-ერთი კოშკის
ქვეშ გვირაბი გათხარა, იქიდან ქვები გამოიტანა, მათ ადგი-
ლას შეშა ჩაწყო და ცეცხლი წაუკიდა. ცეცხლმა შენობის
ქვების წყობა შეარყია და კოშკი ჩამოიქცა. ამ დროს შემტევ-

თა მეორე ნაწილში მანქანები მიაყენა კედლებს და ტლერულ
დაარტყა. კედელი ჩამოინგრა. მალე ცხადი გახდა უპოვერესობა —
აღმდეგობის შემდგომი გაწევა შეუძლებელი იყო და ბიზანტი-
ელებმა იარაღი დაპყარეს. პეტრია ხოსროს დანებდა.

ამ ღრის ხოსროს ირანიდან ჩამოსულმა შიკრიებმა ამბავი
მოუტანეს, ბიზანტიის სახელგანთქმული სარდალი ველიზარი
ირანის საზღვრებში შემოიჭრა. შეშფოთებულმა ხოსრომ
პეტრაში გარნიზონი ჩააყენა, თვითონ კი ჯარი გაიყოლია,
ტყვე რომაელებიც თან წაიყვანა და სასწრაფოდ ირანში გაბ-
რუნდა.

ზავის ვირაგული გაგება

545 წელს ირანსა და ბიზანტიას შორის დროებითი ზავი
დაიდო. არც ერთი მხარე ამ ზავით კმაყოფილი არ იყო. თუმ-
ცა ბიზანტიელები ეგრისიდან გააძევეს, მაგრამ ვერც ირანმა
მოიკიდა ფეხი. ირანელთა ჯარი მხოლოდ პეტრაში და ეგრისის
ზოგიერთ სოფელში იყო გამაგრებული. ხოსროს მთავარი მი-
ზანი — საქართველოში გაბატონებულიყო — მიუღწეველი
რჩებოდა. ირანის მბრძანებელმა კარგად იცოდა, რომ გუბაზი
და ეგრისელები თავისი მიზნისათვის არ გამოადგებოდათ.

დროებითი ზავი ხოსროს იმისათვის სჭირდებოდა, რომ ამ
ხნის განმავლობაში ბიზანტია სიფრთხილეს მოადუნებდა, ამით
ისარგებლებდა და კარგად მოემზადებოდა თავისი მთავარი
მიზნის განხორციელებისათვის. როგორც ვთქვით, ეგრისელე-
ბის იმედი მას არ ჰქონდა და ბოროტი და ვერაგული გეგმა
შეიმუშავა. შავმა გადაწყვიტა, დასავლეთ საქართველოს მო-
სახლეობა საკუთარი მიწა-წყლიდან აეყარა და ირანის სხვა-
დასხვა პროვინციებში დაესახლებინა, დაცარიელებულ ეგრის-
ში კი ირანელები ჩაესახლებინა.

ხოსროს, უპირველეს ყოვლისა, სურდა ეგრისის მეფე გუ-
ბაზი ჩუმად მოექლა. შავმა ერთ თავის ახლობელ და სანდო
კაცს ფაბრიზს სამასი სანდო და ერთგული მეომარი ჩააბარა
და ეგრისში გამოისტუმრა, გუბაზი მოკალიო.

ჩამოვიდა თუ არა ეგრისში, ფაბრიზი დაუკავშირდა ერთ

ადგილობრივ აზნაურს, სახელად ფარსანს, რომელიც გულის გას ემტერებოდა, გაანდო მას ირანის მბრძანებლის გვეკმიადიდან დახმარება სთხოვა. ფარსანსი სიამოვნებით დაეთანხმა. ტიტულის ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც ეს ხოსროს უნდოდა, მაგრამ ფარსანსმა დაძლია პირადი მტრობა და სამშობლოს არ უღალატა. მან საიდუმლოდ აცნობა გუბაზს, რას აპირებდნენ ირანელები.

ხოსროს ვერაგული გეგმა გამეღავნდა. ირანელებისაგან ისედაც შეწუხებული ეგრისელები აღმფოთდნენ. გადაწყდა, აჯანყებულიყვნენ ირანელების წინააღმდეგ.

გუბაზმა ახლა იუსტინიანეს სთხოვა, მიეტევებინა წინანდელი დანაშაული და დახმარებოდა ირანელების ეგრისიდან განდევნის საქმეში.

ოთხე განახლება

იუსტინიანეს გაუხარდა, დახმარება რომ თხოვეს ეგრისელებმა, არ დააყოვნა და რვა ათასი მეომარი გამოგზავნა ეგრისში სარდალ დაგისთეს მეთაურობით.

549 წელს გუბაზისა და დაგისთეს შეერთებულმა ლაშქარმა ალყა შემოარტყა პეტრას. პეტრას ირანელთა გარნიზონს საკმარის ჰქონდა სურსათი და საომარი მოწყობილობა, ასე რომ, ალყას დიდხანს გაუძლებდა. გარნიზონი იმედოვნებდა, ირანიდან დიდძალი ცხენოსანი და ქვეითი ჯარი მოეშურება სარდალ მერმეროეს მეთაურობითო. ციხის მცველები დროის მოგებას ცდილობდნენ. პეტრას ალყა გაჭიანურდა. მერმეროეს ჯარი სადაცაა, გამოჩნდებოდა. მდგომარეობა დაყოვნებას არ ითმენდა. გუბაზმა აწონ-დაწონა შექმნილი ვითარება და გადაწყვიტა, პეტრასათვის ალყა არ მოეხსნათ, დაგისთეს თავისი ჯარის ერთი ნაწილით ეგრისში შესასვლელი გზები დაეცვა, თვითონ კი ეგრისელთა ჯარით, ქართლიდან ეგრისში გადმოსასვლელი გზები ჩაეკეტა.

გუბაზს გეგმა კარგად მოეფიქრებინა, ადგილმდებარეობისა და შექმნილი რთული ვითარების შესაფერისად აეწონ-დაეწონა. ძნელად გადასალახავ გადმოსასვლელებს თუ ჩაკეტავდნენ,

ირანელთა დასახმარებლად მომავალი მერმეროები ჭარი შე-
 უოვნდებოდა და პეტრას მცირერიცხოვან გარნიშენს რშლე-
 ლად მოერეოდნენ. სამწუხაროდ, ბიზანტიელთა ახალგაზრდა
 და გამოუცდელმა სარდალმა ვერ გამოიყენა ხელსაყრელი პი-
 რობები. გადმოსასვლელების ჩაკეტვა მაინცდამაინც დიდ
 ჟაქმედ არ მიიჩნია და მხოლოდ 100 მეომარი გაგზავნა. თვა-
 თონ კი პეტრას არ სცილდებოდა. სარდალს მოუთმენლობით
 სული მისდიოდა და ახალგაზრდული გატაცებით ესწრაფოდა,
 პეტრას ციხე-ქალაქის ამღების სახელი მოეხვევა; დარწმუნე-
 ბული იყო, რომ მალე აიღებდა. სულსწრაფმა იუსტინიანეს
 წერილიც მისწერა: პეტრას მალე ავიღებ და საჩუქრები მზად
 იყოსო. დღე დღეს მისდევდა, მავრამ დაგისთვე ვერაფერს აკ-
 ლებდა პეტრას. ირანელები ეშმაკობდნენ. მერმეროეს მოლო-
 დინში დრო გაძყავდათ და დაგისთესთან მოლაპარაკება გა-
 მართეს. დაგისთვე რომ ამ უსარგებლო მოლაპარაკებით იყო
 გართული, მერმეროე სწორედ იმ გზით შემოვიდა, სადაც ბი-
 ზანტიელთა ასი მეომრისაგან შემდგარი რაზმი იდგა, სასწრა-
 ფოდ გაფანტა ისინი და პეტრასკენ გამოეშურა. დაგისთვე შე-
 შინდა, დაფრთხა და პეტრას ალყა მოხსნა, მდინარე რიონისა-
 კენ გაიქცა ისე უთავბოლოდ, რომ ჭარისთვის არავითარი ბრძანება არ მიუცია და მთელი ქონებაც ბანაკში დატოვა.
 მერმეროე მეცხრე დღეს მოვიდა პეტრაში, ციხე გაამაგრა,
 3000 რჩეული მეომარი ჩააყენა და თვითონ სხვაგან დაბანაკდა.

ირანელების განდევნება ეგრისიდან

549 წლის ზამთარი დადგა. კოლხეთის მთა-ბარი თოვლმა-
 დაფარა. ასეთ დროს ირანელები ჩვეულებრივ საბრძოლო ოპე-
 რაციებს წავეტდნენ და ჭარს საზამთროდ აბინავებდნენ. ირა-
 ნელთა მრავალრიცხოვანი ჭარი უსურსათობის გამო დიდ გა-
 საჭირში იყო. მერმეროემ თავისი 30.000-იანი არმიიდან 5.000
 მეომარი გამოაჩია, სარდლები მიუჩინა და ეგრისში დატოვა,
 თვითონ კი დანარჩენი ჭარით პეტრასარმენიაში (სომხეთის იმ-
 ნაწილში, რომელიც ირანის ბატონობის ქვეშ იყო) წავიდა და
 მეომრები ქალაქ დვინის მიდამოებში დასვენა.

სამარცხევინო დამარცხებაშ დაამწუხრა გუბაზ მეფე. და
ცხვენილმა კვლავ განაგრძო ქართლიდან გადმოსასვლელში ჭრების
გას დაცვა, რაღვან საესებით სწორად ფიქრობდა, რაზე ჭრების
სწორედ ძეედან შეეძლო სასიცოცხლო მნიშვნელობის ზიანი
მიეყენებინა ეგრისის ცენტრალური რაიონებისათვის. მდინარე
რიონის სამხრეთ ნაწილში პეტრას გარდა სხვა მნიშვნელოვანი
ციხე-სიმაგრე არ იდგა. ეგრისის ეს ნაწილი ნაკლებად დასახ-
ლებული და ღარიბი იყო. გუბაზი ყოველთვის მთავარ ყურად-
ღებას აქცევდა ეგრისის მჭიდროდ დასახლებულ, ქალაქებითა
და სოფლებით მოფენილ, მოსავლიანობითა და სიმდიდრით
განოქმულ ნაწილს რიონის მარჯვენა მხარეზე. ირანელები
542 წელს მან რიონის სამხრეთ ნაწილში შემოიყვანა, რომ არ
ეჩვენებინა მათთვის ჩრდილოეთის მდიდარი მხარე. ახლაც
იმას ცდილობდა, სხვა თუ ვერაფერს მოახერხებდა, ირანელე-
ბი ეგრისის ცენტრალურ რაიონში მაინც არ შეეშვა. რიონის
მარჯვენა სანაპირო ხაზი გუბაზი საგანგებოდ ჰქონდა გამაგ-
რებული, იმ შემთხვევაში, თუ მტერი მდინარეს გადმოლახავ-
და, ხმელეთზე არ უნდა გამოეჭავანებინა.

პეტრასთან დამარცხების შემდეგ დაგისთე რიონის სამხ-
რეთ სანაპიროზე დადგა, მდინარის შესართავის მახლობლად.
ქართლიდან გადმოსასვლელებს და რიონის მარჯვენა სანაპი-
როს გუბაზი იცავდა. ირანელთა ის ხუთიათასიანი რაზმი კი,
რომელიც მეტეროემ დატოვა, მდინარის სამხრეთით იყო გან-
ლაგებული, დაგისთეს ბანაკის აღმოსავლეთით, მისგან კარ-
გად მოშორებით და გუბაზის ბანაკთან შედარებით ახლოს.

ხოსრო და იუსტინიანე ახალ ჭარებსაც ამზადებდნენ, რომ
550 წლის გაზაფხულიდანვე ენერგიულად შეეტიათ ერთმანე-
თისათვის. საზაფხულო საომარი კამპანიის დაწყებამდე გუბაზ-
მა გადაწყვიტა, ბოლო მოეღო ირანელთა იმ ხუთიათასიანი
რაზმისათვის, რომელიც რიონის სამხრეთით იყო დაბანაკე-
ბული. ამ მიზნით გუბაზმა დაგისთეს სოხოვა, მომეშველეო.
დაგისთეც მდინარის სამხრეთ სანაპიროს გამოჰყევა და მიაღწია
იმ ადგილს, სადაც პირისპირ, მარჯვენა ნაპირზე გუბაზი იდ-
გა. ირანელებმა ათასი კაცისაგან შემდგარი რაზმი გამოჰყევეს
ბანაკიდან და ჩრდილოეთით გაგზავნეს, რომ ბანაკი გუბაზის
მოულოდნელი თავდასხმისაგან ეხსნათ. არც ბიზანტიელებმა

და არც ირანელებმა არ იცოდნენ, თუ აქ საღმე შეიძლებადა
მდინარეზე გადასულიყვნენ, მაგრამ ეგრისელები უკუკუტეს მეტა-
დავიდნენ ფონზე და გუბაზისა და დაგისთხეს ჯარები შეერთდა.

გუბაზმა ხელთ იგდო ირანელთა ორი მზვერავი. მათგან
დაწვრილებით გაიგო, საღ იყო მზვერავი რაზმი, რამდენი მე-
ომარი იყო. სასწრაფოდ დაესხა მათ თავს და ისე გაანადგურა,
რომ ათასი მეომრიდან ერთმაც ვერ მოახერხა ბანაკში თავი-
სიანებთან დაბრუნება. ამის შემდეგ გუბაზმა გადაწყვიტა, ღა-
მით მოულოდნელად დასცემოდა ირანელთა მთავარ ბანაკს.

ირანელთა ბანაკში არაფერი იცოდნენ მომხდარ ამბებზე
და დამშვიდებულები ისვენებდნენ. ბანაკს მშვიდად ეძინა. გა-
თენების ხანს, ჭერ კიდევ ბინდ-ბუნდში ეგრის-ბიზანტიის ჯა-
რი თავს დაესხა ბანაკს. ირანელთა უმეტესობა ბრძოლის ველ-
ზე დაეცა, დანარჩენი ტყვედ ჩავარდა. მტრის ყველა საბრძო-
ლო დროშა, იარაღი და ბანაკის სხვა სიმდიდრე — დიდალი
ფული, ცხენები, სახედრები და სხვა — გამარჯვებულთ დარ-
ჩათ. გუბაზი დაედევნა იმათ, ვინც გაქცევა მოასწრო, საზღვ-
რებამდე მისდია და ქართლში გადარეკა. ამრიგად, მთელი ეგ-
რისი გაწმინდეს ირანელებისაგან. ირანელთა გარნიზონი მხო-
ლოდ პეტრას ციხე-ქალაქში იდგა.

ბრძოლა ცხადისშესახვის ნაპირზე

550 წლის ზაფხულში ეგრისს ირანის მრავალრიცხოვანი
ჯარი შემოესია ხორიანეს სარდლობით. მტერმა ბანაკი მდინა-
რე ცხენისწყლის ნაპირზე გაშალა. გუბაზმა და დაგისთემ
სარდლები სამხედრო თათბირზე მიიწვიეს. სურდათ დაედგი-
ნათ: დაეცადათ და დახვედროდნენ ირანელთა შემოტევას, თუ
თვითონ პირველნი გადასულიყვნენ შეტევაზე. ერთნი ერთს
ამბობდნენ, მეორენი — მეორეს. ბოლოს შეთანხმდნენ, თვი-
თონეე შეეტიათ. ბჭობა ისევ გაგრძელდა. ეგრისის ჯარის მე-
თაურებმა მოითხოვეს, პირველნი თვითონ წასულიყვნენ შე-
ტევაზე. ამ მოსაზრებას იმით ასაბუთებდნენ, რომ აქ, საკუთარ
ქვეყანაში, ქართველებს გული შესტკიოდათ ცოლ-შვილზე,
ქონებაზე, სამშობლოზე. ბიზანტიელებს სხვისი ქვეყანა იმდე-

ნად არ ედარდებოდათ, ამიტომ ეშინოდათ, ვაითუ აქ ამ გრ-
დამწყვეტ ბრძოლაში, ბიზანტიიელებს თავი არ გამოეფით და
შეტევა დაებრკოლებინათ. საბუთი უსაფუძვლო არ უმცირეს მიუკა-
ლას კარგად ახსოვდა, თუ როგორ სამარცხვინოდ გამოიქცნენ
პეტრადან დაგისთე და მისი ჯარი და აშკარა გამარჯვება ხელი-
დან გაუშვეს. ბიზანტიიელებმა ყურად იღეს ეგრისელთა მოთ-
ხოვნა და შეთანხმდნენ, პირველად ეგრისელებს შეეტიათ.

აღფრთოვანებულმა გუბაზშა თავისი მეომრები ბიზანტიიე-
ლებისაგან ცოტა მოშორებით დააყენა და შეტევის წინ ასე-
თი სიტყვებით მიმართა:

— არ ვიცი, ვაჟკაცებო, საჭიროა თუ არა კიდევ მოგმარ-
თოთ სიტყვით. მე ვფიქრობ, რომ არავითარ მოწოდებას აღარ
საჭიროებენ ისინი, ვინც ჩვენი ამეამინდელი მძიმე მდგომარე-
ობით შეშფოთებულია. ჩვენ ვიბრძიოთ ჩვენი ცოლ-შვილისა-
თვის, ჩვენი სამშობლოსათვის, ერთი სიტყვით, ყველაფრისა-
თვის, რის გამოც სპარსელებმა ჩვენზე იარაღი აღმართეს...
თქვენ კარგად იცით, რომ სპარსელების სიხარბეს საზღვარი
არა აქვს. თუ ისინი ისევ შეძლებენ ძალაუფლების ხელში ჩაგ-
დებას, თუ ამ ომში ჩვენზე გაიმარჯვებენ, არამცუ ჩვენი
მბრძანებლები გახდებიან, არამედ ხარქსაც დაგვადებენ და
სხვა მხრივაც ისე მოგვეპყრობიან, როგორც მონებს... მაგრამ
დაე, მარტო სიტყვა ნუ იქნება ჩვენი გადაწყვეტილება, საჭ-
მით დავამტკიცოთ ჩვენი ურყევობა, დაე, ნუ აღიგვება სახე-
ლი ლაზთა. ხშირად გავვიმარჯვნია ირანელებთან ხელჩართულ
ბრძოლაში. მიჩვეულისათვის არ არსებობს არავითარი სიძნე-
ლე, ვინაიდან საქმის სიძნელე წინდაწინვე ქრება მეცადინეო-
ბისა და გამოცდილების წყალობით. ერთხელ დათრგუნვილი
სიამაყე, ჩვეულებრივ, ვეღარ აღორძინდება ხოლმე. მაში, იქო-
ნიეთ ყველაფერი ეს მხედველობაში, კეთილი იმედით აღსავ-
სენი გაემართეთ და შეუტიეთ მტერს!

შემტევი ჯარი გუბაზშა შემდეგნაირად დააწყო: პირველ
რიგში ქართველთა ცხენოსანი მეომრები იდგნენ, მათ უკან,
კარგა მოშორებით, ბიზანტიიელი მხედრები, სულ ბოლოს კი
თვით გუბაზი და დაგისთე — ქვეითი ჯარით.

ხორიანემ ბანაქში მცირე რაზმი დატოვა და მთავარი ძა-

ლებით ბრძოლის ადგილისაკენ გაემართა. მას წინ მოუძღვნდა
ირანელთა მხედრობის მზეერავი ათასეული.

ცხენოსანთა პირველ შეტაკებაში ირანელებმა პიშავატშემს წარმატებას. გუბაზის მხედრებმა უკან დაიხიეს და ბიზანტიელთა მხედრებს შეუერთდნენ. მოწინააღმდეგენი უკვე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, მაგრამ შეტევაზე არც ერთი მხარე არ გადადიოდა. კარგა ხანს მცირერიცხოვანი რაზმები უტევდნენ ერთმანეთს. ხან ერთი იხევდა უკან, ხან მეორე. ბოლოს ირანელთა ათასეული დამარცხდა და უკან დაიხია. ამასობაში გუბაზისა და დავისთეს ქვეითი ჯარი მხედრობას შეუერთდა. ცხენოსნებიც დაქვეითდნენ, მჭიდრო და ერთიანი ფრონტით, წინ გამოწეული შუბებით დადგნენ და ირანელებს შეუტიეს. ირანელებმა შუბის წვერებით კედლად აღმართული წყობა გაარღვიეს. შუბის წვერებზე დაძვერებული, გამწარებული და საბრძოლო ჯარების გამაყრუებელი ხმაურით დამფრთხალი ცხენები ყალყზე დგებოდნენ და მხედრებს ძირს ავდებდნენ. მაშინ, ხორიანეს ბრძანებით, ირანელებმა ცოტათი უკან დაიხიეს და ისრების სროლა დაიწყეს. მოწინააღმდეგემაც ამითვე გასცა პასუხი. განგმირული ირანელთა სარდალი ცხენიდან გადმოვარდა და პირქვე დაეცა მიწაზე. გამოცდილი და მამაცი სარდლის სიკვდილმა ჯარში არევ-დარევა გამოიწვია. ქართველ-ბიზანტიელებმა შეტევა გააძლიერეს. მტერმა ვერ გაუძლო ახალ შემოტევას და ზურგი აქცია ბრძოლის ველს, ნაწილი გაიყლიტა, ნაწილმა გაქცევით უშველა თავს. ირანელთა ბანაკი დაიშალა.

აჯანყება აზხაზოთში

ეგრისში ბრძოლის უამს ბიზანტიელებს აფხაზეთში აუგანყდნენ. იმპერატორ იუსტინიანეს თავიდანვე უნდოდა ეგრისის სამეფო დაესუსტებინა. ამ მიზნით ცდილობდა მეფის ხელისუფლებისაგან ეგრისის პროვინციები ჩამოეშორებინა და თავისი უშუალო ბატონობა დაემყარებინა. აფხაზეთში დაბანაკებული ბიზანტიელთა ჯარი აშეარა ძალადობას მიმართავდა დაგილობრივი მოსახლეობის მიმართ და ახალ-ახალ წესებს

ამჟარებდა. უცხოელთა ბატონობით შეწუხებულმა ზალვადის
ისარგებლა იმით, რომ ბიზანტიის ჯარი ეგრისის ცენტრულურად
რაიონებში იყო დაბანაკებული, და აჯანყდა.

აჯანყებულთა მთავარი დასაყრდენი პუნქტი და ერთადერ-
თი იმედი ზღვისპირა დიდი, მტკიცე და მიუღომელი ციხე-
სიმაგრე ტრაქეა იყო. იმპერატორმა იუსტინიანემ აჯანყებულ-
თა წინააღმდეგ დიდძალი ჯარი გაგზავნა ზღვითა და ხმელე-
თით. ხომალდებით მომავალმა ჯარის ნაწილმა დასავლეთიდან
შემოუარა ციხე-სიმაგრეს, ხმელეთის ჯარი კი აღმოსავლეთი-
დან მიადგა. ამრიგად, აფხაზები მტრის გარემოცვაში მოექც-
ნენ და იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ ციხისკენ მიმავა-
ლი ერთადერთი ვიწრო ბილიკით. ბიზანტიელები ორივე მხრი-
დან აჰყვნენ ბილიკს და გაქცეულებმა და დადევნებულებმა
ერთდროულად მიაღწიეს ციხის კარებს. ციხის დარაჯები შეე-
ცალნენ, თავისიანები შეეშვათ ციხეში, მაგრამ ერთმანეთში
არეული მტერ-მოყვრის გამოცალკევება შეუძლებელი გახდა
და ბრძოს მოწოლის გამო კარების დაკეტვაც ვერ მოახერხეს.
ამრიგად, ბიზანტიელებიც და აფხაზებიც ციხის შიგნით აღმო-
ჩნდნენ.

ბიზანტიელებმა იფიქრეს, აფხაზები ტყვედ ჩავიგდეთო,
მაგრამ მოტუვდნენ. აფხაზები ციხის შიგნით აებულ და ყო-
ველი მხრიდან შემოზღუდულ სახლებში გამაგრდნენ და მთე-
ლი ძალ-ღონით იგერიებდნენ შემოსეულთ. როცა ბიზანტი-
ელებმა ვერ დაძლიეს თავდამცველთა წინააღმდეგობა, სახ-
ლებს ცეცხლი წაუკიდეს. ცეცხლმა ჩანთქა და ფერფლად აქ-
ცია შენობებიც და მათი დამცველებიც. აფხაზთა მხოლოდ
ერთმა ნაწილმა მოახერხა, გასხლტომოდა გამხეცებულ მტერს
და კავკასიის მთებში გაიქცა მეზობელ ჰუნებთან. ბიზანტიე-
ლებმა მიწასთან გაასწორეს ციხე-სიმაგრე, გადაწვეს და უდაბ-
ნოდ აქციეს აფხაზთა მიწა-წყალი და მათი ცოლ-შვილი
ტყვედ წაიყვანეს.

პროლა პიტრასათვის

იმპერატორმა იუსტინიანემ სარდალი დაგისთე, რომელიც
549 წელს პეტრადან სამარცხვინოდ გაიქცა და ციხე-ქალაქის

აღების შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა, — დაპეტრეტკემწენა
და ციხეში დამწყვდევინა. მის მაგივრად ეგრისშიც ჩატანებული
ელთა ჭარის სარდლად ბესა გამოგზავნეს. ბესას, ტომით თრა-
კიელ გუთს, თუმცა 70 წლისათვის მიეღწია, მაგრამ სიმამაცე
და სამხედრო გამოცდილება არ აყლდა. ისე, როგორც თითქ-
მის ბიზანტიელთა უკელა სარდალი, — ბესაც ვერცხლისმოყ-
ვარეობით იყო დავადებული. 546 წელს, როცა რომს გუთე-
ბის ბელადმა ტოტილამ ალყა შემოარტყა და ქალაქში საში-
ნელი შიმშილი მძვინვარებდა, როცა გაწამებული ხალხი ყო-
ველგვარ ნაგავს ჭამდა, აღარ დარჩა არც ძალლი, არც კატა,
არც თაგვი, — რომის გარნიზონის მეთაური ბესა გადა-
ნახული პურით სპეცულაციას ეწეოდა: სენატორებზე ჰყიდდა
ზღაპრულად მაღალ ფასებში და საკუთარ გამდიდრებაზე
ზრუნავდა.

551 წლის გაზაფხულზე ბესამ ალყა შემოარტყა პეტრის.
მისი ბრძანებით ბიზანტიელთა ერთი ნაწილი ციხის კედლის
ქვეშ გვირაბის გაყვანას შეუდგა სწორედ იმ ადგილას, სადაც
წინათ დაგისთე თხრიდა. ეს იმიტომ, რომ გალავნის კედელი
სხვა ადგილას უკელგან მაგარ კლდეზე იყო დაშენებული, აქ
კი — მიწაყრილზე. მაგრამ ბიზანტიელები მოტყუდნენ, და-
გისთეს მიერ ამ ადგილას კედლის დარღვევის შემდეგ ირანე-
ლებმა ცარიელი ადგილი ხრეშით ამოავსეს, მასზე ერთმანეთ-
თან გადაბმული მორები დაწყვეს და კედელი ზედ დაშენეს.
ბიზანტიელებს კი ეგონათ, კედლის საძირკველს თხრიდნენ.
როცა გვირაბი გაიყვანეს და მიწა გამოაცალეს, კედელი სრუ-
ლიად დაუზიანებლად და სწორად ჩაეშვა განათხარში, თუმ-
ცა დადაბლდა, მაგრამ მასზე გადასვლა მაინც შეუძლებელი
იყო. დაქანებული და უსწორმასწორო ადგილმდებარების
გამო კედლებთან ტარანების მივორებაც არ შეიძლებოდა.

გაქირვებაში ჩავარდნილი ბიზანტიელები მათ ჭარში მყოფ
ჰუნთა ერთ-ერთი ტომის — საბირების მოხერხებულობამ და
გამოგონებამ იხსნა. საბირებმა ბიზანტიელთა მძიმე ტარანის
მაგიერ, რომელიც ოთხი დიდი ბოძით აგებულ და საგორავებ-
ზე დადგმულ დიდ ოთხეუთხა სახლს წააგავდა, ახალი სახის
მანქანა გააქვთეს. მსხვილი ბოძებისა და საგორავების ნაცვ-
ლად ერთმანეთთან გადაბმული ღობურა მოიშველიეს. ღობუ-
58

რა მანქანა მთლიანად ტყავით იყო დაუარული. მანქანის შეგნით კი თავისუფალ თოკებზე ერთი რკინით თავმოშეჭულია შესალი ეკიდა. ძელი რამდენჯერმე ეხეთქებოდა კედელს და ანგრედა. ასე გავეთებული ტარანი ისე მსუბუქი იყო, რომ ორმოც მებრძოლს თავისუფლად შეეძლო, მხარზე აეკიდა და ისე მიერანა კედელთან. რამდენიმე ასეთი მანქანა ამ წესით კედლებთან მიიტანეს და განუწყვეტლივ ურტყამდნენ გალავანს. მანქანების ორივე მხარეზე შევავშნული და მუზარადებიანი მეომრები იღვნენ, რომლებსაც ხელში ანკესისებურ რკინის ბოლოებიანი გრძელი შუბები ეჭირათ. როცა ძელი კედლის ქვების წყობას შეარყევდა, ამ შუბებით გამოჰქონდათ ქვები.

ირანელებმა ცხადად დაინახეს, რომ საფრთხე გაძლიერდა და კედელი უნდა ჩამონგრეულიყო. მაშინ მათ ზღუდის ზემოთ ხის კოშკიდან გოგირდით, შავი ფისითა და ნავთით შეზავებული მასისაგან ანთებული ქოთნები დაუშინეს კედლის მნგრეველ მანქანებს. მანქანებთან მდგომი მეომრები განუწყვეტლივ იგერიებდნენ ანთებულ ქოთნებს, მავრამ ცეცხლი სწრაფად ვრცელდებოდა.

ციხე-სიმაგრის ამ უბანზე რომ ასეთი ჯოჯოხეთური ალიტრიალებდა, ბესამ კედლის დაღაბლებულ ნაწილზე კიბეები მიადგმევინა და, სხვები რომ გაემხნევებინა, პირველი თვითონ შეუდგა ასვლას. 2 300 ირანელი და 6 000 ბიზანტიელი სამკლდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება. იმდროინდელი ისტორიკოსის პროეოფი კესარიელის სიტყვით: „გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ორივე მხარე ისე გულადად იბრძოდა, რომ მსგავსი ბრძოლა, ვფიქრობ, ამ ჩვენს დროში არსად ყოფილა.“ ყველაზე დიდი შეხლა-შემოხლა კიბეების ზედა საფრთხერებზე გაიმართა. მოიერიშენი თავდაყირა ცვიოდნენ. ჩამოვარდა ბესაც. სარდლის სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდა. 70 წლის მდიმედ შევავშნული და ზორბა ტანის მოხუცი წამოდგომას ვერ ახერხებდა. მაშინ ჯარისკაცთა ერთი ჯგუფი გარს შემოეცვია ბესას და ზემოდან ფარები მოაფარა. ვინ იცის, რითი დამთავრდებოდა ყოველივე ეს, რომ ისევ სარდალს არ ემარჯვა. მან მებრძოლებს უბრძანა, ფეხებზე წაევლოთ ხელი და ასე გაეთრიათ, რაც შეიძლებოდა შორს კედლიდან. ამრიგად მიათრიეს სარდალი ისეთ ადგილამდე, სადაც მტრის ისარი ვერ

მიაღწევდა. სამშვილობოზე გასული სარდალი წამოდგა, ხევ-
ბიც წააქეზა, ისევ ზღუდისაკენ გაემართა და კიბეჭურა მომდევნების
შეუდგა. ბესას სიმამაცემ მებრძოლები აღაფრთვეანა და უფ-
რო გააფირებით შეუტის ციხეს. ირანელებმაც გააძლიერეს
ცეცხლოვანი ქოთნების სროლა. სწორედ ამ დროს უცბად და-
უბერა სამხრეთის ძლიერმა ქარმა და კოშქს, საიდანაც ანთე-
ბულ ქოთნებს ისროდნენ, ცეცხლი მოედო. კოშკიც და შიგ
მყოფნიც ნაცარტუტად იქცნენ. შემტევი ჯარის ერთი ნაწილი
ჩანგრეული კედლიდან ციხეში შეიჭრა.

ცკვე საღამო იყო, როცა პეტრას გარნიზონი მოიერიშეებს
დანებდა, მაგრამ ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. მეორე
დღეს განახლდა ბრძოლა ირანელთა იმ 500 გადარჩენილი მე-
ომრის წინააღმდეგ, რომლებიც ციხე-ქალაქის შიგნითა აკრო-
პოლისში გამაგრებულიყვნენ. ბესამ შესთავაზა, უბრძოლვე-
ლად დაგვენებდით. მათ გადაჭრით უარი განაცხადეს. მაშინ
ბიზანტიელებმა აკროპოლისს ცეცხლი წაუკიდეს და ხუთასივე
მებრძოლი შიგ ჩაიფერფლა. „ნათელი გახდა, — წერს ამ ამ-
ბების თანამედროვე, პროკოფი, — თუ რაოდენ მნიშვნელო-
ბას ანიჭებდა ხოსრო ლაზიკას: მას ყველაზე უფრო მამაცი ჯა-
რისკაცები გამოერჩია პეტრას დასაცავად. სურსათიც იმდენი
აღმოჩნდა შიგ, რომ გარნიზონს ხუთი წლის განმავლობაში
ეყოფოდა“.

ციხე-ქალაქი პეტრა ბიზანტიელებმა ძირდეს ვეიანად დაანგ-
რიეს და მიწასთან გაასწორეს.

ბრძოლა არქოოოლისთან

ეგრისში ირანელთა ძირითადი და მთავარი დასაყრდენი
პუნქტის პეტრას დაკარგვას ხოსრო ვერავითარ შემთხვევაში
ვერ შეურიგდებოდა. ბიზანტიისა და ეგრისის მმართველმა
წრეებმა კარგად იცოდნენ, რომ ირანის პატრონი ახალი ენერ-
გით შეუდგებოდა დასავლეთ საქართველოში დაკარგული
პოზიციების აღდგენას. პეტრას გარშემო მიმდინარე სისხლის-
მღვრელი ბრძოლები ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, რო-
ცა ირანიდან ეგრისში ახალი ლაშქარი მოეშურებოდა ცნობი-
60

ლი სარდლის მერმეროეს მეთაურობით. მიუხედავად რომ სარდალმა ბესამ ეს იცოდა, მისი ცხოვრების შედევრული თანამგზავრმა ავადმყოფობამ — სიმღიდრის მოხვეუჩენის მოდ მტანჯველმა უინმა მოუარა და იმის ნაცვლად, რომ პეტრას აღების შემდეგ ეგრისში შემოსასვლელი გზების გამაგრებაზე ეზრუნა, — პონტოსა და სომხეთში გაემგზავრა, რომ ხარკი მოეგროვებინა და ოქრო-ვერცხლი მოეხვეჭა. ამ გარე-მოებამ მერმეროეს გაუადვილა ეგრისში ლაშქრობა. დიდალი ჯარითა და საბრძოლო სპილოებით პეტრას მოსაშველებლად მომავალმა მერმეროემ გზაში გაიგო ციხე-ქალაქის დაცემის ამბავი. ამიტომ მან მიმართულება იცვალა, სასწრაფოდ გადა-ლახა სურამის ქედი, მდინარე ყვირილა და რიონის მარჯვენა სანაპიროთი ეგრისის დედაქალაქის ციხე-გოჯისაკენ გაემართა.

ციხე-გოჯს ბერძნები არქეოპოლისს (ძველ ქალაქს) ეძახდნენ. ის გაშენებული იყო მდინარე ტეხურის პირას. ქალაქის უძლიერესი ციხე-სიმაგრე ძლიერ დაქანებული და მაღალი გორაკის თავზე იდგა. აქეთ მომავალ მერმეროეს მისმა მზე-რავებმა აცნობეს, რომ რიონის შესართავის ახლოს დაბანაკებული იყო ჯარის ერთი საკმაოდ დიდი შენაერთი. სარდალმა გადაწყვიტა, ჯერ მოკავშირეთა ამ შენაერთისათვის მოელო ბოლო და შემდეგ მობრუნებოდა არქეოპოლისს. აქეთ წამო-სულმა მერმეროემ, არქეოპოლისს რომ ჩაუარა, ციხის გარნი-ზონს ამაყად შესძიხა: თქვენც მალე მოგიბრუნდებით, ჯერ კი იმათ უნდა მივესალმო. ციხის მცველებმაც ასევე ამაყად ჩა-მოსძახეს: იმათ თუ შეეყრები, ჩვენთან ვერასოდეს ვეღარ დაბრუნდებით. როცა გაიგეს, რომ მერმეროე რიონისკენ წა-ზოვიდა, აქ დაბანაკებული ჯარის სარდლებს შეეშინდათ, ჯა-რი სასწრაფოდ ნავებში ჩასხეს და მდინარის მარცხენა ნაპირზე გადავიდნენ. ისე ძალიან ჩქარობდნენ, რომ სიჩქარეში სურსა-თის მხოლოდ ერთი ნაწილი გადაიტანეს, მეორე ნაწილი კი მდინარეში გადაყარეს, რომ მტერს არ ესარგებლა. მერმერო-ეს ბანაკი ცარიელი დახვდა. გაჭავრდა, სადგომები გადაწვა და არქეოპოლისისაკენ მობრუნდა.

მოადგა თუ არა არქეოპოლისს, მერმეროემ ქალაქის ზემო ჭიშკარის მისაღვომებთან, ყველაზე უფრო ძნელმისასვლელ ადგილებში, მთებში ბრძოლას შეჩვეული და გამოცდილი

მშვილდოსნები გაგზავნა, თვითონ კი მთელი თავისი ჭრის, ტარანებით და სპილოებით ციხე-ქალაქის ქვემო ჭრისათვის შეიძლება.

იერიშის წინა დღეს მერმეროეს ერთი ადგილობრივი აზნაური დაუკავშირდა. სამშობლოს მოღალატეს სარდალმა ასეთი დავალება მისცა: როცა ჩვენი ჭარი იერიშზე გადავა, შენ ცეცხლი წაუკიდე შენობებს, სადაც გარნიზონის პური და სხვა სურსათი ინახებათ. მერმეროე ასე ვარაუდობდა: თუ მეციხოვნები ცეცხლის ჩაქრობას შეუდგებოდნენ, ირანელები ისარგებლებდნენ ამით და გალავანს გადალახავდნენ, ხოლო თუკი ისინი მოგერიებას ამჯობინებდნენ, — სურსათი დაიწვებოდა და ამის შემდეგ აღყით აღვილად შეიძლებოდა გარნიზონის წინააღმდეგობის გატეხა.

მოღალატემ დავალება პირნათლად შეასრულა. გარნიზონი გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ არ დაიბნა და გამოსავალი იპოვა. მცირე რაზმი ცეცხლის ჩაქრობას შეუდგა, ხოლო უმეტესობა ვიშკართან ელვისებურად გამოვარდა და ირანელებს შეესია.

ირანელთა ლაშქარი პანიკამ მოიცვა, საბრძოლო წყობის შილება ვერ მოახერხა და დიდი ზარალი ნახა. ამ დროს ერთო დაჭრილი და გამძვინვარებული სპილო შემოტრიალდა, ყალყზე შედგა, ვინც ზურგზე ასხდა, ჩამოყარა, ხოლო ახლო მდგომი მებრძოლები დაქსაქსა. ამ შემთხვევამ უფრო არია მოიერიშეთა რიგები. ახლა მოიერიშეთა როლში ის გამოვიდა, ვინც თავდაცვაში უნდა ყოფილიყო და უთავბოლოდ გაქცეულ ირანელებს დაედევნა. ირანელებმა სამი სარდალი და 1 000 მებრძოლი დაკარგეს.

„შეიცან თავი უანი!“

არქეოპოლისთან გამარჯვება არ ნიშნავდა, რომ ეგრისი განთავისუფლდა. ეგრისის ყველაზე უფრო მდიდარი და მჭიდროდ დასახლებული მხარე — მდინარე ცხენისწყლიდან ქართლის საზღვრამდე, — ირანელებს ეჭირათ. ბიზანტიელები და ეგრისელები რიონის ჭალებსა და არქეოპოლისში იყვნენ თავ-

შეფარებულები. გუბაზ მეფე და ზოგი ეგრისელი მთებში იხილების განვითარების გამო 551—552 წლების ზამთარში.

ასეთი მძიმე მდგომარეობა იყო ეგრისში, როცხმით გამოიყენებოდა კიდევ ერთი მოღალატე გამოუჩინდა. ეს კაცი, სახელად თეოფონი, ერთ-ერთ გავლენიან აზნაურად ითვლებოდა ეგრისში. ქუთაისის ჩრდილო-დასავლეთით და არქეოპოლისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, საფიქრებელია, ახლანდელი უნავირას მთის მიდამოებში, ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, მდებარეობდა ციხე-სიმაგრე უქიმერიონი. ციხე სვანეთსა და ლეჩესუმში შესასვლელ გზას დარაჭობდა და კეტავდა.

ირანელთა უხვმა საჩუქრებმა და მომავალი წყალობის იმედებმა თეოფონი დააბრმავა და იგი მერმეროეს დაპირდა, ციხეს ხელში ჩაგავდებინებო. ერთ დღეს მოღალატე გამოცხადდა ციხის მცველ რაზმთან და მოახსენა: ბიზანტიელთა ჯარი სულ ერთიანად დაიღუპა, გუბაზი და ჩევნიანებიც გაფანტული არიან, მთელი კოლხეთი სპარსელების ხელშია, არც რაიმე იმედი ჩანს, რომ გუბაზი და ბიზანტიელები ძალაუფლებას როდისმე დაიბრუნებენ; მერმეროებ 70 000 მეომარი მოიყვანა, ახლა კი ხოსრო მოსულა მთელი თავისი ჯარითო. მეციხოენები სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ. თეოფონი შეპპირდა, ხოსრო არაფერს დაგიშავებთ, თუ ციხეს უომრად ჩააბარებთო. მეციხოენებსაც ყველაფერი ეს მწარე სინამდვილედ ეჩვენათ და ციხე ჩააბარეს. უქიმერიონის ციხე-სიმაგრე ხელში ჩაიგდო თუ არა, მერმეროე სვანეთსა და ლეჩესუმსაც დაეპატრონა. ქუთაისის ციხეში 3.000 მეომარი ჩააყენა, თვითონ შორაპანში ჩავიდა, ციხე შეაეეთა, გაამაგრა და იქ დაბანაკდა. შორაპნიდან ირანის სარდალმა მთებში გახიზნულ, ცივი ზამთრითა და უსურსათობით საშინლად შეწუხებულ ეგრისელებსა და გუბაზს ასეთი წერილი გაუგზავნა:

„აღამიანთა ცხოვრების მიმღინარეობას ორი თვისება აწესრიგებს — ძალა და გონიერება. ძლიერნი სუსტებზე მბრძანებლობენ, სუსტთაგან ისინი, რომლებიც თავიანთ სისუსტეს გონიერებით წამლობენ, მლიქვნელობით ელოლიავებიან მბრძანებელთ და მშვენივრად ახერხებენ ცხოვრებას თავიანთ მამულში... და, აი, ძვირფასო გუბაზ, თუ ფიქრობ, რომ სპარსელებს აჯობებ ომში, ნულარ აყოვნებ, შეგვებრძოლე! — ლაში-

კის ომელსამე ნაწილში გვიპოვნი ჩვენ, თუ კი გრძნობ, ომში უძლური ხარ სპარსელთა ძალის წინააღმდეგ, გარეული გარე, აირჩიე მეორე გზა, შეიცან თავი შენი და ეთაყვანე შენს მბრძანებელს ხოსროს, ომორტც მეფეს, გამარჯვებულსა და ბატონს. ხოლო, თუ შენ არც ერთი ეს გზა არ მოგწონს, წადი ომელსამე სხვა ქვეყანაში და ამით საშუალება მიეცი შენი უგუნურობის წყალობით გაწამებულ ლაშებს, ერთხელაც არის ამოისუნთქონ!“

გუბაზი მტკიცედ დარჩა თავის წინააღმდელ გადაწყვეტილებაზე — უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოლა მოსისხლე მტრის წინააღმდეგ. მას იმედი ჰქონდა, ომ ჯერ კიდევ არ წაევი და თუ ბიზანტიის დაეხმარებოდნენ, საქმეს გამოასწორებდა. ამ შეურცეველი ოწმენითა და იმედით ეგრისის მეფე მთებში დარჩა.

ზამთარი მიიწურა. გაზაფხულდა თუ არა, გუბაზი და მისი მეომრები ბარად ჩამოვიდნენ, ბიზანტიის სარდლის — მარტინეს ჯარს შეუერთდნენ და ბანაკი რიონის შესართავის ახლოს გაშალეს. მერმეროეს ახალი ძალები მოაშეელეს ირანიდან და პირეელმა შეუტია ეგრისელებს. მთელი ზაფხული და შემოდგომა იბრძოდა მერმეროე, მავრამ ეერაფერს გახდა და ზამთარი რომ დადგა, ისევ ქუთაისისაკენ დაიხია.

ამრიგად, 552 წლის ბრძოლებმა ირანელებს დამარცხება არგუნა. ასე „შეიცნო გუბაზმა თავი თვისი“.

საომარი რაიაციაში აავ რელს

553 წელს ირანელთა სარდლობამ მთავარ ამოცანად დაისახა, გაერლვია ეგრისის ციხე-სიმაგრეთა სისტემა ცხენისწყლის სანაპირო ხაზზე, ფოთის და შავი ზღვის სხვა სანაპირო პუნქტები ხელში ჩაეგდო და ამრიგად მთელი ეგრისი დაეპყრო. ამ მიზნით მერმეროემ გადაწყვიტა, თავდაპირველად იერიში მიეტანა ციხე-სიმაგრე ტელეფისზე. ეს ციხე ცხენისწყლისა და რიონის შესართავის ახლოს მდებარეობდა, იქ, სადაც ამეამად ტოლების სასოფლო საბჭოა სამტრედიის რაიონში. ციხე-სიმაგრე ძნელადმისადგომი, ძლიერი და მტკიცე იყო: ერთი

მხრივ, მაღალი კლდეები, მეორე მხრივ, ღრმა ხრამებელთა უცხადებები იცავდა, ირგვლივ ჭაობიანი ეკალ-ბარლით დაფუძნებულია და გაუვალი დაბლობი ერტყა. აქ იდგა სარდალი მარტინე.

მერმეროე ხედავდა, პირდაპირი იერიში რომ მიეტანა ციხეზე, ძვირად დაუჭდებოდა. ამიტომ შეეცადა, მოწინააღმდეგის სიფხიზლე მოედუნებინა. ამ მიზნით, ირანელთა სარდალმა თავი მოიავადმყოფა, ლოგინში ჩაწვა და ხმა გაავრცელებინა, სარდალი კვდებაო. ყველაფერი ეს ისე საიდუმლოდ და მოხერხებულად მოაწყო, რომ თვით ირანელთა ჯარიც დარწმუნდა, სარდალი მძიმე ავადააო. მალე ხმაც გამოვიდა, მოკვდაო. ამ ხმამ ტელეფისის ციხემდეც მიაღწია. მზვერავებმაც იგივე დაადასტურეს. იმის იმედით, რომ უსარდლოდ დარჩენილი ჯარი შეტევაზე არ წამოვიდოდა და უკან დაბრუნდებოდა, ბიზანტიელებმა სიფხიზლე მოადუნეს, ყარაულებიც მოხსნეს, ღამე მშვიდად ეძინათ და დღე სოფლებში ქეიფობდნენ.

ირანელებს ხელსაყრელი მომენტი დაუდგათ. მერმეროე სრულიად მოულოდნელად სავსებით ჯანსაღი და უვნებელი წარუდგა თავის ჯარს. მან სწრაფად აამოძრავა მთელი ლაშქარი და საირაშოდ დაიძრა. ციხის კედლებთან მტრის უცარი გამოჩენა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ბიზანტიელებს თავზარი დაეცათ. სასწრაფოდ დატოვეს ტელეფისი, სირცევილეული გაიქცნენ დაბლობში და ტელეფისიდან ერთი კილომეტრით დაშორებულ ბანაკს შეუერთდნენ. აქ იყვნენ სარდლები ბესა და იუსტინე. გამოქცეული ჯარის ერთი ნაწილი მათ ვერ შეავაეს. ისინი სოფლებს მოედვნენ და მოსახლეობის ძარცვას მიჰყევს ხელი. სწორედ ამ დროს მათ ზედ თავზე წამოადგა მტერი. შეშინებული ბიზანტიელი მეომრები სასწრაფოდ გამოიქცნენ და ყვირილითა და ურჩაურით შეიკრნენ თავისიანების ბანაკში. ამ გარემოებამ მთელი ბანაკი ააფორიაქა. შეშინებულმა სარდლებმა ჯარი აპყარეს და მთელ ოცდახუთ კილომეტრზე მეტი უკანმოუხედავად გაირბინეს. სამარცვეინოდ გაცეცეულმა ბიზანტიელებმა ქოშინით მიაღწიეს მდინარე ტეხურისა და რიონის შესართავის რაიონს. ამ იდგილს ნესოსს (კუნძულს) ეძახდნენ. აქ არხის საშუალებით რიონის წყალი ტეხურს უერთდებოდა და ამრიგად ყოველი მხრით წყლით შემოზღუდული საკმაოდ ფართო ხელოვნური

კუნძული იქმნებოდა. ეს ადგილი მდებარეობდა ფაქტულუმშერთ
იქ, საღაც ამჟამად სოფელი ისულაა (ცხავიას პრეზიდენტი) ეჭა,
აქ დაბანაკდა ბიზანტიელთა ჯარი.

მერმეროეს ძალა არ ჰყოფნიდა, იერიში მიეტანა ნესოსში
დაბანაკებულ მტერზე. ამიტომ ის ცხენისწყალს აჰყვა ჩრდი-
ლოეთის მიმართულებით და უნავირას მთასთან მის მიერ და-
კავებულ და გამაგრებულ ციხეში ჯარი ჩააყენა, თვითონ კი
დანარჩენი ჯარით ქუთაისში ჩავიდა. აქ ის ნამდვილად ავად
გახდა და მცხეთაში გადაიყვანეს. ლრმად მოხუცებული და
მძიმე ავადმყოფი მერმეროე გარდაიცვალა მცხეთაში 554
წელს. მერმეროეს სიკვდილი დიდი დანაკლისი იყო ირანისათ-
ვის. გამოცდილ და ჰკუადამჯდარ სარდალს უჭერებდნენ ჯა-
რისკაცები. ბოლოეამს მერმეროე ორივე ფეხით კოჭლობდა,
თითქმის ველარ დაღიოდა, მაგრამ მეომრები რომ გაემხევე-
ბინა, საკაცით დაატარებდნენ ხოლმე.

ვირაგული გავლელობა

ბიზანტიელთა ჯარის წარუმატებლობა და სამარცხეინო
მარცხი 553 წელს განსაკუთრებით გუბაზის აწუხებდა. ყველაფ-
რის მიზეზად, სავსებით სამართლიანად, სარდლების უნიათო-
ბა და უდარდელობა მიაჩნდა. გუბაზი ფიქრობდა, თუ საქმე
შემდეგშიაც ასე გავრძელდებოდა, ირანელები მთელ ეგრისს
დაიპყრობდნენ. ამიტომ, თავიდან რომ აეცდინა მომავალში
მსგავსი სამარცხეინო დამარცხებანი, ყველაფერი იუსტინიანეს
აცნობა. გუბაზი სწერდა, ბესა, მარტინე და რუსტიკე დაუ-
დევრობასა და უგუნურობას იჩენენ. პირდაპირი და გულმარ-
თალი გუბაზი არც მალავდა თავის ზრახვას, აშეარად და პირ-
ში ეუბნებოდა სარდლებს, თქვენი გეგმები უვარვისიაო, შუ-
რიანები და ვერცხლს დახარბებული ხართო, ამის გამო არა ერ-
თი ხელსაყრელი შემთხვევა დაკარგეთ და ბევრჯერ თითქმის
უკვე გამარჯვებამდე მიყვანილი საქმე სამარცხეინოდ ჩაშა-
ლეთო.

ბიზანტიელი სარდლები გუბაზის არ ეპუებოდნენ. მათ შერ-
დათ მეფის მალალი ავტორიტეტი, განსაკუთრებით არ მოს-

წონდათ სარდლებს გუბაზის დამოუკიდებლობა. ის ჩვენი ქავე-
შევრდომია და ყველაფერში ჩვენი ნება-სურვილის ამჟრულულება
ზელი უნდა იყოსო, — ხშირად იტყოდნენ ხოლმე.

იმპერატორ იუსტინიანეს სწყინდა, რომ სარდლები იმედი
ვერ უმართლებდნენ. სარდალ ბესაზე ადრევე იყო გამწყრალი.
ბესამ პეტრას აღების შემდეგ ქართლიდან გადმოსასვლელი
გზები არ ჩაეკრია და ხარჯის ასაქრეფად და სიმდიდრის მოსახ-
ვეჭად წავიდა, რითაც მტრის შემოსევას შეუწყო ხელი. ამი-
ტომ იუსტინიანემ, როგორც კი გუბაზის შემონათვალი მოის-
მინა, ბესა თანამდებობიდან გადააყენა, მთელი ქონება ჩამო-
ართვა და აფხაზეთში გაგზავნა. ბესას, იმპერატორის განსა-
კუთრებულ განკარგულებამდე, იქიდან ფეხი არ უნდა მოეც-
ვალა. რაც შეეხება მარტინეს, თუმცა იმპერატორი მასზეც გა-
ჯავრებული იყო, ამჯერად ის არ დაუსჭია და დატოვა ეგრისში
მოქმედი ქარის პირველი სარდლის თანამდებობაზე. რუსტიკე
სარდალი არ იყო. ის იმპერატორის ხაზინას განაგებდა. იმ სა-
განძურიდან აჯილდოებდნენ ბრძოლებში თავგამოჩენილ მე-
ომრებს. პატივმოყვარე რუსტიკე ამ თანამდებობის წყალობი-
თაც დიდი გავლენით სარგებლობდა. სარდლები ისე ვერავის
დააჯილდოებდნენ, თუ რუსტიკე არ დაეთანხმებოდა.

მარტინეს და რუსტიკეს სიძულვილი და მტრობა გუბაზი-
საღმი უფრო გაძლიერდა და გამწვავდა, მას შემდეგ, რაც გუ-
ბაზმა იუსტინიანესთან დასმინა დაუდევარინი არიანო. მათ
იფიქრეს, გუბაზი შემდეგშიაც არ გვაპატიებს დაუდევრობას
და უგუნურებასო და გადაწყვეტეს მოეკლათ. ბოროტმა აღა-
მიანებმა ცილი დასწამეს ქართველთ მეფეს, ბიზანტიელებს
ლალატობს და ირანელებს ემხრობაო. ამ გზით შეეცადნენ, წი-
ნასწარ თავი დაეზღვიათ და თავიანთი ვერაგული გადაწყვეტი-
ლებისათვის სამართლიანი და კანონიერი სახე მიეცათ.

მარტინემ და რუსტიკემ სასწრაფოდ გაგზავნეს კონსტან-
ტინოპოლიში იოანე — რუსტიკეს ძმა. მას დაავალეს, დაერწმუ-
ნებინა იმპერატორი, გუბაზი გვლალატობსო. და, ის, კონსტან-
ტინოპოლის ბრწყინვალე სასახლეში საიდუმლო შეხვედრაზე
იმპერატორსა და იოანეს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— გუბაზი გადაგვიდგა და მთელ ქვეყანას მალე სპარსე-

ლებს გადასცემს, თუ რაიმე საშუალებით ამაში ხელს არ შე-
ვუშლითო, — მოახსენა მაბეზლარმა იმპერატორს იგულიშვილი

იუსტინიანე განცვიფრდა. დაუჭერებლად მიაჩნდა გუბაზის
ლალატი, მაგრამ სრული უნდობლობით მაინც არ მოექიდა ამ
ცნობას. არც აჩქარდა, სისატიკე არ გამოიჩინა, არც მწვადი
დასწვა და არც შამფური. ჩაფიქრდა და ბრძანა:

— გუბაზი მეახლოს!

იოანე შიშმა აიტანა, ვაითუ გუბაზმა სიმართლე გამოამჟ-
ღავნოს და დავიღუპოთო, და ცბიერად უპასუხა:

— ბრძანებას შევასრულებთ, ბატონო, მაგრამ როგორ მო-
ვიქცეთ, თუ თვითონ არ მოისურეა, რომ გეახლოთ?

— აიძულეთ, როგორც ქვეშევრდომი! ყოველი ლონე იხ-
მარეთ და აქ გამომიგზავნეთ!

— მაგრამ რა ვუყოთ, თუ ვაიძულებთ და მაინც წინააღმ-
დეგობას გაგვიწევს?

— სხვა რა უნდა უყოთ, თუ არა ის, რაც ტირანს ეკუთვ-
ნის, ტირანივით უნდა დაისაჭოს.

ცბიერმა იოანემ გაიხარა და იმპერატორს კიდევ ერთი
კითხვა მისცა:

— მაშ არ უნდა ეშინოდეს იმას, ვინც გუბაზს მოქლავს?

— რა თქმა უნდა, არა! — მიუგო იუსტინიანემ.

იოანესაც სწორედ ასეთი პასუხი სურდა. იმპერატორისა-
გან თუ მხარდაჭერა ექნებოდათ, გუბაზს ადვილად დააბრა-
ლებდნენ, გვეურჩა და წინააღმდეგობა გაგვიწიაო. მან იუს-
ტინიანეს წერილიც გამოართვა; იმპერატორი სარდლებს
სწერდა:

„დაუჭერებელი და უცნაურია ის, რაც თქვენ მაცნობეთ,
სახელდობრ, თითქოს, გუბაზს სურდეს, გადაუდგეს მამა-პა-
პის ადათს, ყველაფერში ერთმორწმუნე რომაელებს და გადა-
ვიდეს მისადმი მტრულად განწყობილ, სრულიად უცხო და-
სხვა სარწმუნოების მიმდევარ სპარსელთა მხარეზე. და ეს ჩა-
იდინოს იმ დროს, როდესაც მას ჩვენგან უსიამოვნო არაფერი
შეხვედრია. მიუხედავად ამისა, რადგან ვიცით, რომ ადამიანი-
სჩვევია მერყეობა და ცვალებადობა და გარემოებათა სხვადა-
სხვანაირობასთან ერთად თვითონაც სხვადასხვანაირად იქცე-
ვა ხოლმე, — ჩვენ საჭიროდ არ ვცანით, სრული უნდობლო-



შით მოვპყრობოდით თქვენი მაცნის მიერ მოტანილ აშშავე...
 მაგრამ გუბაზის მიმართ აჩქარებულად რომ არ გაჭრებულია
 მკაცრი და სასტიკი ნაბიჯი და არც სირბილე გამოვიჩინოთ, მი-
 ზანშეწონილად მივიჩინეთ, შეუა გზა აგვერჩია და ის კაცი აქ
 დაგვებარებინა. ამიტომ გავალებთ, გამოგზავნოთ, რაც შეიძ-
 ლება მალე, ნებით ან ძალით. მაგრამ თუ ის განზრახვას მი-
 გიხვდებათ, წინააღმდეგობას გაგიწევთ და წამოსვლაშე უარს
 განაცხადებს, — შეიპყარით და წამოათრიეთ (ამის ნებასაც
 გაძლევთ ამ შემთხვევაში), ხოლო თუ ის გაგისხლტებათ და
 თქვენზე იერიშს მოიტანს და, მაშასადამე, ამა თუ იმ სახით
 ხელს აღმართავს თქვენზე, მაშინ ჩეენ აშკარა საბუთი გვექნება
 მის განზრახვაზე და შეგვიძლია, მტრად ჩავთვალოთ. ასე
 რომ, თუ მას, ასე გათავხედებულს, ვინმე კიდევაც მოკლავს,
 ამას უკანონო საქციელად არ ჩავუთვლით; ამ საქმისათვის არა
 თუ დაისჭება ის, როგორც მკელელობის ჩამდენი, არამედ ჰე-
 ბას დაიმსახურებს, როგორც ტირანის მომსპობი.“

დაბრუნდა თუ არა იოანე ეგრისში, და იმპერატორთან მო-
 ლაპარაკების ამბავი და წერილიც მოიტანა, მარტინე და რუს-
 ტიკე დარწმუნდნენ, რომ საქმე კარგად იყო მოგვარებული და
 მაშინვე შეუდგნენ ბოროტი განზრახვის სისრულეში მოყვა-
 ნას. დაიბარეს სხვა სარდლებიც, რომლებსაც დაუმალეს თა-
 ვიანთი ნამდვილი მიზანი და უთხრეს: საქიროა, სასწრაფოდ
 გუბაზთან წახვიდეთ და მოეთათბიროთ, თუ როგორ დავესხათ
 თავს ონოგურისში (უნაგირას მთის მიღამოებში) გამაგრებულ
 სპარსელებსო. ამათაც დაიჯერეს და მცირე ამალით გუბაზს
 ეახლნენ. მოახსენეს, სალაშქროდ გეახელით და მარტინე და
 რუსტიკეც მალე მოვლენო. პატივისცემის ნიშნად გუბაზი თვი-
 თონ წამოვიდა მათ შესახვედრად.

კოლხეთის დაბლობში, მდინარე ხობისწყლის სანაპიროზე
 „შეეგება ის უბედური მათ უმცველებოდ და უშიშრად, მცი-
 რეოდენი შეუიარაღებელი და საბრძოლველად მოუმზადებელი
 ამალით“. იმდროინდელი ისტორიკოსი ასე გადმოგვცემს იმ
 საშინელ ტრაგედიას, რომელიც ამ შეხვედრაზე დატრიალდა:

„ყველანი ცხენებზე ისხდნენ და ისე მსჯელობდნენ. რუს-
 ტიკემ თქვა: აბა, გუბაზ, სპარსელების წინააღმდეგ მივდივართ,
 ისინი ონოგურისში ჩამჭდარან; გამოგვყევი და ჩვენთან ერთად



მიიღე მონაწილეობა ამ ლაშქრობაში. სირცხვილი კუთხის გადასახლებული ისინი კვლავ თავისუფლად ისხდებიან ჩვენი ქვეყნის მუზეუმში—ში; მით უმეტეს, მცირერიცხოვანნი არიან და ბრძოლისუნარითაც ვერ შეგვედრებიან.

— ეს ლაშქრობა, ხომ მარტო თქვენ გეხებათ, — მიუგო გუბაზმა, — რადგან მხოლოდ თქვენ მიგიძლვით ბრალი იმაში, რაც მოხდა. რომ თქვენ ასე უგუნურად და დაუდევრად არ მოპყრობოდით საქმეს, არც ეს ციხე იქნებოდა ჩვენს წინააღმდეგ გამაგრებული, არც ასე უსირცხვილოდ და ქუდმოგლეჭილი გაიქცეოდით და არც სხვა რამე მოხდებოდა ამ შეუფერებელი ამბებიდან. ახლა კი, ძვირფასნო, თუ თქვენ ამბობთ, რომ დიდება გიყვართ და სარდლის ღირსების სიმაღლეზე დგახართ, თქვენი შეცდომა უნდა გამოასწოროთ. რაც შემეხება მე, არ გამოგყვებით და არც ჩაევამტები, ომში, სანამ თქვენს მიერ ჩადენილ ყველა შეცდომას არ უწამლებთ“.

„როგორც კი ეს ითქვა, — განაგრძობს ისტორიკოსი, — შაშინვე ითანებ იშიშვლა ხანგალი და გუბაზს მკერდში ჩასცა. გუბაზი ერთბაშად დაეცა ძირს, მე ვთიქმობ, არა იმდენად დარტყმისაგან, რამდენადაც იმის გამო, რომ ასე მოულოდნელად დაატყდა თავს ეს ამბავი. გუბაზმა ფოფხვა დაიწყო და ცდილობდა, ამდგარიყო, მაგრამ ამ დროს ზედ წააღვა რუსტიკეს მეშუბე. მას დავალებული ჰქონდა, მახვილით გაეჩეხა თავი გუბაზისათვის. მეშუბემ ბოლო მოუღო მის სიცოცხლეს. აი, ასეთ პირობებში მოქლეს გუბაზი, როგორც ამბობენ სარწმუნო კაცები, რომელთაც ზედმიწევნით იცოდნენ ეს ამბავი... ლაშთა მთელი ლაშქარი აღელდა. მეომრებმა გადაწყვიტეს, ამიერიდან აღარ შერეოდნენ რომაელებს და არც მათთან ერთად ელაშქრათ. როდესაც გუბაზის გვამი, თანახმად მათი წესისა, დაკრძალეს, ბრძოლაში მონაწილეობა აღარ მიიღეს, როგორც უაღრესად შეურაცხყოფილებმა და სამშობლოს დიდების დამკარგველებმა.“

ასე ამთავრებს ამ ამბების თანამედროვე მემატიანე ავათია თავის თხრობას იმ ვერაგულ მკვლელობაზე, რომელიც მოხდა 554 წელს მდინარე ხობისწყლის სანაპიროზე.



გუბაზის ვერაგულად მოკვლის შემდეგ მარტინე მიჭავაძე მარტინე მიჭავაძე
ტიკემ ონოგურისში დაბანაკებული სპარსელების წინააღმდეგ
გაიღა შექრეს. სარდლები ამჟამად ისე ესწრაფოდნენ გამარჯვე-
ბას, როგორც არასდროს: გამარჯვებით, ჯერ ერთი, იმპერატო-
რის გულს მოიგებდნენ, მეორეცაა და საერთო გულისწყრო-
მაც ერთგვარად შენელდებოდა, თან ფიქრობდნენ, ვინიცობაა
მკვლელობის ნამდვილი საქმე გამომელავნდეს, ბრწყინვალე
გამარჯვებით კმაყოფილი იმპერატორი დანაშაულს გვაპატი-
ებსო.

ბიზანტიელები გულდასმით მოემზადნენ და ისე მიიტანეს
იერიში ონოგურისის ციხეზე. ამ ბრძოლაში ეგრისის ჯარი არ
მონაწილეობდა. ბიზანტიელთა იერიში უშედეგო აღმოჩნდა.
3000-მა სპარსელმა სასტიკად დაამარცხა 50 000 ბიზანტიელი.
მაშინ აშკარა გახდა ბიზანტიელებისათვის, რას ნიშნავდა ეგ-
რისის ჯარის მონაწილეობა ბრძოლაში.

ეგრისის ჯარის მეთაურებმა და წარჩინებულებმა 555
წლის ზამთარში მთიანი სამეგრელოს ერთ-ერთ ხეობაში ხალხ-
მრავალი კრება მოიწვიეს. სახალხო კრებაზე ერთი საკითხი
იდგა: როგორ მოვიქცეთ, ირანელების მხარეზე გადავიდეთ,
თუ ისევ ბიზანტიელებთან დავრჩითო. საზიზლარი მკვლელო-
ბით ალშფოთებული ხალხი თავს ვერ იკავებდა და ხიამიღლა
ყვიროდა. ზოგი იმას ამბობდა, ირანელებს მივემხროთ და ბი-
ზანტიელები განვდევნოთო, ზოგი — ირანელებს ისევ ბიზან-
ტიელები სჭობიანო. სახალხო კრების მეთაური აზნაურთა ერ-
თი ჯგუფის ხელმძღვანელი აიეტი ირანელებს ემხრობოდა.
მას შემდეგი სიტყვებით მიმართა კრებას:

„...გაქრა კოლხთა ძეელი დიდება და ამიერიდან ვეღარ
ველირსებით სხვებზე მმრდანებლობას. ამის შემდეგ აქეთ გვიბ-
რძანებენ და ვეცადოთ, ძალიან არ დაგვჩაგრონ იმათ, ვინც
წინათ ჩვენი ქვეშევრდომი იყო. ნუთუ უკიდურესი უგუნუ-
რძა არ არის, რომ ვსხედვართ და ვმსჯელობთ, მტრებად
ჩავთვალოთ ისინი, ვინც ეს ჩაიდინა, თუ მეგობრებად? უნდა
ვიცოდეთ, რომ მათი თავხედობა ამაზე არ შეჩერდება: თუ
ჩვენ ამ ბოროტმოქმედებას უყურადღებოდ დავტოვებთ, და

გულხელდაკრეფილი ვისხდებით, ისინი არ მოგვეშეეძან, უფრო რო შეუპოვრად აგვეხდიან ნამუსს... მე ვინატრებდი კუჭუჭერების სახელმწიფოს ჰქონდეს მისი ძველი ძლიერება, არ ატაცუმრთუებს უცხო და გარეშე ხალხთა დახმარება და, ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის, ისე შევიღობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს. ზაგრამ, როდესაც ჩვენ უამთა ტრიალის, ან ბედის უკულმართობის, ან ორივეს წყალობით ისეთ უძლურებაში ჩავცვიდით, რომ სხვათა ხელშევითნი გავხდით, ვფიქრობ, უმჯობესია, იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილის მსურველია... სასირცხვილო იქნება, თუ ჩვენს მეფეს დავივიწყებთ და მის მკვლელებს პირფერობას დავუწყებთ. ის რომ ახლა აქ იყოს, საყვედურით აგვავსებდა და დაგვძრახავდა ჩვენი დაუდევრობის გამო, რომ ეს ბოროტმოქმედნი იმის მაგიერ, რომ დიდი ხნის წინათ ყოფილიყვნენ გაძევებული, ჯერ კიდევ დადიან ამ მიწა-წყალზე. მაგრამ ამიერიდან გუბაზი ველარ გამოჩნდება ჩვენ შორის და ვერც სიტყვით მოგვმართავს, მაგრამ ის თითქოს ამ კრებაზეა და მიგვითოთებს თავის ჭრილობაზე. მკერდზე და კისერზე, და თვის ტომთ სთხოვს, ახლა მაინც გადაუხადეთ მტერს სამაგიეროო... ნუ ვაყოვნებთ, დროს ტყუილად ნუ ვკარგავთ, სასწრაფოდ შევუდგეთ საქმეს, სპარსელებს მივეხმაროთ და ბიზანტიელები განვდევნოთ.“

აიეტის სიტყვამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. კრებამ ერთხმად იხუვლა, ახლავე გადავიდეთ ირანელების მხარეზეო.

ხალხი რომ ასე აღტაცებული და აღფრთოვანებული იყო მკევრმეტყველური სიტყვის ძალით, წინ წამოდგა აზნაურთა მეორე გვუფის წარმომადგენელი, ეგრისელებს შორის დიდი სახელისა და ავტორიტეტის მქონე ფარტაზი. მან, სთხოვა კრებას, მოესმინათ მისთვის. ხალხი რომ დაწყნარდა, შუა აღგილას გამოვიდა და თქვა:

„...აიეტის სიტყვებით ისე გამოდის, თითქოს თქვენ ყველანი ამტკიცებთ, მომხდარი ამბავი საშინელება არ არისო, თითქოს საზიზლარ მკვლელობას არ კიცხავდეთ და მხოლოდ იმაზე მსჯელობდეთ, არიან თუ არა გუბაზის მკვლელები დამნაშავენი... მე კი ვამბობ, წყეული და შეჩეენებული არიან ისინი.

და დიდად მესიამოვნებოდა მათი საშინლად დასჯა, სრამოვე-
ბით შევხედავდი არა მარტო იმათ დაღუპვას, ვინც უჭირესებულ
გუბაზი და საკუთარი ხელით ჩაიდინა ეს მკვლელობა, პარაზიტ
ყველა იმათაც, რომელთაც შეეძლოთ, შეეფერხებინათ ეს
მკვლელობა და არ შეაფერხეს, და, აგრეთვე, იმათაც, რომელ-
თაც ეს მკვლელობა გაეხარდათ და არცოუ ისე აღშფოთდნენ.
თუმცა მე იმას ვფიქრობ, მაგრამ სპარსელების მხარეზე რომ
გადავიდეთ, მაინც არ იქნება სასარგებლო... მსჯელობის დროს
ნუ ავყვებით მოწოლილ ბოლმას და გულისტყივილს, რომ არ
დავკარგოთ მოსახრების უნარი და ბუნდოვანი არ გავხადოთ
ჩვენი მსჯავრი, შევინარჩუნოთ უნარი უკეთესის არჩევისა...
უგუნური ადამიანები სულ მუდამ დასტირიან განვლილ უბე-
დურებას, ხოლო გონიერნი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკულ-
მართ ტრიალს, მათ არ აშფოთებთ ცვლილებები და, როდესაც
წინანდელ მდგომარეობას კარგავენ, არ ისპობენ მომავლის იმე-
დებს... სპარსელები ჩვენი წეს-ჩვეულებების, ჩვენი სარწმუ-
ნოების მტრები არიან, ისინი აგვიკრძალავენ მამა-პაპის ადა-
თებს და თავიანთ სჯულზე გადავყვანას შეეცდებიან, მათე
უფრო სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ, რომლებიც ცოცხ-
ლები ვიქნებით და ამავე დროს მკვდრებიც. მეორე მხრივ,
რომ დაეუშვათ, სპარსელები მართლაც სანდონი არიან და ეს
აზრი მივიღოთ, მაშინაც განა ცხადი არ არის, რომ ჩვენ ვერ
შევძლებთ ჩვენი გადაწყვეტილების, — სპარსელების მხარეზე
გადასვლის, — შესრულებას, რადგან ბიზანტიელთა მრავალ-
რიცხოვანი ჯარი ზედ თავზე გვადგას და ირანელები კი შორს
არიან. ნურავინ ნუ ცდილობს, გული აგვიჩუყოს მიცვალებუ-
ლი გუბაზით, თითქოს ჯაბანივით მოტირალი ჭრილობებს უჩ-
ვენებდეს თავის ტომთ და ეველრებოდეს, შეიბრალონ იგი.
იქნებ, ეს შეეფერებოდეს საცოდავ და სუსტ არსებას, მაგრამ
ეს არ შეეფერება მეფეს, ისიც ლაზთა მეფეს, მით უმეტეს
გუბაზს. ის რომ აქ იყოს, უეპველია, როგორც ლვთისნიერი და
გონიერი ადამიანი, გაგვიცხავდა ჩვენი ამგვარი ზრახვებისა-
თვის, მოგვიწოდებდა, არ მივცემოდით სასოწარკვეთილებას,
მონების მსვავსად კი არ გავქციულიყავით, არამედ ალვეურ-
ვილიყავით კოლხის თავისუფალი შეგნებით, ვაჟკაცურად აგ-
ვეტანა უბედურება და არაფერი სასირცხვილო და მამა-პაპუ-

რი წესების შემბილწველი არ ჩაგვედინა, არსებულ მდგომა-
რეობაში დავრჩენილიყავით და იმედი გვქონოდა, ეს კონტაქტები
ნაესის თვალი არ მოაკლდება ერს... მე იმ აზრისა ვაკ, რომ
საჭიროა, რომაელთა მეფეს ვაცნობოთ მომხდარი ამბავი, რა-
თა იგი სათანადოდ მოეპყრას იმათ, ვისაც ამ მკვლელობაში
მთავარი დანაშაული მიუძღვის, და თუ ის ამას იზამს, აში-
ერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება რომაელებთან... თუკი
ის უარყოფს ჩვენს თხოვნას, მაშინ უნდა მოვითათბიროთ, მა-
ზანშეწონილი იქნება თუ არა, მეორე გზას დავადგეთ. თუ
ასე მოვიქცევით, იმასაც დავამტკიცებთ, რომ ცხონებული გუ-
ბაზი არ დაგვივიწყნია და იმასაც, რომ საქმეებს მოფიქრებით
ვაგვარებთ და არა წინდაუხედავად.“

ფარტაზის ბრძნულმა სიტყვამ ერთბაშად მოხიბლა ყველა
და კრებამ ერთბაშად იგრიალა, ასე იყოსო.

მალე, ამის შემდეგ, ეგრისის წარჩინებულ აზნაურთა დე-
ლეგაცია კონსტანტინოპოლში ჩავიდა, დაწვრილებით მოახსე-
ნა იმპერატორს საქმის ნამდვილი ვითარება და მოითხოვა,
უდანაშაულო მეფის მკვლელები სასტიკად დაესაჭათ. დელე-
გაციამ იუსტინიანეს სთხოვა, ეგრისის მეფედ გუბაზის უმც-
როსი ქმა წათე დაემტკიცებინა, რომელიც მაშინ კონსტანტი-
ნოპოლში იმყოფებოდა. იმპერატორმა დაუყოვნებლივ შეას-
რულა ორივე თხოვნა. დაინიშნა სასამართლო. სასამართლოს
ადგილზე უნდა გამოეკვლია საქმე და საჯაროდ გაესამართლე-
ბინა მკვლელები.

ეგრისის მეფედ დამტკიცებული, ბრწყინვალე მეფურ ტა-
ნისამოსში გამოწყობილი წათე ჩეიმით შემოვიდა სამშობლო-
ში. ეგრისის ჯარი და მოსახლეობა, ბიზანტიის ჯარი და სარდ-
ლები მაღლა აწეული დროშებით, საყვირებით და აღფრთვა-
ნებული შეძახილებით შეხვდნენ ახალ მეფეს. წათე სათავეში
ჩაუდგა სახელმწიფოს და მამა-პაპური წესებით შეუდგა მარ-
თვას.

გუბაზის მკვლელები—ქმები რუსტიკე და იოანე — ბორკი-
ლებგაყრილნი სატუსალოში ჩასვეს და დიდის ამბით შეუდგ-
ნენ სასამართლო გამოძიებას. სწორედ ამ დროს ირანელებმა
საომარი ოპერაციები განაახლეს და სასამართლოც გადაიდო.



მერმეროეს გარდაცვალების შემდეგ ხოსრომ უგზისძირი
იჩანის ჭარის მეთაურად თავისი ერთ-ერთი გამოცდილი სარ-
დალი ნახორაგანი გამოგზავნა. 555 წლის გაზაფხულზე ნახო-
რაგანის უზარმაზარ ლაშქარში 60 ათასამდე მეომარი ითვლე-
ბოდა. სარდალი ნესოსის გარშემო დაბანაკებული ბიზანტია-
ევრისის ჭარის წინააღმდეგ დაიძრა. გალაშქრების წინ სარ-
დალმა ერთი რაზმი გამოჰყო და დაავალა, იერიში მიეტანა და
გაენადგურებინა პუნქტის ერთ-ერთი ტომის — საბირების-
რაზმი. საბირები ქირით მსახურობდნენ ბიზანტიელთა ლაშქა-
რში და დაბანაკებული იყვნენ არქეოპოლისის მახლობლად.
ამით ნახორაგანი ცდილობდა, ნესოსის წინააღმდეგ მოლაშქ-
რე მთავარი ძალების ზურგის უსაფრთხობა უზრუნველეყო.
სარდლის მიერ გამოყოფილმა რაზმმა გადაწყვიტა, ღამით და-
ცემდა მძინარე საბირებს და ერთიანად გაეცლიტა ისინი. რა-
ღაც შემთხვევით ერთ ტყეში რაზმმა ხელთ იგდო ერთი ეგრი-
სელი. ეგრისელს უბრძანეს, მეგზურობა გაგვიწიო. ისიც წინ
წარუძლვა გახარებულ მტერს. ირანელებს ეჭვი არ ეპარებო-
დათ, რომ მათი გეგმა დაუბრკოლებლად შესრულდებოდა.
მეგზური, რომლის სახელი ისტორიამ ვერ შემოგვინახა, ვმი-
რი აღმოჩნდა. მან ისარგებლა ღამის სიბნელით და დაბურული
ტყით, თანდათან ჩამოშორდა ირანელთა რაზმის მოწინავებს,
სასწრაფოდ მიიჩნინა საბირების ბანაკთან და როცა ნახა, მშვი-
ლად ეძინათ, გულშემზარავი ხმით შეპყვირა: „საცოდავებო,
საცაა ამოწყდებით!“ ამ კაცს სახის გამომეტყველებაზეც კი
ეტყობოდა, თუ რა დიდი უბედურება იყო მოსალოდნელი.

გაიგეს თუ არა, ირანელები ჩვენს წინააღმდეგ მოდიანო,
საბირებმა ერთიანად დატოვეს ბანაკი და თხრილების გარეთ
ჩასაფრდნენ, ბანაკში შესასვლელი კი ღიად დატოვეს. გათენე-
ბას ბევრი არ აკლდა, როცა ირანელებმა, როგორც იყო, ბა-
ნაკს მოაღწიეს. ბანაკიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. მტერს ეგო-
ნა, სძინავთო და თავის მხრივ ჩუმათვე, ყოველგვარი ხმაურის
გარეშე შიგ შევიდა, რომ ზედ საწოლებზე წამოდგომოდა მძი-
ნარებებს და ერთიანად ამოეცლიტა. როცა მთელი რაზმი ბა-
ნაკში შევიდა, ამ დროს თხრილებს გარეთ ჩასაფრებული საბი-

რები ორივე მხრიდან შემოცვივდნენ ბანაკში და თავს დაესხა-
ნენ შემოსეულ მტერს. მოულოდნელობით გამოწვეული მტერი და
დაბნეულობა იმდენად დიდი იყო, რომ ირანელებს არც კი
უდიდიათ, თავი დაეცვათ. ბევრი გაწყდა, ბევრმა კი, როგორც
იყო, გააღწია ბანაკს, მაგრამ თავი მაინც ვერ დაიხსნა: ადგილ-
მდებარეობის უცოდინარმა ირანელებმა სიბნელეში გზა ვერ
გაიკვლის და ყველგან მოწინააღმდეგებს აწყდებოდნენ.
მტერს დადევნებული საბირების ხმა და ბრძოლის ხმაური
შორს აღწევდა. კარგად ესმოდათ ეს ხმაური არქეოპოლისშიც,
მაგრამ სანამ ბნელოდა, ვერ მიმხვდარიყვნენ, რა ხდებოდა.
როცა ირიყრაეა და ბნელი ნათელმა შეცვალა, ცხადი გახდა,
რომ საბირები მტერს მისდევდნენ. ეს რომ დაინახეს, არქეო-
პოლისის გარნიზონიც გამოვიდა და დაედევნა გაქცეულებს.
მტრის 3 000-იანი რაზმიდან მხოლოდ ათასამდე მებრძოლმა
მიაღწია ნახორაგანის ბანაკამდე.

ასე იხსნა თავისიანები უცნობმა ეგრისელმა გმირმა აშ-
კარა განადგურებისაგან.

ბრძოლა ფოთისათვის

არქეოპოლისთან მარცხის შემდეგ ნახორაგანმა გადაწყვიტა,
გვერდი აევლო ნესოსისათვის და ქალაქი ფოთი აელო. ამ მიზ-
ნით, მან ლამე ჩუმად გადალახა რიონი და დილით მდინარის
მარცხენა სანაპიროს გასწერივ ფოთისაკენ გასწია. უნდოდა
სამხრეთიდან მისდგომოდა ქალაქს, რადგან ჩრდილოეთის
მხრიდან ჩამდინარე რიონი დაბრკოლებას ვერ შეუქმნიდა.
მზე კარგა მაღალზე იდგა, როცა ბიზანტიიელებმა გაიგეს, რომ
ნახორაგანმა მდინარე გადალახა და ფოთისკენ მიიწევდა. სარ-
დლებმა მაშინვე ხომალდება და ნაეებში ჩასხეს ჯარი და მდი-
ნარებას გაჰყვნენ, რომ მტრისათვის დაესწროთ და ქალაქში
ჩასულიყვნენ. ნახორაგანს ეს წინასწარვე გათვალისწინებული
ჰქონდა და ფოთის მისასვლელთან მორებით და ნავებით ჩა-
ხერგა მდინარე მთელ სიგანეზე. ამ ზღუდესაც არ ენდო და
სპილოების მთელი ხროვა შერევა წყალში იმ ადგილებზე, სა-
დაც გასვლა შესაძლებელი ჩანდა. ბიზანტიიელები გადაულახავ

დაბრკოლებას წააწყდნენ და ფლოტი იძულებული გაწდა, გვაჩ
გამობრუნებულიყო. მაგრამ არ დაიბნენ, მთელი ჯარისშემცუქ
თის გზით მდინარის მარჯვენა სანაპიროს გაპყეა ჭრის მიერადებ
უფრო აღრე ჩაალწია ქალაქს.

ხისგან აგებული ფოთის სიმაგრე ზოგ ადგილას სიძველი-
საგან დამპალი და ჩამონგრეული იყო. ქალაქის დამცველები
სასწრაფოდ შეუდგნენ ციხის გამაგრებას. კედლების დასაცა-
ვად წინ სახელდახელო ზღუდე აღმართეს, ციხეს გარშემო
ლრმა თხრილი შემოაყოლეს, პალიასტომის ტბიდან არხი გაიყ-
ვანეს და თხრილი წყლით ამოავსეს; ზღვაზე, ნაპირის ახლოს
და რიონის შესართავთან დიდი სატვირთო ხომალდები გააშწ-
კრივეს და მათზე ანძის თოკებით ნავები ჩამოკიდეს. ამ ნავებ-
ში მშვილდ-ისრით, შურდულებითა და ქვისმტკურტნელი მსუ-
ბუქი მანქანებით შეიარაღებული მეომრები ისხდნენ. მათ ზევა-
დან ისრები და ქვები უნდა დაეშინათ მოიერიშეებისათვის.
ხომალდები იდგა რიონშიც. საღარავო ნავებში ისხდნენ მეომ-
რები და მდინარეს ხან აღმა აუყვებოდნენ და ხან დაღმა და-
უყვებოდნენ. ქალაქის მცველებმა ციხის ორგელივ მინდორში
აქა-იქ ლრმა ორმოები ამოთხარეს, რომ მტერს კედლებთან
მანქანები ვერ მიეყენებინა. თან ფოთის ახლო-მახლო სოფლე-
ბი გადასწვეს, ვაითუ მტერმა სოფლის ნაგებობანი დაანგრიოს
და ნანგრევებით ორმოები ამოავსოსო.

თავდამცველები რომ ამ მზადებაში იყვნენ, ქალაქის ახ-
ლოს დაბანაკებულმა ნახორაგანმა ტყეში მუშათა დიდი რაზმი
გაგზავნა, ორმოების ამოსავსებად ხე-ტყე მოზიდეთო. ორივე
მხარე ისე გულდასმით ემზადებოდა საბრძოლველად, რომ
მართლაც სასტიკი და შეუბრალებელი შეჯახება იყო მოსა-
ლოდნელი.

ბიზანტიელთა სარდალმა მარტინემ იფიქრა, ჩემიანებს გა-
ვამხნევებ და მტერს შევაშინებო და ხერხს მიმართა: ირანე-
ლები რომ იერიშისათვის ემზადებოდნენ, თავისი ჯარი ერთ
ადგილას შეჰყარა, უნდა მოგეთათბიროთო. იმ დროს, როცა
ჯარის ნაწილები განლაგდნენ და ის იყო თათბირი იწყებოდა,
უცბად ვიღაც უცნობი მოვარდა, დალლილ-დაქანული ძლივს
იდგა ფეხზე, პირდაპირ მარტინეს ეახლა და ხმამალლა განაც-
ხადა: ეს-ეს არის კონსტანტინოპოლიდან მოვდივარ და იმპე-

რატორის წერილი მომაქვსო. წერილი მარტინეს გაუწიოდა /
იმანაც გამოართვა, გახსნა და თვალი არც კი გადაუფლურაზე ჩემთვის
მაღლა წაიკითხა:

„გიგზავნით ახალ ჯარს, იმაზე არა ნაკლებს, რაც უკვე
გყავთ... არა აუცილებელი საჭიროებისათვის, არამედ უფრო
ჩემი თქვენდამი კეთილგანწყობილების დასამტკიცებლად...
მაში მიიღეთ ეს ჯარიც, იყავით ყოჩალად და იბრძოლეთ მამა-
ცურად, დარწმუნებულმა იმაში, რომ ჩვენ ყველაუერს გავა-
კეთებთ, რაც კი საჭირო იქნება.“

მოსულს მაშინვე შეეკითხნენ, სად არის ჯარიო. აგერ, სულ
თხუთმეტიოდე კილომეტრზე დავტოვე ისინი, დასასვენებლად
გაჩერდნენო,—უპასუხა უცნობმა. მარტინემ ითვალთაქცა, შე-
წუხებული სახე მიიღო და განაცხადა:

— ახლავე უკან წავიდნენ, რაც შეიძლება საჩქაროდ გაბ-
რუდნენ შინისაკენ... საკვირველია! ეს ხალხი, — და ხელი ჯა-
რისკენ გაიშვირა, — რამდენი ხანია ჩემთან იბრძვის, რამდენ-
ჯერ დაუმარცხებიათ მტერი, ახლაც საქმე იქამდე მიიყვანეს,
საკაა კისერს მოტეხენ მტერს და საბოლოოდ გაიმარჯვებენ.
და, აი, ასეთ დროს ჩვენი გამარჯვების გვირგვინი და ჭილდო-
ები მათ უნდა გაინაწილონ.

დაამთავრა თუ არა ეს სიტყვა, ჯარს მიუბრუნდა და შეს-
ძახა:

— განა თქვენც ასე არ ფიქრობთ, თანამებრძოლო მეგობ-
რებო?

მოელმა ჯარმა ერთხმად იგრიალა, სარდალი მართალს
შრძანებსო.

მარტინე გახარებული და მეტისმეტად ნასიამოვნები დარ-
ჩა, რომ წინდაწინ მოფიქრებული კომედია ასე ბრწყინვალედ
გაითამაშა. ჯარს გული მიეცა. გუნებაში უკვე გამარჯვებას ზეი-
მობდნენ და ნადავლს ინაწილებდნენ.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა და ირანელებამ-
დეც მიაღწია. შეშინებულმა ნახორაგანმა სასწრაფოდ გამოჰ-
ყო საქმაოდ ძლიერი რაზმი და იმ მიმართულებით გაგზავნა,
საიდანაც თითქოს ბიზანტიიელთა ახალი ჯარი უნდა მოსული-
ყო. რაზმი დიდის ამბით ჩასაფრდა და ლოდინი დაუწყო იმათ,
ვინც სინამდვილეში არასოდეს არ მოვიდოდა. შემდეგ ნახო-

რაგანი მთელი ლაშქრით ბანაკიდან დაიძრა და ქალაქის გადასაცემის/ გაემართა, რომ დაესწრო და ბიზანტიის მი არარაგონული გარემონტის გარის მოსვლამდე აეღო ქალაქი.

სწორედ იმ დროს, როცა ნახორაგანი ბანაკიდან გამოვიდა, ბიზანტიის ერთ-ერთი სარდალი იუსტინე, რომელიც იე-რიშ ჯერ არ მოელოდა, 5 000 ცხენოსნით ქალაქიდან გავიდა. მიღიოდა სამხრეთის მიმართულებით, მახლობელი ტაძრისა-კენ, რომ ღმერთს შევეძრებოდა. ეერც სპარსელებმა შენიშნეს ქალაქისა-კენ ცხენოსნები და ვერც ბიზანტიის შენიშნეს ქალაქისა-კენ მიმავალი სპარსელები (რაღგან ისინი სხვა მხრიდან უახ-ლოვდებოდნენ ქალაქს).

ნახორაგანი ქალაქის ზღუდეს მიადგა. ატყდა საშინელი ხმა-ური და ორივე მხრიდან დაჭკრეს საბრძოლო ნაღარა. ქალა-ქის ცველა უბანზე თავგანწირული და სისხლის მღვრელი ბრძო-ლა გაჩაღდა. განუწყვეტლივ მოზუზუნე ისართა სიმრავლემ მხე დაჩრდილა. ერთნი მანქანებს ეზიდებოდნენ და ცეცხლ-მოკიდებულ ისრებს სტყორცნიდნენ, მეორენი ხის კედლებს ცულებით ჩეხდნენ. ქალაქის დამცველები კოშკებიდან, მიწუ-რებიდან, და ხომალდებზე დაკიდებული ნავებიდან მანქანე-ბით ისროდნენ დიდრონ ქვებს. შურდულებიდან კი უფრო პა-ტარა ქვების წვიმა მოდიოდა განუწყვეტლივ და ერთმანეთის მიყოლებით მოქროდა ისრები და ხელშუბები. ცხენების ჭიხ-ვინი, ფარების ერთმანეთზე ცემა და აბჯრების ფლარუნი. რა-ღაც საშინელი ხმით ირეოდა პაერში. შავი ზღვის ლურჯად მოლივლივე ტალღებს დახოცილთა და დაჭრილთა თბილი სისხლის ნაკაღი შეერთა.

იუსტინე თავისი ლაშქრით ის იყო, უკვე მობრუნდა ტა-რიდან და როცა ნახა, რა ჯოჯოხეთური ალი ტრიალებდა, 5000 მხედრით მოულოდნელად შეუტია ზღვის ნაპირებს მებრძოლ ირანელებს. ირანელებმა იფიქრეს, ეს ის გარია, ბიზანტიის ბი რომ მოელოდნენ. ხმა გავრცელდა, ახალი გარი მოვიდაო, შეტევაზე გადასული მტერი შიშმა და მღელვარებამ მოიცა, აირ-დაირია და მარცხენა ფრთა მთლად დაიშალა. ბრძოლის ამ უბანზე ციხის მცველთა დიდი ნაწილი ზღუდიდან გადმოვი-და და იუსტინეს მხედრებთან ერთად დაედევნა გაქცეულ ირა-ნელებს. მოიერიშეთა მარჯვენა ფრთა კი მწყობრად იდგა და

მედგრად იბრძოდა. ბიზანტიის ამ უბანზე გაუკიცილათ. ლამის გაქცევა დაპირეს. ამ დროს ერთ-ერთი შემცირებული მეშუბე ვიწრო ადგილას მოემწყვდა. ის-ის იყო, ჰმისჭერებული სპილო უნდა დასძერებოდა, რომ სასოწარკვეთილებაში ჩა- ვარდნილმა შები ჩასცა სპილოს წარბებს ზემოთ. შები შიგ შეერწო და სპილო გააშმავა. ერთბაშად უკან მოტრიალდა, შე- ბი მაინც ერ მოიცილა, უფრო გაცოფდა, ხორთუმი აქეთ- იქით მოიქნია და ირანელი მებრძოლები ერთმანეთს მიაჭილი- ბა. გამწარებულმა ცხოველმა მასზე ამხედრებული მებრძო- ლები ძირს ჩამოჰყარა და გასრისა, მერე ცხენებს დაერია, მიპ- ყარ-მოჰყარა. ცხენებიც ყალყზე დგებოდნენ, მხედრები თავი- ვერ იკავებდნენ და ძირს ეცემოდნენ. უმხედრო ცხენები წალ- მა-უკულმა დარბოლნენ. ირანელთა წყობა აირია. ამით ისარ- გებლეს ქალაქის მცველებმა და მთელი ენერგიით შეუტიეს. მტრის მთელმა ჯარმა პირი იბრუნა და სასწრაფოდ მოკურცხ- ლა ბანაკისაკენ. ახლა თავდამცველები შეტევაზე გადავიდნენ და გაქცეულთ დაედევნენ. დევნით და ხოცვით გული რომ იჯერეს, საყვირის ხმაც გაისმა, ნულარ მისდევთო და ეს საში- ნელი ბრძოლაც დამთავრდა. ბრძოლის ველზე ირანელთა 10. 000-ზე მეტი მეომარი დაეცა.

სასტრიად დამარცხებული ნახორაგანი ქუთაისის მიღამო- ებში დაბრუნდა, მხედრობის უმეტესი ნაწილი იქ დატოვა და თვითონ დანარჩენი ჯარით დასახამთრებლად ქართლში გადა- ვიდა.

ამ გამარჯვების შემდეგ ბიზანტიის მა იმპერატორის მი- ერ ადრევე გამოვზავნილი ერთი სენატორის თავმჯდომარეო- ბით, დიდი ცერემონიით გაასამართლეს გუბაზის მკვლელები. რუსტიკე და მისი ძმა ითანე სიკვდილით დასაჯეს. მარტინეს თაობაზე იმპერატორს აცნობეს, რომ ისიც მონაწილეობდა მკვლელობაში. იმპერატორმა მარტინე თანამდებობიდან მოხს- ნა და სასჭელად მხოლოდ ეს აქმარა, რაღვან მხედველობაში მიიღო 555 წელს მის მიერ მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯ- ვება. მარტინეს მაგიერ ეგრისში ბიზანტიის თა ჯარის სარდ- ლად იუსტინე დაინიშნა.



რობლა, კავკასიის მთების ძირში, აფხაზეთის ჩრდილო-აღმო-
სავლეთით და სვანეთის ჩრდილო-დასავლეთით.

555 წელს, როცა ჭერ დაწყებული არ იყო ზემოთაღწერი-
ლი ბრძოლები, მისიმიელთა ქვეყანაში მოვიდა ერთი ბიზანტი-
ელი სარდალი. მას იმპერატორის დავალებით კავკასიონის გა-
დაღმა მცხოვრებ ბიზანტიელთა მოკავშირე ალანებისათვის
ფული უნდა გადაეცა. ბიზანტიის იმპერატორი თავიდანვე მო-
კავშირე „ბარბაროსებს“ ყოველწლიურად უგზავნიდა · საზ-
ღაურს.

სარდალი მრავალრიცხოვანი მცველებით მისიმიელების
ერთ ციხე-სიმაგრეში დაბანაკდა. ხალხში ხმა გავრცელდა,
სარდალს გადაწყვეტილი აქვს, ეს ციხე-სიმაგრე ალანებს გა-
დასცესო. მისიმიელებმა მოციქულები მიუგზავნეს. ოეთრწვე-
რა და თავისიანებში დიდად პატივცემული აღამიანები — ხადე
და თიანე სარდალს წარუდგნენ და მოახსენეს:

„უსამართლობისა და შეურაცხყოფის მოყენება განვიზრა-
ხავს ჩვენთვის, სარდალო, არც სხვას უნდა მისცე ნება, რომ
ქონება წაგვართვას და არც თვითონ უნდა მოინდომო ამის
ჩადენა. თუ ეს მართლა არ გიდევს გულში, საჩქაროდ წადი
აქედან, სხვა ადგილს გადაბარგდი. შენ იქ სურსათი არ მო-
გავლდება, ჩვენ მოგიტანთ ყველაფერს, რაც კი დაგჭირდება.
აქ კი არაეითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩე.“

სარდალმა მოსმენით კი მოუსმინა, მაგრამ ბევრი აღარ
უფიქრია, არც არაფერი უკითხავს, გაჯავრდა, როგორ ბედა-
ვენ მონები, ასეთი სიტყვებით მიმართონ მბრძანებელსო და
მოციქულები გააჭოხვინა. მცველებმა უწყალოდ სცემეს მისი-
მიელებს და ცოცხალ-მკვდარნი გაისტუმრეს შინისაკენ.

მოციქულების გაჭოხვამ სასტიკად იღაშეთოთა და შეუ-
რაცხყო მისიმიელები. ისინი ღამე დაეცნენ თავს სარდლის
ბანაკს და ყველანი ამოქლიტეს. ცხადი იყო, ბიზანტიელები არ
აპატიებდნენ ამას მისიმიელებს და სასტიკად გაუსწორდე-
ბოდნენ. ამიტომ მისიმიელებმა გადაწყვიტეს, ირანელების მხა-

რეზე გადასულიყვნენ. მაგრამ ამჯერად ბიზანტიამ მისიმიელები ბისათვის კერ მოიცალა, რადგან ეგრისში ებრძონდა მარკუ- განს.

სისხლიანი ლაპა

დამთავრდა ფოთის გარშემო დიდი ბრძოლა. ირანელები დამარცხდნენ და 556 წელს ბიზანტიელთა ლაშქარი მისიმიელების მიწა-წყალს შეესია. მისიმიელებს ირანმა ვერ გაუწოდა დახმარების ხელი და საკუთარი ძალებისამარა გამავრდნენ მკეიდრად ნაეგბ ციხე ძახარში. ძახარს რეინის ციხეს ეძახდნენ, მაგრამ ბიზანტიელებმა შეუტიეს და გაიმარჯვეს. ციხის მცველებიდან ოთხმოცი კაცი გადაურჩა სიკვდილს. დანარჩენები მოისრა.

გამარჯვებულმა ბიზანტიელებმა ალყა შემოარტყეს ციხის ერთ მახლობელ, მაღალმთიან და ძნელად მისასვლელ სოფელს. სოფელს სასმელი წყალიც აღარ ჰქონდა. ერთ ლამეს მოალყებმა შეამჩნიეს, რომ სოფლელები კლდის ვიწრო ბილიკით ძირს ჩამოდიოდნენ და წყალს ეზიდებოდნენ. მეორე ლამეს მოალყეთა მზეერავი ჩუმად შორიდან აედევნა მათ, ბილიკი გულდასმით დაათვალიერა და ნახა, რომ ბილიკის თავზე მხოლოდ რვა კაცი იღვა გუშაგად. მზეერავი ბანაქში დაბრუნდა და ყველაფერი სარდალს მოახსენა.

მესამე ლამეს ბიზანტიელთა სარდალმა ასი მეომარი გაგზავნა ბილიკისაკენ, და დაავალა, გუშაგები შეიპყარით, ან აძოხოცეთო. მეომრებს წინ ის მზეერავი მიუძლოდა. ბილიკის თავს რომ მიუახლოვდნენ, შეამჩნიეს, რომ გუშაგებს ცეცხლი დაენთოთ და ეძინათ, მხოლოდ ერთი ფხიზლობდა. ამ დროს ერთ ბიზანტიელს ფეხი დაუცდა, წაიქცა და ფარი გადაუტყდა. ხმაურჩე გუშაგებს გამოეღვიძათ. ბიზანტიელები შეცდნენ. საქმიარისი იყო, ზევიდან ერთი ლოდი დაევორებინათ მისიმიელებს, რომ ვიწრო ბილიკზე გრძლად გამწკრივებული ბიზანტიელები ერთიანად მოესპოთ. საფრთხის მოლოდინში ასივე მებრძოლი, თითქოს გაქვავდაო, კლდეს მიეკრა, ბუჩქნარებში მიიმალა ისე, რომ ჩამიჩუმი არ ისმოდა. კარგა ხანი რომ გა-

ვიდა და საეჭვო არაფერი ჩანდა, დარაჯებმა იფიქრეს, ყურმა
მოგვატყუაო და ისევ მიიძინეს. ბიზანტიიელებმა თავის მიზანებით
ამოისუნთქეს, ნელ-ნელა აჟყვნენ ბილიკს, თავს დაესხნენ ში-
სიმიელ გუშაგებს და ყველანი ამოხოცეს. ქვევით დაბანაკე-
ბულ ლაშქარს შეატყობინეს, გუშაგები დავხოცეთო და ბიზან-
ტიელი მეომრებიც დაუყოვნებლივ აიჭრნენ ბილიკზე. საყვირ-
მა და იარაღის ეღარუნმა სოფელი გამოაღიძა. გაოგნებული
ხალხი ვერ გარევეულიყო, რა მოხდა და სახლებიდან გამორ-
ბოდა, მაგრამ ზედ კარზევე აწყდებოდა მტერს და შუბებზე
აგებული ძირს ეცემოდა. ბავშვთა და ქალთა გულსაკლავი წი-
ვილ-კივილი იქაურობას აყრუებდა. მტარვალი არავის ინდო-
ბდა.

ერთი დედაკაცი სახლიდან ანთებული ჩირალდნით გამო-
ვარდა, იმწამსვე იმ საცოდავს ერთმა ჯარისკაცმა შუბი შიგ
ჭუცელში ატაკა, დავარდნილი ჩირალდანი აიღო და სახლს
ცეცხლი წაუკიდა. ჩალით დახურულ ხის სახლებს უმალ მო-
ედო ცეცხლი. ხანძარმა შთანთქა ყველაფერი. ხელისგულივით
გამოჩნდა მთელი სოფელი. აცახცახებული და დაფეთებული
ბავშვები და მოხუცები აქა-იქ ორლობეებში მიყუდულიყვნენ.
ზოგი უთავბოლოდ დაბორიალებდა. ვერც ერთი მათგანი ვერ
გადაურჩა ბოროტი და გამხეცებული მტრის ხელს. ბავშვები
გულსაკლავი კვირილით დედებს ეძახდნენ, ბიზანტიელები კი,
კლდეებიდან ყრიდნენ, ან პაერში ისროლნენ და ქვევით აშ-
ვერილ შუბებს ახვედრებდნენ.

ასე დამთავრდა ეს საშინელი სისხლიანი ლამე.

მტერს ეგონა, გავიმარჯვეო, მაგრამ მოტყუვდა. გათენების
ხანს სოფლის მახლობელი ერთი ციხიდან უცბად ხუთასამდე ში-
სიმიელი გამოვიდა და მოულოდნელად მოვარდნილი ნიაღვა-
რივით თავს დაესხა ბიზანტიელებს. მრავალი მეომარი ამოწყ-
და, გადარჩენილები კი დაფრთხენ და არეულ-დარეულად
თავქვე დაეშვნენ ბილიკზე. ბევრი მათგანი კლდეზე გადაიჩეხა,
დანარჩენები კი დაბეგვილ-დაჩეხილი და წვივებდახეთქილნი
დაბრუნდნენ ბანაქში. ბრძოლა ამითაც არ დამთავრებულა. კი-
დევ რამდენიმე დღე იცავდნენ თავს მისიმიელები. ბოლოს
მტრის სიმრავლემ სძლია და ბრძოლა შეწყვიტეს.

გამარჯვებულმა ბიზანტიელებმა ვერ გაბედეს სოფლებში

რაზმი ჩაეყენებინათ, დატოვეს მისიმიელთა მიწა-წყალი/და-
ცენტრალურ ეგრისში დაბრუნდნენ. მისიმიელვრჩული/მისიმიელ
შეუდგნენ ძელებური, მამა-პაპური წესით ცხოვრების აღდგი-
ნა-განახლებას.

ზ ა ვ ი

555 წლის დეკემბერს ბრძოლებში დამარცხებული ირანის-
ჯარის ერთი ნაწილი ეგრისში დარჩა. სარდალი ნახორაგანი
კი მთავარი ჯარით ქართლში გადავიდა, რომ იქ დაეზიამთრა.
ეგრის-ბიზანტიის ლაშქარიც საზამთრო ბანაკში განაწილდა.

ირანელთა დამარცხებამ ხოსრო მეტისმეტად გააფარია. მან
ნახორაგანი ქართლიდან გაიწვია და საშინელი სასჭელი მიაგო:
კისრიდან ფეხებამდე გაატყავებინა და ტიკივით გაბერილი
ტყავი კლდეზე დააკიდებინა.

ხოსრო დარწმუნდა, რომ ეგრისში გაბატონება ამჯერად
შეუძლებელი იყო. გადაწყვიტა, დროებით ზავი დაედო და თა-
ვისი გეგმების განხორციელება ხელსაყრელი მომენტისათვის
გადაედო.

მართლაც, კონსტანტინოპოლში ირანსა და ბიზანტიას შო-
რის დროებითი ზავი დაიდო. ეგრისის ერთი ნაწილი ბიზანტი-
ელებს ეჭირათ, მეორე — ირანელებს. შეთანხმდნენ, დროები-
თი ზავის განმავლობაში გადაწყვეტილიყო ყველა სადაო სა-
კითხი და საბოლოო ზავისათვის მიეღწიათ. ბოლოს, ეგრისში
დაწყებული ომის ოც წლისთავზე, 562 წელს ქალაქ დარაში
ბიზანტიასა და ირანს შორის დაიდო ორმოცდათწლიანი ზავი.
მთელი ეგრისი ბიზანტიას დარჩა, სვანეთი კი ისევ ირანს
ეჭირა.

ამრიგად, ოცი წლის თითქმის განუწყვეტელი და გამანად-
გურებელი ომის შემდეგ, ეგრისის განაწამები ხალხი მშვიდო-
ბიან ცხოვრებას ელირსა. ნაომარი, გადამწვარი და გავერანე-
ბული სოფლები მშრომელი აღამიანის ყოვლისშემძლე ხელე-
ბის წყალობით თანდათანობით იშუშებდა ჭრილობებს და
კვლავ შენდებოდა. კოლხეთის ქოხებიდან კვლავ გაისმა მხია-
რული სიმღერის ხმები, ჭალებსა და მინდვრებში, ბაღჩა-ბა-

ლებსა და ზერებში ომის საზარელი ხმაურის ნაცვლად კვლებ
გაისმა ბაეშვთა სასიამოვნო უივილ-ხივილი. მართალია მწერულა-
მელის ბედი უნუგეშო იყო: ქვეყანას ისევ უცხო ძალები შეტყოფია
ვეობდა და მიწის მუშას არა ნაკლებ სწუწნიდა სისხლს საკუთა-
რი დიდეკაცობა. მაგრამ ომის საშინელებას თავდალწეულმა
და უკეთესი მომავლის რწმენით შთაგონებულმა მხვნელ-მოეს-
ველმა იარაღის ნაცვლად კვლავ კავა და სახნისა მოპეიდა
ხელი.

ბიზანტიის გავლენის დამართვა სამართვალოში

ირანმა ვერ მიაღწია თავის სანუკვარ ოცნებას — გაჭრილი-
ყო შევი ზღვის სანაპიროზე და ხელში ჩაეგდო ამ პუნქტზე გა-
მავალი სავაჭრო გზები. ვერ მიაღწია, მაგრამ იმედი როდი გა-
დაწყვიტა. შაპი მაგრად ებლაუჭებოდა სვანეთს, სვანეთში ბა-
ტონობის შენარჩუნება საშუალებას აძლევდა, როცა საამისო
ხელსაყრელი მომენტი დადგებოდა, ამ მნიშვნელოვან სტრა-
ტეგიულ პუნქტს დაყრდნობოდა და კვლავ დაუფლებოდა ეგ-
რისს. ბიზანტიის მთავრობამაც კარგად იცოდა, თუ რა შედეგი
უნდა მოჰყოლოდა ირანელთა ბატონობას სვანეთში. სწორედ
ამიტომ ეგრისში ომის დამთავრების შემდეგ სვანეთი ბიზან-
ტია-ირანის ურთიერთობას ამწვავებდა. ირანელებიცა და ბი-
ზანტიელებიც აშკარად ალიარებდნენ, სანამ სვანეთის საკითხი
არ მოვარდება, ჩვენ ვერ მოვრიგდებითო. ერთხელ, ბიზან-
ტიის ელჩიმა ირანის შაპს პირდაპირ მიმართა: „მას შემდეგ,
რაც ჩავაქრეთ ომის ალი და თითქოს თავისუფლად ამოვისუნ-
თქეთ, მხოლოდ ერთი ნაპერწყალი-ღა დარჩა: ბოროტებათა
ნაპერწყლად მე ვგულისხმობ სვანეთს, რომელიც გვემუქრება,
უდიდესი უთანხმოების ცეცხლად გადავიქცევიო.“

ბიზანტიის ხელისუფლება ამბობდა, ზავის თანახმად ეგრი-
სი ჩვენ გადმოგვეცა, სვანეთი კი ყოველთვის ეგრისის ქვე-
შევრდომად ითვლებოდა. ეგრისის მეფე იყო სვანეთის უზენა-
ესი გამგებელი. ამიტომ, ვინც გამგებელს (კოლხეთს) ფლობს,
ხელქვეითიც (სვანეთი) იმას უნდა ეკუთვნოდეს. შაპის მთავ-
რობა ამტკიცებდა, სვანეთი ყოველთვის დამოუკიდებელი იყო

და არასოდეს კოლხეთის ძალაუფლებას არ ეძვემდექტებულოდა. თან ჩვენ კი არ დაგვიპყრია სვანები, თავიანთა სურველით დაგვმორჩილდნენ და ამიტომ სვანეთი ჩვენ გვეკუთვნისო.

ბიზანტიელმა ელჩებმა ისტორიული ლოცუმენტებით დაუმტკიცეს ძრანელებს, რომ სვანეთი ნამდვილად კოლხეთის მეფეს ემორჩილებოდა. მიუხედავად ამისა, ირანელები სვანეთს მაინც არ თმობდნენ. ბიზანტიის მთავრობამ გადაწყვიტა, დიდი ფულადი საზღაური მიეცა ირანისათვის. შაჰი არ დაყაბულდა.

იმ დროს, როცა ბიზანტია-ირანი სვანეთზე დაობდნენ, ქართლში, სომხეთსა და ალბანეთში ირანელთა ბატონობა მეტის-მეტად მძიმე და აუტანელი გახდა. პირადი გამდიდრების სურვილით შეპყრობილი ირანელი მოხელეები მოსახლეობაზე ძალადობდნენ, სულით ხორცამდე ყვლეფდნენ მშრომელებს. სამხრეთ აზერბაიჯანის ერთ-ერთმა ირანელმა მმართველმა ალბანელთა ძარცვა-გლეჭით 2 400 კილოგრამი ოქრო მოხვეჭა. ირანელს 30 000 სული პირუტყვი და 2 100 მონა კაცი და ქალი ჰყავდა. გაუმაძლარი მმართველი ამასაც არ სჯერდებოდა, ლარიბს, მოხუცს, ქვრივს, ობოლს უკანასკნელ ლუკმას არომევდა.

ირანელი დამპყრობლების ასეთმა თავგასულობამ და უსამართლობამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია დაპყრობილ ქვეყნებში. 571-72 წლებში სომხეთი, ქართლი და ალბანეთი ავანყდნენ. ამით ისარგებლა ბიზანტიის მთავრობამ და ერთ-მორწმუნეთა დაცვის საბაბით ომი გამოუცხადა ირანს. ამრიგად, 562 წლის ორმოცდაათწლიანი ზავი მალე დაირღვა და ბიზანტია-ირანს შორის ახალი ომი დაიწყო.

ავანყებულებმა ბიზანტიის კეისრის ჯარების დახმარებით განდევნეს ირანელი დამპყრობლები თავიანთი ქვეყნის უდიდესი ნაწილიდან. ირან-ბიზანტიის ომი ოც წელიწადს გაგრძელდა. ირანელები იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ სვანეთი. 591 წელს ბიზანტია-ირანს შორის ისევ ზავი დაიდო. ირანმა ბიზანტიას გადასცა სომხეთის უდიდესი ნაწილი ვანის ტბამდე და ქართლი — თბილისამდე.

ამრიგად, VI საუკუნის დამლევისათვის ქართლის უდიდესი ნაწილი განთავისუფლდა ირანელების ბატონობისაგან, მაგრამ ბიზანტიის წარმატება დროებითი და ხანმოკლე გამოდგა.

მეექვსე საუკუნის ბოლოსა და მეშვიდე საუკუნის დანათ
ყისში ბიზანტიის იმპერია სახალხო მოძრაობამ მოიცეა, მონათ
მფლობელური იმპერიის კრიზისი გამწვავდა. აჯანყებული მოსახლეობა.
ყებას მოსდევდა. აჯანყდა დედაქალაქის ღარიბი მოსახლეობა.
დაიწყო აშერა სამოქალაქო ომი. ბიზანტიის იმპერიის ამ
უაღრესად გართულებული მდგომარეობით ისარგებლა ირანის
შაჰმა და 604 წელს ომი დაიწყო. სულ რაღაც თხუთმეტი
წლის განმავლობაში ირანმა დაიპყრო სირია, პალესტინა, ეგ-
ვიპტე; სამჯერ მიადგა ბოსფორის სრუტეს და კონსტანტინო-
პოლის დაემუქრა. ბიზანტიიელებმა 591 წლის ზავით შილებული
ქართლის ნაწილიც დაკარგეს.

შეწუხდნენ ბიზანტიიელები, საკმაოდ მრავალრიცხვან
ლაშერს მოუყარეს თავი და 622 წელს ირანს შეუტიეს. პირ-
ველი დიდი დამარცხება ირანის ჯარმა მცირე აზიაში ივემა.
ბიზანტიიელმა კეისარმა ჰერაკლემ პონტოში გამოიჩამორა და
623 წელს სომხეთში შეიტრა. აიღო, გაძარცვა და დაარბია
დვინი და ნახევანი, შემდეგ ალბანეთს მიადგა, აიღო ალბა-
ნელთა დედაქალაქი ბარდავი.

ჰერაკლეს მხარეზე იბრძოდნენ ლაზები, აფხაზები და იბე-
რების ერთი ნაწილი, მაგრამ თავი დამოუკიდებლად ეჭირათ.
როცა კეისარმა მოინდომა ირანის შუაგულში ლაშერობა, მათ
მიატოვეს ბიზანტიის ჯარი და შინ მობრუნდნენ. სომხებმა,
ალბანელებმა და ქართველთა ერთმა ნაწილმა უმტყუნეს ბი-
ზანტიის კეისარს. ჰერაკლე ფიქრობდა, ირანელებს დაერევია-
ნო, ისინი კი ჰერაკლეს შეებრძოლნენ. ამიერკავკასიელებისა-
თვის ბიზანტიაც და ირანიც დამპყრობელი ქვეყანა იყო და,
რა თქმა უნდა, ორთავეს ებრძოდნენ. 625 წელს ირანელებისა-
გან შევიწროვებულმა ჰერაკლემ უკან დაიხია, მცირე აზიაში.
ლაშერობის დროს ბიზანტიიელებმა დაარბიეს, გაძარცვეს, და-
ანგრიეს და გაანადგურეს ამიერკავკასიის ქალაქები და დაბე-
ბი. შეძრწუნებულმა ამიერკავკასიელებმა ხელიც კი არ გაუ-
მართეს ბიზანტიიელთა უკანდახეულ ლაშერს. ხალხმა კარგად
იცოდა, რომ ბიზანტიიელები ირანელებზე უკეთეს დღეს არ
დააყრიდნენ.

ამიერკავკასიის ხალხთა დახმარებისაგან იმედგაშუვეტილი
ჰერაკლე ჩრდილოეთ კავკასიის მომთაბარე და მეომარ ხაზა-

რებს დაუკავშირდა. ხაზარებმა იფიქრეს, დიდ ნატალია და
სიმდიდრეს მოვიპოვებთო და ხალისით დათანხმდნენ ჩერკეზებუ
კავკასიას შესეოდნენ. 626 წლის ბოლოს ხაზართა შეზრდაში ხავანის
(ხავანის) ბრძანებით, მომთაბარეთა დიდი ურდო აზერბაიჯანს
შეესია. ხაზარებმა უამრავი ტყვე, პირუტყვი, ძვირფასი ტან-
საცმელი, ოქროს ჭურჭელი და სხვა მრავალი სიმდიდრე ჩაიგ-
დეს ხელთ. როცა ამ ამბავმა ხაზართა მთავრის ყურამდე მიაღ-
წია, სიმდიდრის გაუმაძლარი სურვილით შეპყრობილმა თვი-
თონ გადაწყვიტა, ახალი დიდი ლაშქრობა მოეწყო. VII საუ-
კუნის სომეხი ისტორიულისის მოვსეს კალანკატუაცის ცნობით,
ხაზართა მთავარმა (ხავანმა) შეატყობინა ყველას, — მთისა და
ბარის ბინადართა და მომთაბარე ტომებს, — ამიერკავკასიაში
უამრავ სიმდიდრეს ვიშვიოთ, თუ გავილაშქრებთო. შეიტრიბა
უთვალავი მოლაშქრე. ლაშქარს სათავეში ჩიბლუ-ხა-
კანი.

ხაზართა ლაშქარი მოვარდნილი ნიაღვარივით გამოიჭრა
დერბენდის გასასვლელისაკენ, მიწასთან გაასწორა დერბენდია
და ცეცხლითა და მახვილით მოედო ალბანეთის ქალაქებსა და
სოფლებს. აი, როგორ ავეიშერს მოვსეს კალანკატუაცი გამძ-
ვინვარებულ ხაზართა ბრძოებს: „მათი თვალი არავის იბრა-
ლებდა, არც ულამაზეს ქალებს, არც ბავშვებს, არც მამრსა
და არც მდედრს, არც უვარგისსა და გამოუსადევარს, არ სტო-
გებდნენ არც ხეიბრებსა და მოხუცებს, არ იცოდებდნენ ჩვილ
ბავშვებსაც, რომლებიც მოკლულ დედებს ეხვეოდნენ და რძის
მავირად მათი ძუძუდან სისხლსა წოვდნენ. როგორც ცეცხლი
მოივლის ლერწამს, ისე შედიოდნენ ერთ კარში და გადიოდნენ
მეორეში.“

ალბანეთის გაძარცვისა და განადგურების შემდეგ ხაზარ-
თა გამძვინვარებული ლაშქარი „გარს შემოადგა ნატიფს, სა-
ვაჭროსა და სახელგანთქმულ დიდ ქალაქ ტფილის“. აქვე
მოვიდა იმპერატორი ჰერაკლე თავისი ჭარით. ეს იყო 626
წელს. იმპერატორი გადაეხვია ხაზართა წინამძღვლს, ჩემი
შვილი ხარო და თავზე საკუთარი გვირგვინი დაადგა. დიდებუ-
ლი ნადიმი გადაუხადა ჭიბლუ-ხავანს და მის სარდლებს ძვირ-
ფასი ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი, სამეფო ტანსაცმელი და
ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ბეჭდები აჩუქა. შემდეგ ჰერაკ-

ლექ ხაյანს თავისი ქალიშვილის ევდოკიას სურათი უჩვენა /
შეპპირდა, ცოლად მოგათხოვებ, თუ ხაზარები ამიერკავკაზიუნის
და სპარსეთზე სალაშქროდ გამოყვებიანო.

თბილისის მთავარ ციხე-სიმაგრეს ქართველები და სპარსე-
ლები იცავდნენ. ირანის შაჰმა ალყაშემორტყმულებს 1000
რჩეული მეომარი მოაშველა. ქალაქის დამცველნი მედგრად
დახვდნენ მტერს. გაიმართა სასტიკი და დაუნდობელი ბრძო-
ლა. ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის სიტყვით, ქართლის
მაშინდელი ერისმთავარი სტეფანოზი, გულადი და უშიშარი
სარდალი, ყოველდღე ქალაქის მთავარ შესასვლელ კარებთან
იბრძოდა და აკავებდა მოზღვავებულ მტერს. ერთ-ერთ ბრძო-
ლაში სტეფანოზი მოკლეს. მტერი ქალაქში შემოვიდა და ცი-
ხეს ალყა შემოარტყა. ციხის მცველები არ ეპუებოდნენ ხაზა-
რებსა და ბიზანტიელებს. მოალყებმა ციხის კედლებს ოთხ-
თვლიანი მანქანებით უზარმაზარი ქვები დაუშინეს. კედელი
იბზარებოდა, მაგრამ დამცველები მხნეობას არ კარგავდნენ,
დანგრეულს ხელახლა აშენებდნენ და ერთმანეთს ამხნევებდ-
ნენ. ბიზანტიელებისა და ხაზარების ურიცხვი ლაშქარი, რო-
მელიც „მთებსავით გარსშემოდგომოდა ქალაქს“—ქვითა და
ქვიშით გატენილ უზარმაზარ ტიკებს ყრიდა მტკვარში, აგუ-
ბებდა მდინარეს და ქალაქში უშვებდა. ამათ გამოდგა მტრის
ყოველი მეცადინეობა. ქალაქს მედგრად იცავდნენ. იმედდა-
კარგულმა მტერმა თათბირი გამართა და გადაწყვიტა, ქალაქი-
სათვის ალყა მოეხსნა.

თბილისის ციხის მცველებმა რომ გაიგეს, მტერი წასვლას
აპირებსო, უფრო გათამამდნენ და სასაცილოდ აიგდეს იმპე-
რატორი და ხაյანი. ერთი დიდი გოგრა მოიტანეს, ერთი
წყრთის სიგრძესა და სიგანეზე ხაյანი დაახატეს, წარბების
ნაცვლად წვრილი ხაზი გაავლეს. პირტიტველა ხავანს ერთი
მტკაველის სიფართის ნესტოები უჩანდა. გამოვიდა ხაზართა
სახეს მიმსგავსებული გამოსახულება, რომელიც ბრმად გამო-
იყურებოდა. გოგრა ციხის გალავანზე დადეს მტრის დასანა-
ხად და ისრების სროლა დაუწყეს, თან ხმამაღლა გაჰყვიროდ-
ნენ: „აი, თქვენი კეისარი, მეფე, მობრუნდით, თაყვანი ეცით.“
ასევე სასაცილოდ აიგდეს ციხისმცველებმა ჰერაკლე კეისარი.
გალავანზე გადმომდგარი მეომრები ბიზანტიელებს ჩასახოდ-

ნენ, ოქვენს მეფეს თხის წვერი და ვაცის კისერი შევსოგულისებული კეისარი და ხაյანი ბოლმას გულში აუტავლენდნ. არა ნაკლებ გამძვინვარდა ხაზართა ჯარიც. დაიღალუნდა უძაბულ სუსტდნენ, დახოცილებისა და დაჭრილთა მოვლას ვერ ასდიოდნენ. ზამთარიც ახლოვდებოდა. იმპერატორი იძულებული გახდა, თბილისისათვის ალყა მოეხსნა და სპარსეთში გაელაშქრა. ხაკანი კი შინ გაუშვა, იმ პირობით, რომ მომავალ წელს უფრო დიდი ჯარით დაბრუნებულიყო და ჯავრი ეყარა.

627 წელს ხაზართა მრავალრიცხოვანი ლაშქარი ჯიბლუ-ხაკანის შეილის შათის წინამძღოლობით ისევ მიადგა თბილის. გააფთრებული შათი არაფერს ზოგავდა, ოღონდ შური ეძია თბილისელებზე, მათ ხომ გასულ წელს შეურაცხყვეს და გაამასხრეს ხაზარების ხაკანი. თბილისელები ამფერადაც თავ-განწირულად ებრძოდნენ მტრებს, მაგრამ, როგორც იმდროინდელი ისტორიკოსი გადმოვცემს, „ძველ, მხნე კაცთაგან არავინ იყო ქალაქის შიგნით, და ორი თვის გმირული ბრძოლის შემდეგ იძულებული გახდნენ, იარაღი დაეყარათ ურიცხვი მტრის წინაშე. ციხის დაცემისთანავე მტრები ქალაქს მოედო და დაიწყო საშინელი ხოცვა და ძარცვა-ჩბევა. დაუნდობელმა ხაზარებმა ქალაქში სისხლის ტბა დააყენეს. „დედათა თხვრა და გმინვა ისე ისმოდა, როგორც ურიცხვი ცხვრის ფარის ბლავილი“. თბილისის ქუჩები დახოცილთა გვამებით დაიფარა. მიცვალებულებს და დაჭრილებს უწყალო მეომრები ფეხებით თელავდნენ. საშინელი ხოცვა-ულეტა მხოლოდ მაშინ დამთავრდა, როცა „შეწყდა ხმა ტირილისა და ვაებისა და აღარავინ გადარჩა ცოცხალი“ და როცა მტერმა გაიგო, რომ „მათი მახვილები დაძლნენ სისხლისღრით“.

გაძლა მტერი თბილისში ნაძარცვი სიმდიდრითაც: მოსახლეობა გაელიტეს თუ არა, ხაზარებმა ხელთ იგდეს განძით სავსე ყუთები. მთელ ჯარს ზურგით მიჰქონდა განძეული და ერთმანეთზე ახვავებდა თავისი ბატონის წინაშე. იმდენ ხანს მიჰქონდათ ნაძარცვ-ნაალაფევი, რომ ხაკანს ყურებაც კი მოსწყინდა ოქროსა და ვერცხლის ფულების ურიცხვი სიმრავლისა. „მტერმა ხელთ იგდო ეკლესიები, მარგალიტის ქვებით მოოჭვილი უთვალავი სამკაული და ჭურჭელი... ვერცხლის ჭიქები და სასმისები, ოქროს ქანდაქებები, აგრეთვე ყანწები და უზარ-

მაზარი ხის ხაპები, რომლებითაც ხორცის წვენს თქველადზე
ნენ.“

ჰერაკლე კეისარი კი სომხეთიდან ასურეთში შეტყიშადშემდებ
რატორის ჯარი გზადაგზა ულმობლად ანადგურებდა ყველა-
ფერს, რაზედაც კი ხელი მიუწვდებოდა. ირანელებმა ჰერაკ-
ლე სატახტო ქალაქ კტეზიფონთან შეაჩერეს, მაგრად დაუხვდ-
ნენ. ჰერაკლემ ვერ გაბედა კტეზიფონისათვის შეეტია და-
უკან დაიხია სამხრეთ აზერბაიჯანში. ეინ იცის, რითი დამთავ-
რდებოდა ბიზანტიის იმპერატორის ეს ლაშქრობა, რომ ბედ-
ნიერ შემთხვევას არ ეხსნა ივი გასაჭირისაგან. ამ დროს ირან-
ში სასახლის გადატრიალება მოხდა. შაპი მოკლეს და ტახტის-
მემკვიდრემ ჰერაკლესთან დაუყოვნებლივ საზავო მოლაპარა-
კება დაიწყო. 628 წლის აპრილში ირანს და ბიზანტიას შორის
ისევ ზავი დაიდო.

ამ დროიდან მთელი საქართველო ბიზანტიის გაელენის
სფეროში მოექცა. ბიზანტიელები ევრის უფრო უჭერდნენ-
ხელს, ვიდრე ქართლს. მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევარში
ბიზანტიის მთავრობამ ევრისის მეფის ხელისუფლებაც კი მოს-
პო, ხოლო ქართლის შინაურ საქმეებში ნაკლებად ერეოდა.
ასე გაგრძელდა რამდენიმე ათეულ წელიწადს. მაღვე სასანიან-
თა ირანის სახელმწიფოს ბოლო მოულეს ახალმა საშიშმა დამპ-
ყრობლებმა — არაბებმა. საქართველოსა და ამიერკავკასიაშიც
არაბთა ბატონობის მძიმე ხანა დადგა.

III

გრძოლა არაბი და პურავლების ფინავლები

სახალიფო და დაპროგრამი თავაზი

დასავლეთ აფრიკის ქვიშიანი სანაპიროებიდან აღმოსავლეთით, თითქმის წყნარ ოკეანემდე გადაჭიმულია უდაბნოები. ამ უდაბნოთა ცენტრალურ ზონაში, აზიის სამხრეთ დასავლეთით მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძული. ეს არის უმთავრესად მშრალი სტეპებისა და ნახევრად უდაბნოების ქვეყანა. მისი ტერიტორია ეკროპის კონტინენტის ერთი მეოთხედის ტოლია. ნახევარკუნძულს დასავლეთიდან წითელი ზღვა აკრავს, აღმოსავლეთიდან—სპარსეთის ყურე, სამხრეთიდან კინდოოეთის ოკეანე. აღრე, ჩრდილოეთით ნახევარკუნძული სინაის ყელით უერთდებოდა ეგვიპტეს. ამჟამად ეს ყელი არ არსებობს. მის ადგილას გაყვანილია სუეცის არხი.

არაბეთის ნახევარკუნძულის ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე უძეველესი დროიდანვე ერთმანეთის მონათესავე სხვადასხვა ტომები ცხოვრობდნენ. ამ ტომებს არაბებს ეძახდნენ. ქვეყნის შეა ნაწილი ნეჯდი ყველაზე მოუსავლიანი და მწირი ადგილი იყო. აქ მომთაბარეობდნენ მამაცი და გაბედული მეჭოგე ბედუინები. ბედუინის თითქმის ერთადერთ სიმღიდრედ აქლემი ითვლებოდა. უდაბნოს ამ ნამდვილ ხომალდს რამდენიმე დღე შეუძლია უსმელ-უშმელად გაძლოს. ბედუინების სამხრეთ-დასავლეთით ბინადარი არაბები ცხოვრობდნენ. ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა ბდიდარი და აყვავებული თაზისი—იამენი, ანუ ბედნიერი არაბეთი. „იამან“ არაბულად მარჯვენას ნიშნავს. აქედანაა მიღებული „ბედნიერი“, რაღაც ცრუმორწმუნე ხალხები „მარჯვენას“ „ბედნიერის“ მნიშვნელობას უკავშირებდნენ. ასეთივე

რწმენა უძველესი დროიდანვე ქართველ ტომებშიც არსებო
ლა, რაზედაც მიუთითებს ქართული „მარჯვენა“ — აშშროვაში
ბა“ და „მარცხენა“ — „მარცხი“, „დამარცხება“. გიგანტური

იქმენიდან ჩრდილოეთისაკენ, წითელი ზღვის სანაპირო-
მთაგორიან და უნაყოფო ჰიჯაზზე გაღიოდა დიდი სავაჭრო-სა-
ქარავნო გზა. ეს გზა არაბეთს, ბიზანტიას, ირანს და სხვა ქვე-
ნებს ერთმანეთთან აკავშირებდა. ამ საქარავნო გზაზე გაშე-
ნებული იყო არაბეთის ორი დიდი ქალაქი — მექა და მეღინა.

ახალი წელთაღრიცხვის V—VI საუკუნეებში არაბეთში გვა-
როვნული წყობილება ჯერ კიდევ ძალაში იყო, მაგრამ თანდა-
თანობით ძლიერდებოდა დიდკაცობის გავლენა. ტომთა ბელა-
დები, მათი ოჯახის წევრები და ნათესავები ცდილობდნენ, და-
ემორჩილებინათ მომთაბარე მეჭოვე ბედუინები და თავიანთი
ჯოგების მწყემსებად გადაექციათ. ამ ნიაღავზე იზრდებოდა
წინააღმდეგობა ღარიბებსა და წარჩინებულებს შორის. წარჩი-
ნებულებს სურდათ, შეენარჩუნებინათ და განემტკიცებინათ
ბატონობა და გაერთიანებისაკენ მიისწრაფოდნენ. გაერთიანე-
ბა აინტერესებდათ ვაჭრებსაც.

მეშვიდე საუკუნის დასაწყისში არაბეთის სამხრეთი ნაწი-
ლი სასანიანთა ირანში ჩაიგდო ხელში, ჩრდილოეთი კი ბიზან-
ტიამ. იქმენიდან ჰიჯაზზე გამავალ საქარავნო გზაზე თითქმის
აღარავინ დადიოდა. ამ დროიდან მთავარი სავაჭრო გზა სპარ-
სეთის ყურით და მდინარე ევფრატის გაყოლებით მიღიოდა.
სავაჭრო გზის გადანაცვლებამ დიდი გავლენა იქონია მოსახ-
ლეობის ყველა ფენაზე. დაზარალდნენ ბედუინებიც. ისინი
ძველ გზაზე ქარავნების გამყოლებად და მცველებად მუშაობ-
დნენ და გარკვეულ შემოსავალს ღებულობდნენ.

ასეთ პირობებში დაიწყო ფეოდალური ურთიერთობის ჩა-
მოყალიბება არაბეთში.

არაბეთის ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას
მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ახალმა რელიგიამ. ამ ახალ რე-
ლიგიას ისლამი ეწოდა, რაც ლეთისაღმი მინდობას ნიშნავს.
მის მომხრეებს მუსლიმანებს ე. ი. მინდობილებს უწოდებენ.
ახალი რელიგიის მიმდევრებს რელიგიის ფუძემდებლის მაპ-
მაღის სახელის მიხედვით მაპმაღიანებსაც ეძახიან. VII საუ-
კუნეში შექმნილი არაბთა ფეოდალური სახელმწიფოსა და რე-

ლიგის მეთაურებს მუპამედის (მაპმაღის) მოადგილუნებულნებ
ხალიფები ეწოდებოდათ. ხალიფას სახელის მიხედვით ჩატარდა
არაბთა სახელმწიფოსაც სახალიფო დაერქვა.

სახალიფო თავიდანვე დაპყრობების გზას დაადგა. არაბ
ფეოდალებს მდიდარი ქვეყნების დაპყრობა, სიმდიდრის ხელ-
ში ჩაგდების გარდა, სახალიფოში მიმღინარე კლასობრივი
ბრძოლის შენელებისათვისაც სჭირდებოდათ. ფეოდალები ლა-
რიბ არაბებს ზღაპრულ ფერებში უხატავდნენ მეზობელი თუ
შორეული ქვეყნების სიმდიდრეს. არაბეთის მწირი ბუნების
წიაღში მცხოვრებ ყველა ფენას სიმდიდრე თავისებურად იზი-
დავდა. ჯერ კიდევ მუპამედის სიცოცხლეში გაილაშქრეს არა-
ბებმა სირიაში, მაგრამ ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიეს
და ახალი დიდი ლაშქრისათვის მზადება დაიწყეს. ამ დროს,
632 წელს, გარდაიცვალა მუპამედი.

ხალიფა აბუ ბექრის დროს დაიწყო დიდი და ხანგრძლივი
ომები ბიზანტიისა და ირანის წინააღმდეგ. 635—37 წლებში
არაბებმა ბიზანტიელებს წართვეს სირია და პალესტინა, მომ-
დევნო წლებში — ეგვიპტე. 651 წელს არაბებმა დაპყრეს
მთელი ირანი. სასანიანთა სახელმწიფოს ბოლო მოელო. არაბ-
თა დამპყრობლური მახვილი თითქმის მთელ მაშინდელ მსოფ-
ლიოს გადაწვდა.

არაბი ფეოდალები სხვათა ქვეყნებს იპყრობდნენ და ის-
ლამს ავრცელებდნენ, ამბობდნენ საღვთო ომს ვეწევით ურწ-
მუნოთა წინააღმდეგო. სინამდვილეში ქვეყნებს იპყრობდნენ
იმისათვის, რომ სახალიფოს ტერიტორია გაეფართოებინათ,
ნადავლი ეშოვნათ და ხარჯი აეღოთ. ჩვენ, — ამბობდნენ არა-
ბი ფეოდალები, — ღვთისაგან რჩეული და შეყვარებული ერი
ვართ, ეს ქვეყანაც ჩვენი კეთილდღეობისა და სიამოვნებისთვი-
საა გაჩენილი, არამუსლიმანებს იმდენად აქვთ არსებობის უფ-
ლება, რამდენადაც ჩვენთვის მუშაობენ, გვაჭმევენ და გვასი-
ამოვნებენო.

IX საუკუნის არაბი ისტორიკოსის იაკუბის ცნობით, ხალი-
ფა ომარს (634—644 წწ.) უთქვამს: „მაპმაღიანები ჭამენ მათ
(დაპყრობილებს), სანამ ცოცხლები არიან, ხოლო როცა დავი-
ხოცებით, ჩვენი შვილები შეჭამენ მათ შვილებს“. ხალიფას

ეს ნათქვამი მშეენივრად გამოხატავს არაბთა დაპყრობების
ნამდვილ მიზანსა და ხასიათს.

თავდაპირველად არაბები შედარებით ლმობიერად ეპყრო-
ბოდნენ დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას და არც სარწ-
მუნოებას დევნიდნენ. განსაკუთრებით რბილი და შედარებით
აღვილი ასატანი იყო არაბთა ბატონობა იქ, სადაც ნებაყოფ-
ლობით დაემორჩილებოდნენ. მართლაც ზოგან ბიზანტიელები-
სა და ირანელების ძალმომრეობით სულშეხუთული ხალხები
არაბებს ხვდებოდნენ, როგორც განმათავისუფლებლებს. ამ
გარემოებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი არაბთა წარმატებას.

პირველ ხანებში სახალიფოს დაპყრობილი ქვეყნებიდან უამრავი სიმდიდრე შემოსდომდა. მარტო ერაყიდან ყოველ-
წლიურად ასი მილიონი დირჰემის (დაახლოებით 25 მილიონი
მანეთი ოქროთი) შემოსავალს იღებდნენ. 637 წელს, როცა
არაბებმა სასანიანთა ირანის სატახტო ქალაქი კტეზიფონი აი-
ღეს, მათ ხელში ჩაუვარდათ 900 მილიონი დირჰემის ღირებუ-
ლების ქონება, მათ შორის ხელოვნების მრავალი ძვირფასი ნი-
მუში და ოქრო-ვერცხლის ნივთები. უდაბნოს შვილებმა არც
კი იცოდნენ, როგორ მოეხმარათ ისინი. იმავე კტეზიფონში
არაბებს ხელში ჩაუვარდათ ძვირფასი ქვებით მოვჭვილი სასა-
ნიანთა სასახლის დიდი ხალიჩა. ეს იყო ხელოვნების უძვირფა-
სესი ნიმუში. სხვა ნადავლთან ერთად დიდი ხალიჩა ხალიფას
გაუგზავნეს მედინაში. ომარმა არ იცოდა, რა ექნა ხალიჩისა-
თვის. მთელს არაბეთში არსად იყო ისეთი სამოქალაქო ნაგე-
ბობა, ხალიჩა რომ გაეშალათ. უხერხულ მდგომარეობაში ჩა-
ვარდნილი ხალიფა ამ გატირვებიდან ალიმ, მაპმადის სიძემ,
გამოიყვანა: მისი წინადაღებით ხალიჩა დაჭრეს და ხალიფას
და მის ახლობლებს დაუნაწილეს. ერთი ნაკერი აღისაც შეხვ-
და. მან შემდეგში ეს ნაკერი 20 000 დირჰემად (დაახლოებით
5 000 მანეთი ოქროთი) გაყიდა.

დაპყრობების გზით მოპოვებული სიმდიდრის უდიდესი
ნაწილი არაბი ფეოდალების კუთვნილება იყო, არაბთა საზო-
გადოების დაბალი ფენა კი სილატაკეში ცხოვრობდა და შიმ-
შილობდა. ამ მხრივ საინტერესო და დამახასიათებელია ერთი
არაბული თქმულება ხალიფა ომარზე:

ერთხელ, სალამო ყამს, როცა მზე უკვე კარგა ხნის ჩასუ-

ლი იყო და საკმაოდ ბნელოდა, ომარი თავისი მსახურის თან
ხლებით ქალაქგარეთ გავიდა სასეირნოდ. ქალაქის ერთ-ორი რეზიდენცია,
რა უბანში მათ თვალი მოჰკრეს მოგიზგიშე კოცონს. ხალიფა
იქითენ გაემართა. მიუახლოვდა თუ არა, დაინახა ერთი დედა-
კაცი, რომელსაც გარს ბავშვები შემოჰკვეოდნენ და საცოდა-
ვად ტიროდნენ. დამწუხრებული დედაკაცი კოცონთან ჩაცუც-
ქულიყო და ნალვლიანად შესცემოდა ქვაბს.

— მშვიდობა თქვენდა, კოცონთან მსხდომნო! — მიესალმა
ომარი ქალს.

— კურთხეულ იყავ და მშვიდობა შენდა! — იყო პასუხი.

— შეიძლება, მოვიდე თქვენთან?

— მობრძანდით, თუ კეთილი ნებით მოღიხართ, თუ არა
და, ღვთის გულისათვის, ნუ დაგვირდვევთ მყუდროებას.

ხალიფა ახლოს მიეიდა, მოხერხებული აღგილი მონახა, ჩა-
მოგდა და შეეკითხა:

— აქ რას აკეთებთ?

— ჩეენ აქ გვაჩირებს ღამე და სიცივე! — მიუგო ქალმა-

— რატომ ტირიან ბავშვები?

— შიათ და იმიტომ!

— რა გაქვს ქვაბში?

— არაფერი. ვერ ვაწყნარებ და ამიტომ ჩამოვკიდე ქვაბი,
ამათ ჰერნიათ, რაღაცა იხარშება, ამასობაში დაიღლებიან და
ჩაეძინებათ კიდეც! დაე, ღმერთი იყოს მსაჭული ჩემსა და
ომარს შორის!

— კეთილო ქალო! — მიუგო ხალიფამ, — საიდან უნდა
რცოდეს ომარმა შენი ამბავი?

— მან გაგზავნა ჩემი ქმარი ომში, ის საწყალი იქ დაიღუ-
პა და მე და ჩემს პატარებს ლუკმა არა გვაქვს. თვით განსაჭე:
ჩვენზე მზრუნველობა ომარს აკისრია, ის კი ამაზე არც ფიქ-
რობს.

დაფიქრებული ომარი გაეცალა მათ, მობრუნდა სასახლეში
და თავისი ზურგით მიუტანა ქალს ფქვილი და ხორცი, თვი-
თონ მოუხარშა, დაპურა და მანამ არ წასულა, ვიდრე ბავშ-
ვებმა მშვიდად არ დაიძინეს.

ამ თქმულებაში კარგად ჩანს, როგორ სიღატაკეში ცხოვ-



რობდა არაბი ხალხი იმ დროს, როცა ფეოდალური დინასტიურება სიმღიდრეში ცურავდა და არც იცოდა, როგორ მჯდომარეობდა ეს სიმღიდრე.

ამიერკავკასიის დაპროგრამა

ამიერკავკასიის ქვეყნებში არაბთა პირველი დამრბევი რაზმები 636—637 წლებში გამოჩნდნენ. მაშინ არაბებმა სირიაზე გაილაშქრეს და ამიერკავკასიის ქვეყნებში ხელს ითბობდნენ. შეესეოდნენ სოფლებს, დაბებს, დაარბევლნენ იქაურობას და ნაალაფევით უკან ბრუნდებოდნენ.

639 წელს არაბებისაგან დამარცხებულმა ირანელმა ფეოდალებმა ალბანეთს შეუტიეს, გაძარცვეს ქალაქი ბარდა და მრავალი ტყვე ჩაიგდეს ხელთ. ალბანელებმა ჭუანშერის მეთაურობით მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს შემოსეულებს. ამ ბრძოლებში ჭუანშერს ეხმარებოდნენ ქართლისა და სომხეთის მეომრებიც. ქართლის მთავარმა იდარნერსემ ერთ-ერთ ბრძოლაში დაჭრილ ჭუანშერს თვითონ შეუხვია ქრილობა. შემდეგ ალბანელებს მხარში ამოუდგა და მტერი განდევნეს.

640 წელს არაბთა დამრბევი რაზმები მოედვნენ სომხეთის მიწა-წყალს. გაძარცვეს მრავალი ქალაქი და სოფელი, ტყვედ ჩაიგდეს მეომრები. მიწა-წყალს კი ვერ დაეპატრონენ და უკან გაბრუნდნენ. სომხებმა ამოისუნთქეს, მაგრამ ორი წელიც არ იყო გასული, რომ სომხეთში არაბთა უფრო მრავალრიცხოვანი ლაშქარი შემოიჭრა. სამშობლოს დამცველებს სათავეში ჩაუდგა სომეხი ფეოდალი თეოდოროს რშტუნი.

ჰერაკლე კეისრის ლაშქრობის დროიდან მთელ ამიერკავკასიას ბიზანტია ფლობდა და ბიზანტიის მთავრობა ვალდებული იყო, დაეცვა ქვეყანა შემოსეული მტრებისაგან. რშტუნმა მიმართა ბიზანტიას, მაგრამ ბიზანტიის სარდალმა უარით გამოისტუმრა. არც ქართლსა და ალბანეთს ეცალათ. ორივე ქვეყანა საკუთარ საზღვრებს დარაჯობდა. არაბები მათაც ემუქრებოდნენ. ასე რომ, სომხებს მარტო მოუხდათ ბრძოლა არაბების წინააღმდეგ. დამპყრობლები სომხეთის დედაქალაქ დვინში შეიკრენენ, გატეხეს ციხისმცველთა გმირული წინააღ-

მდეგობა და ქალაქი აიღეს. ბრძოლაში დაიღუპა თორეგეტი-ათასი სომეხი, 35 ათასი კაცი, უმთავრესად ქალწინეულები შევები, ტყვედ ჩაუვარდა მტერს. VIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ლევონდის სიტყვით, „უზომო იყო განსაცდელი, რომელიც სომეხ ხალხს დაუდგა, ვაებამ, კვნესამ და მოთქმამ მოიცა ქვეყანა. არავინ იცოდა, რა უფრო ეტირათ: უსჯულოთა მახვილით სიკვდილი, თუ ცოცხლად დარჩენა და ვაეიშვილებთან და ქალიშვილებთან განშორება. ხოცვა-ელეტას გადარჩენილნი, შესახედავად საცოდავნი, მკვდრებივით დაცემულიყვნენ მკვდრების გვამებზე და სისხლში მოსვრილნი ქვითინებონენ, ზავრამ არ შეეძლოთ ამ გვამების აღება და დასაფლავება.“⁴

იმავე ხანებში (642-43 წწ.) არაბთა რაზმები ქართლსა და ალბანეთში შეიჭრნენ. დამპყრობლებს ყველგან მედგრად შეხვდნენ, მათაც ნადავლი აკრიფეს, ტყვები წაიყვანეს და გე-ცალნენ სომხეთსაც, ქართლსაც და ალბანეთსაც. ამგვარად, არაბთა ამ პირველ ლაშქრობებს არავითარი პოლიტიკური შედეგი არ მოჰყოლია: არაბებმა ამიერკავკასიაში ფეხი ვერ მოიყიდეს.

651 წელს არაბებმა მთლიანად დაიპყრეს ირანი, უკვე ცხადი გახდა, რომ მრავალრიცხოვანი დამპყრობლების წინააღმდეგ ამიერკავკასიის ქვეყნები ვერას გააწყობდნენ. 652 წელს სომხეთმა მორჩილება გამოუცხადა არაბებს. ქართლს საფრთხე დაემუქრა.

653 წლის ზამთრის დასაწყისში ქალაქ დვინში არაბთა დიდალი ჭარი დაბანაკდა. აქედან არაბთა სარდალი ქართლს დაემუქრა: ან დაგვმორჩილდით, გვემსახურეთ, ან თქვენი ქვეყანა დასტოვეოთ. ქართველები არ დაემორჩილნენ და თავდასაცავად ემზადებოდნენ. განრისხებული არაბთა სარდალი ქართლის საზღვრებისაკენ დაიძრა, რომ ერთიანად გაენადგურებინა და მოესპო ქართველობა. მაგრამ ამჯერად ქართლი მოახლოებულ უბედურებას მკაცრმა ზამთარმა გადაარჩინა: ქართლისაკენ მიმავალ არაბებს გზაში დიდმა თოვლმა და სუსხიანმა ყინვებმა მოუსწრო. სიცივეში ბრძოლას შეუჩეველმა არაბებმა მიატოვეს ქართლიც და სომხეთიც და სირიაში გადაბარგდნენ. ამით ისარგებლეს ბიზანტიელებმა და სომხეთში შეიჭრნენ, დაარბი-

ეს და გაძარცვეს სომხეთის ბევრი ოლქი. 654 წლის გაზაფხულზე არაბთა სარდალი ჰაბიბი ისევ სომხეთში ჭარბაზე მარტინ ბიზანტიის და განდევნა. ბიზანტიის სარდალი მავრიანოსი ქართლში გამოიქცა.

ჰაბიბიმ სომხეთი და ალბანეთი დამორჩილა და დიდი ლაშქრით ქართლისაკენ წამოვიდა. ქართველებმა იფიქრეს, წინააღმდეგობის გაწევა უაზრობაა და ქვეყანა აოხრებისა, ხოცვა-ულეტისა და განადგურებისაგან რომ ეხსნათ, ამჯობინეს, ნებით დამორჩილებოდნენ. ჯერ ერთი, ნებით დამორჩილებულებს არაბები რბილად ექცეოდნენ, მსუბუქ ხარჯს სჯერდებოდნენ და ქრისტიანულ სარწმუნოებას არ სდევნიდნენ. მეორეკაა და, სომხეთის მაგალითიდან ჩანდა, შეიძლება წინააღმდეგობა გაეწიათ, დროებით თავისუფლება შეენარჩუნებინათ, მაგრამ არაბთა მრავალრიცხოვან ლაშქარს ბოლომდე ვერ გაუძლებდნენ. თანაც არაბეთთან დამორჩილებით ბიზანტიის ბატონობას თავს დააღწევდნენ.

654-655 წლებში საქართველოსაკენ მიმავალ ჰაბიბის ქართლის ერისმთავარმა თავისი ელჩები შეაგება. შეუთვალა, დავზუდეთ და დაგმორჩილდებითო და ძლვენიც მიართვა. ქართველმა ელჩმა არაბების სარდალს ქება-დიდება შეასხა, რომ მისი გული მოენადირებინა. ელჩმა უთხრა ჰაბიბის, თქვენ ლვთისაგან გამორჩეული და შეუვარებული ხალხი ხართო. არაბთა სარდალს ძალიან გაუხარდა, ქართველები ნებაყოფლობით რომ დაემორჩილნენ და მირთმეული ძლევნი ხარჯის ანგარიშში ჩაუთვალა. ქართლში შემოსულმა ჰაბიბიმ ერისმთავარს მისწერა: „ჩემთან და ჩემს გვერდით მყოფ კეთილმორწმუნებთან თქვენი მოციქული მოვიდა და მოგვახსენა, რომ ჩვენ (არაბები) სწორედ ის ერთ რომელსაც ღმერთმა პატივი მიანიჭა და დააწინაურა... მერე გვიამბო, რომ თქვენ მშვიდობიანობის ჩამოვდებას გვთხოვთ. თქვენი საჩუქრები დავთვალე და თქვენ ხარვად ჩაგითვალეთ. გიგზავნით ხელშეკრულებას, რომელშიც ჩამოთვლილი მაქვს პირობები: თუ მიიღებთ იმას და ასრულებთ, ხომ კარგი, თუ არა და ლვთისა და მისი მოციქულის სახელით ომს გამოგიცხადებთო“.

ქართლის მმართველი წრე დათანხმდა არაბთა სარდლის მიერ წარმოდგენილ პირობებზე. ეს ხელშეკრულება ანუ „დაც-



ვის სიგელი“, რომელიც გაცემულია ქალაქ თბილისშემცირებულ
კაპტან არაბთა სარდლის ჰაბიბის მიერ და დაცულისადაც შესძლებული
კუნის არაბი ისტორიკოსების ბელაძორისა და ტაბარის ისტო-
რიულ შრომებში, ასეთი იყო:

1. არაბები ქართველთა სიცოცხლეს, სარწმუნოებას, ეკლე-
სია-მონასტრებს უვნებლობას და ხელუხლებლობას ოლუოქ-
ვამენ;
2. ქართველები მორჩილებას უცხადებენ არაბებს და
იხდიან ხარჯს—გზითით, პირად გადასახადს თითო კომლჩე
დინარის (დაახლოებით 5 მანეთი ოქროთი) რაოდენობით;
3. ქართველებს უფლება არა აქვთ რამდენიმე კომლი ერთ
კომლად შეაერთონ და ამ გზით ხარჯი შეამცირონ; არც არა-
ბებს აქვთ უფლება, ერთი კომლი რამდენიმე კომლად გაპყონ
და ამ გზით ხარჯი გაადიდონ;
5. ქართველები ვალდებული
არიან, დაეხმარონ არაბებს შეძლებისდაგვარად, რჩევით და
თანადგომით თავიანთი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, ე. ი.
ქართლის მოსახლეობა კისრულობს სამხედრო სამსახურს;
6. თუ ქართველები ისლამის სარწმუნოებას მიიღებენ, მაშინ
ისინი ჩაითვლებიან მუსლიმანების ძმებად და ჭიშიათისაგან
თავისუფალნი იქნებიან, მაგრამ ვინც ისლამში გადასცლის შემ-
დეგ უარყოფს მას და ისევ ქრისტიანობას დაუბრუნდება, მას
პირდაპირ ომი გამოეცხადება, ე. ი. დაისჯება.

ამრიგად, 655 წელს ომოსავლეთ საქართველო არაბების
ბატონობის ქვეშ მოექცა, მაგრამ ეს ჭერ კიდევ არ ყოფილა
საბოლოო დამორჩილება. არაბთა ბატონობა ამჯერად მხოლოდ
ორ წელიშადს გავრჩელდა. 657-661 წლებში სახალიფოში არც-
და დაუნდობელი შინაური ბრძოლა ხალიფას ტახტის გარშე-
მო. ამით ისარგებლეს ამიერკავკასიის ქვეყნებმა და არაბების
მოხარკეობისაგან თავი გაითავისუფლეს.

661 წელს სახალიფოში შინაური ბრძოლა დამთავრდა. გა-
იმარჯვა სირიის მმართველმა მუავიამ ომეადების გვარიდან.
ამ დროიდან სახალიფოს ცენტრი სირიის მთავარი ქალაქი და-
მასკო გახდა, ხოლო არაბთა სახელმწიფოს სათავეში ომეადე-
ბის დინასტია მოექცა.

განმტკიცდა თუ არა ხალიფას ტახტზე, მუავიამ გადაწყვი-
ტა, შური ეძია ამიერკავკასიის ფეოდალებზე, რომლებიც სა-
ხალიფოში მიმდინარე შინაბრძოლის ღრძს გადაუდგნენ და

ბიზანტიის მხარეზე გადავიდნენ. როგორც ჩანს, მუავრამ შე-
ლო სომხეთი, ალბანეთი და ქართლი კვლავ დაემორჩიერებულებოდა
VII საუკუნის 60-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში შემოიყენება
სად რთული და დაძაბული ვითარება შეიქმნა. ერთმანეთს სა-
მი დიდი ძალა ებრძოდა: არაბები, ბიზანტიელები და ხაზარე-
ბი. მთავარი მოწინააღმდეგენი — არაბები და ბიზანტიელები
ცლილობდნენ, ჩრდილო კავკასიიდან მომავალ საულელტეხი-
ლო გზებზე დერბენდსა და დარიალზე გამაგრებულიყვნენ.
ბრძოლის ბედი წამდაუწუმ იცვლებოდა. ხან არაბები შემოიჭ-
რებოდნენ ამიერკავკასიაში, ხან ბიზანტიელები. ერთნიც და
მეორენიც ძარცვადნენ, აოხრებდნენ სოფლებსა და ქალაქებს,
ტყეედ მიჰყავდათ აღამიანები. ადგილობრივ მთავართა შორის
თანხმობა არ იყო, ისინი ხან ერთის მხარეზე გადადიოდნენ,
ხან — შეორისა, იმის მიხედვით, თუ რა ეჩერებოდათ უფრო
ხელსაყრელია. ამ ძარცვა-რბევითა და არეულობით სარგებ-
ლობდნენ ხაზარები, რომელთა ძლიერი სახელმწიფო ყირიმი-
დან ვოლგამდე იყო გადაჭიმული. სიმდიდრისა და ნადავლის
ხელში ჩაგდების მიზნით, VII საუკუნეში და შემდეგაც ხაზა-
რები არა ერთხელ შემოჭრილან ამიერკავკასიაში.

684 წელს, როცა სახალიფოში ისევ ატყდა შინაური ბრძო-
ლა, ხაზარებმა იფიქრეს, ახლა ხელსაყრელი დროა ძარცვა-
რბევისთვისო და დერბენდის გზით ალბანეთში შემოიჭრნენ,
შემდეგ სომხეთსა და ქართლს მოედვნენ, ხელთ იგდეს დიდა-
ლი ქონება და ტყვეები. ხაზარებთან ბრძოლაში დაიღუპნენ
სომხეთი, ქართველთა და ალბანელთა მთავრები.

სახალიფოში ატყნილი შინაური ბრძოლით ისარგებლა ბი-
ზანტიიმაც და არაბებს შეუტია. 686 წელს ქართლი, სომხეთი
და ალბანეთიც აჯანყდნენ. ქართლის მთავარმა ნერსემ დიდი
დახმარება აღმოუჩინა მოძმე სომხეთს: სომეხი ისტორიკოსის
პოვანეს დრასხანაკერტელის ცნობით, „ქართველთა მთავარმა
ნერსემ სასტიკად დამარცხა სომხეთში მყოფი არაბთა ჯარის
სარდალი ბარაბა და გააქცია იგი.“

სამ წელიწადს არც ერთი მათგანი არც არაბების ხელისუფ-
ლებას ცნობდა და არც ბიზანტიელებისას. იმავე წელს ხალიფა
და კეისარი შეთანხმდნენ და ერთმანეთთან ხელშეკრულება
დადეს, კვიპროსის კუნძულის, იბერიის (ქართლის) და სომხე-

თის ქვეყნებიდან მიღებული შემოსავალი შუაზე უნდა ყოფილი კუთხით გამოიწვეოს. მაგრამ ქართლი და სომხეთი არც არაბებს ფლეურლები ხარჯს და არც ბიზანტიელებს.

ბიზანტიის მთავრობა შეეცადა, გაეტეხა ამიერკავკასიის ტალხთა წინააღმდევობა. კეისრის ბრძანებით, ბიზანტიის ლაშქარი შემოვიდა სომხეთში, ქართლსა და ალბანეთში და დროებით მოახერხა მათი დამორჩილება: 90-იან წლებში კი, როცა ბიზანტიაში შინაური ბრძოლა ატყდა, ამიერკავკასიაში ისევ არაბები გაბატონდნენ.

აღმოსავლეთ საქართველო რომ ხან არაბებს სდევნიდა და ხან ბიზანტიელებს, დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელები ბატონობდნენ. მეტისმეტად შეაწუხეს ბიზანტიელებმა ეგრისელები. დღედაღმა მოსვენებას არ აძლევდნენ, კირნახული არ შეარჩინეს მუშავაცს და ქვეყანა სიმდიდრისაგან დაცალეს. 697 წელს ლაზიეის (ეგრისის) მმართველი სერგი ბარნუკის ძე აუგანცდა მათ და ქვეყანა არაბებს გადასცა. ამას მოჰყვა ბიზანტია-არაბების სამხედრო ლაშქრობაზი ეგრისში. VIII საუკუნის დასაწყისისათვის არაბებმა თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო დაიჭირეს. ბიზანტიელები გამაგრდნენ მხოლოდ ზოგიერთ ზღვისპირა ქალაქში.

ამრიგად, VIII საუკუნის დასაწყისში არაბებმა ამიერკავკასია თითქმის დაიმორჩილეს, მაგრამ ფეხი მტკიცედ მაინც ვერ მოიკიდეს. აჯანყებები არ წყდებოდა. არაბები იძულებულნი იყვნენ, ახალ-ახალი ლაშქრობები მოეწყოთ და განსაკუთრებით იმას ესწრაფოდნენ, ხაზარების ძალა გაეტეხათ, გაემაგრებინათ კავკასიის საულელტეხილო გზები და ამით განეძრიელებინათ თავიანთი ბატონობა ამიერკავკასიაში.

ხალიფა ხიშამმა (724—743 წწ.) ამიერკავკასიის მმართველად დანიშნა სარდალი ჯარაპი და დაავალა, ხაზარების წინააღმდეგ გაილაშქრეო. ჯარაპის ლაშქარი ჯერ ქართლში შემოვიდა. ქართლის მმართველებმა მას ჰაბიბის მიერ გაცემული სიგელი წარუდგინეს. არაბთა სარდალმა ეს ხელშეკრულება განაახლა და ხაზარებს შეუტია, მაგრამ დამარცხდა. დარიალის კარს არაბები ვერ დაეპატრონენ.

ჯარაპის დამარცხების შემდეგ ხალიფამ ამიერკავკასიის მმართველად გამოგზავნა ცნობილი სარდალი მასლამა. ახალშა

სარდალმა დაიკავა დარიალი და შიგ არაბთა გარნიზონი ჩა-
ყენა. მალე მასლამას ლაშქარმა განდევნა ხაზარები ფერწერულ-
დიდან. გაამაგრა იქაურობა, მოაწყო იარაღისა და სტრიქონების
საწყობები და 2400 სირიელი კოლონისტი ჩაასახლა. მათ და-
ავალა, დერბენდის კარი დაეცვათ. არაბთა ამ სარდალმა სა-
ხელი გაითქვა, როგორც მკაცრმა და შეუბრალებელმა. ერთ-
ხელ მასლამამ ალყა შემოაჩიპა აზერბაიჯანის ერთ-ერთ ქა-
ლაქს. ქალაქის მოსახლეობა სარდალს შეჰვირდა, დაგმორჩილ-
დებით თუ არც ერთ კაცს არ მოკლავთო. მასლამამ დაიფიცა,
რომ ამ პირობას შეასრულებდა, მაგრამ შევიდა თუ არა ქა-
ლაქში, თავის ლაშქარს უბრძანა, დაეხოცათ ყველა, გარდა
ერთი კაცისა.

732-33 წლებში მასლამა დამასკოში წავიდა ხალიფასთან
და ამიერკავკასიის მმართველად ხალიფა ხიშამის ძმისშვილი
მერვანი დატოვა. მერვანი მასლამას ლაშქრობათა მონაწილე
იყო და მამაცი და გაბედული სარდლის სახელი დაიმსახურა.
ხაზარების წინააღმდეგ ლაშქრობის დროს მერვანი არაბთა
მოწინავე ლაშქარს მეთაურობდა. ბრძოლების დროს ის ზოგ-
ჯერ სადღაც იყარგებოდა და მასლამას მოახსენებდნენ ხოლმე
მერვანი მოკლულია. ამაზე მასლამა მიუგებდა, ეს შეუძლე-
ბელია მოხდეს მანამდე, ვიდრე მას ხალიფობას არ მიულო-
ცავენო. მართლაც 744 წელს ის ხალიფა გახდა მერვან II-ის
სახელით. ეს მერვანი, რომელსაც ქართული წყაროები მურვან
ყრუს უწოდებენ, ცნობილია, როგორც კავკასიის დამპურობე-
ლი. არაბი ისტორიკოსის იაკუბის სიტყვით, მან „ყველა ოლ-
ქი დაიპყრო“ (იგულისხმება კავკასიის ყველა ოლქი).

მალე ამიერკავკასიის ახალი მმართველი (მერვანი) ხალი-
ფას ესტუმრა და ამიერკავკასიის საბოლოო დამორჩილებისა
და ხაზარების წინააღმდეგ ბრძოლის საკუთარი გეგმა გააცნო,
თან ასოციაციასთან ლაშქარი სთხოვა. ხალიფა სიამოვნებით
დათანხმდა და 735 წელს მრავალრიცხვები ლაშქრით მერვანი
ამიერკავკასიაში დაბრუნდა. პირველ რიგში მერვანს აჯანყე-
ბული ქართველების დამორჩილება მოუხდა. ერთი ქართული
წყაროს ცნობით, მერვანის ლაშქარი კავკასიას „მოეფინა, ვი-
თარცა ლრუბელი ბნელი, სიმრავლითა, ვითარცა მკალი (კა-
ლია) და მუმლი... და დაფარა პირი ქვეყნისა.“

არაბთა სარდალი წარმოუდგენელი სისასტიკით მოქმედობდა. მერვანისათვის არ ასებობდა სიტყვა შებრალება და არა-ვის არაფერს უგონებდა. სწორედ ამიტომ შეარქვებული შემთხვევა ველებმა ზედმეტ სახელად „ყრუ“, ხოლო სომხებმა — „ავარიანშან“, რაც ამაოხრებელს ნიშნავს.

საქართველოში შემოსულმა მერვანმა, ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა.“ ქართლის მმართველები და წარჩინებულნი ეგრისში გადაიხვეწნენ.

ქართლის აოხრების შემდეგ მურვანი თავისი ლაშქრით დასავლეთ საქართველოში გადაეიდა და „შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქუეყანისანი.“ სხვათა შორის არაბებმა დაანგრიეს ეგრისის დედაქალაქი ციხე-გოჭი (ნოქალაქევი), რომელსაც სამშაგი გალავანი ჰქონდა შემოვლებული. შემდეგ მერვანმა გადალახა კელასურის გამავრებული კედელი — ბიზანტიისა და საქართველოს მაშინდელი საზღვარი და დაანგრია ქალაქი ცხეუმი (სოხუმი).

ქართველები ყველგან მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ შემოსეულ მტერს. იმერეთში მერვანს დიდი ზიანი მიაყენეს არგევთის მთავრებმა დავით და კონსტანტინემ. ისინი სათავეში უდგნენ ზემო იმერეთის ლაშქარს. ქართული წყაროს მიხედვით, გაგულისებულ მერვანს უთქვამს თურმე, ვინ გაკადნიერდა ისე, რომ ეწინააღმდეგება ლვთის უდიდეს მოციქულს მაპმედსო და დავითი და კონსტანტინე დაუტყვევებია. ლამაზი და ტანაზი ჭაბუკები მერვანს მოსწონებია და არ უნდოდა თურმე დაეხოცა. შეპირებია, მიიღეთ ჩვენი სჯული და პატივსა და სახელს მოგანიჭებოთ. სამშობლოს ერთგულმა ვაკეაცებმა დამცურობელთა პატივს გმირული სიკედილი არჩიეს. მერვანის ბრძანებით, დავითი და კონსტანტინე საპყრობილები ჩააგდეს. ერთი კეირა არც ავამეს, არც ასვეს და გაწამებულები კვლავ მერვანს წარუდგინეს. მერვანმა ისევ შესთავაზა, სჯული გამოიცვალეთ და სახელსა და დიდებას გწევთო. უდრეკი და მამაცი ქართველები ვერ გადაიბირა არაბთა მეთაურმა. გაგულისდა სარდალი, ბრძანა, ტყვეებს ტანთ გახადეთ, თავდაღმა ხეზე ჩამოკიდეთ და ჯოხებით ჯვემეთო. ფილხანს სცემ-

დნენ, გვერდნენ, სულერთიანად გაალურჯეს. მერე ჩატოხსნები, ყელზე ქვები მოაბეს და რიონში გადაყარეს.

თანამემამულეებმა დალუპულ გმირთა გვამები შემცირდება და ქალაქ ქუთაისის მახლობლად, მდინარე წყალწითელას ნაპირას ღამისაფლავეს. გადმოცემით, საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის (1027—1072 წწ.) ბრძანებით, წამებულთა საფლავთან მოწამეთას მონასტერი ააგეს. გმირთა გვამები კი საფლავიდან ამოიღეს, ორივეს ერთი კუბო გაუკეთეს და მონასტრის შიგნით დაასცენეს.

საქართველოს ოოხრების შემდეგ მერვანმა დაამარცხა ხაზარები, დაარბია და ააოხრა დალესტნის მთიელი ტომების მიწა-წყალი, ცეცხლსა და მახეილს მისცა აზერბაიჯანი და სომხეთი. გულქვა სარდალი ყველგან შეუბრალებელი იყო. მას ძალიან გაუჭირდა აზერბაიჯანში ქალაქ შექის აღება. შექელები ერთ თვეს უმკლავდებოდნენ არაბებს. აიღო თუ არა ქალაქი, მერვანი, ქალაქის ჭიშკართან დაღვა და უბრძანა მეომრებს, ტყვეები მომგეარეთო. იდგა და თავისი ხელით სჭრიდა თავს შექელებს. მტერმა აზერბაიჯანსა და სომხეთშიც დიდი ნადავლი ჩაიგდო ხელთ. ხარჯის ანგარიშში მიჰყავდათ აღამიანებიც. ყოველწლიურად რამდენიმე ჭაბუკსა და ქალიშვილს მიჰვრიდნენ ხოლმე სარდალს და ისიც არაბეთს გასაგზავნად ულამაზესებს არჩევდა.

მერვანმა კაცებისია მოსრა და მოთხარა. ჭუანშერის სიტყვით: „იქმნა მას ქამსა განრყუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა და არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამალი კაცთა და პირუტყვთა ყოვლადვე.“

743—44 წლებში სახალიფოში შინაური ბრძოლა გამშვავდა და მერვანმა დედაქალაქს მიაშურა. მალე მერვანი ხალიფა გახდა. 750 წელს ის მოკლეს. სახალიფოს სათავეში აბასიანთა დინასტია ჩაუდგა. არაბთა სახელმწიფოს დედაქალაქი კი ახლადდაარსებულ ქალაქ ბაღდადში გადაიტანეს. ამ დროიდან არაბთა სახელმწიფოს ბაღდადის სახალიფოსაც უწოდებენ.

ამგვარად, ერთი საუკუნე მოუნდნენ არაბები, საბოლოოდ დამკვიდრებულიყვნენ სომხეთში, ქართლსა და ალბანეთში. (დასავლეთ საქართველოში არაბებმა ვერ შეძლეს ფეხის მომაგრება). არც სომხები, ქართველები და ალბანელები უდებდ-

ნენ თავს. იბრძოდნენ ყველგან და ყოველთვის, როცა კი
დროს მოიხელთებდნენ. 748—750 წლებში სამივე ქაფუნდებოდა
სახალხო აჯანყებამ იფეთქა. არაბებმა აჯანყება ჩააქრეს და
მოსახლეობა სისხლში ჩაახტჩვეს.

არაპთა ბათონობის სიმიზ

აბასიანთა დინასტიამ დაპყრობილ ქვეყნებს უფრო მოუჭი-
რა ხელი. ბალდადში ქვეყნის ყველა ნაწილიდან დაუსრულე-
ბელ ნაკადად მიეღინებოდა სამხედრო ნადავლითა და ხარკით
დატვირთული ქარავნები. სახელმწიფოს თითქმის ერთადერთი
შემოსავალი სწორედ ნადავლი და ხარკი იყო. კომლობრივი
გადასახადის ჭიშიათის გარდა დაპყრობილი ქვეყნების მოსახ-
ლეობა იხდიდა საადგილ-მამულო გადასახადს — ხარაჭას. ხა-
რაჭას იხდიდნენ მიწის რაოდენობაზე და ხარისხსა და შემო-
სავლიანობას მნიშვნელობა არ ჰქონდა.

დაწესებულ გადასახადზე პასუხისმგებლობა თემს ეკისრე-
ბოდა და არა ცალკეულ კომლებს. თუ თემის რომელიმე გაღა-
ტაკებული წევრი ვერ გადაიხდიდა გადასახადს, მის მაგიერ-
თემს უნდა გადახსადა. გადასახადების მთელი სიმძიმე მშრო-
მელს აწვა კისერზე. ადგილობრივმა ფეოდალებმა პრივილე-
გიები დაკარგეს და საკუთარი ყმების ექსპლოატაცია გააძლიე-
რეს.

მძიმე გადასახადებისაგან თავის დაღწევის მიზნით, გლეხო-
ბა მამაპეული ადგილებიდან გარბოდა. იმისათვის, რომ გაქ-
ცივა აღეკვეთათ, ხალიფას საგანგებო ბრძანებით, ყმებს კი-
სერზე ტყვიის ფირფიტას ჰკიდებდნენ. ფირფიტაზე ეწერა
ყმის მისამართი.

პატრიარქ მიხეილ სირიელის ცნობით, ბევრი მამა-პაპის
საფლავებს თხრიდა და ოქროსა და ვერცხლს ეძებდა, რომ გა-
დასახადები დაეფარა. „საყოველთაო უბედურება სუფევდა, —
საშინელი ტანგვა-წვალებით, სახრჩობელებითა და არაადაში-
ანური მოპყრობით ეღებოდა ბოლო ადამიანების სიცოცხ-
ლეს“, — წერს სომეხი ისტორიკოსი ლევონდი.

მსგავსი მდგომარეობა იყო საქართველოშიც. VIII საუკუ-

ნის მეორე ნახევრის ქართველი მწერალი იოვანე საჭაბულოვი /
როცა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის იძურულუსა-
დელ მდგომარეობას ახასიათებდა, წერდა: „ვართ... შესტკუმარებუ-
ბასა ქუეშე დამონებულ და ნაკლულოვანებითა და სიგლაბა-
კითა შეკრულნი, ვითარცა რეინითა, ხარჯსა ქუეშე მათსა
გუემულნი და ქენჭნილნი, ძუირ-ძუირად ზღუეულნი“.

დაპყრობილი ქვეყნების მართვა-გამგებლობის გაუმჯობე-
სების მიზნით არაბებმა სახალიფო ოლქებად დაჰყვეს. ყოველ
ოლქს ხალიფას მოადგრლე — ამირა განაგებდა. ამირას ხელში
იყო ოლქის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება. ამირა
ასრულებდა უმაღლესი მსაჯულის მოვალეობასაც. ერთი ასე-
თი ამირა თბილისში იჯდა და მოხელეთა მრავალრიცხოვა-
ნი არმია ჰყავდა. მოხელეთა თვითნებობა, მათი თითქმის განუ-
საზღვრელი უფლებები სულ უხუთავდა ადგილობრივ მოსახ-
ლეობას.

ქართლში ამირაც იყო და ერისმთავარიც. ერისმთავარი
ამირას ემორჩილებოდა, მაგრამ დამპყრობლებს ესეც არ მო-
ეწონათ. IX საუკუნის დასაწყისში მოსპეს ქართლის ერის-
მთავრის ხელისუფლება და ადგილობრივი ფეოდალური არის-
ტოკრატიის უდიდესი ნაწილი გაელიტეს.

აბასინთა დროიდან დაპყრობილ ქვეყნებში ისლამის გავ-
რცელებაც დაიწყეს. არაბები სხვადასხვა საშუალებით ცდი-
ლობდნენ, ადგილობრივი მოსახლეობა გაემატმადიანებინათ.
იოვანე საბანისძის სიტყვით, არაბებმა „თავიანთი ყალბი სარწ-
მუნოებით მრავალნი შეაცდუნეს და გარდადრიკნეს გზისაგან
სიმართლისა... რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტ-
ყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნი-
მე მზაუარებით“.

ხაზარების უმოსება

მერვანის ლაშქრობის შემდეგ ხაზარების წინააღმდეგობა
საგრძნობლად გატყდა. ამ დროიდან მეოთხედი საუკუნის მან-
ძილზე ამიერქავებისიას ხაზარები აღარ შემოსევიან. მაგრამ ხა-
კანს სამხრეთით მძარცველურ ლაშქრობაზე არასოდეს არ აუ-

ლია ხელი. ხაյანის ამ მისწრაფებას ისიც აძლიერებდა, რომ ბუ-ზანტიის იმპერატორის კარი ყოველმხრივ ცდილობდა ქუთხა-შუბრა ბი გამოეყენებინა თავისი დაუძინებელი მტრის პარასკევისას წინააღმდეგ. ამ მიზნით, ბიზანტიის მთავრობა შეეცადა, პოლი-ტიკური კავშირი დაემყარებინა ხაზარების სახელმწიფოსთან. იმპერატორ ლევ ისავრიელის შეილი კონსტანტინე ხაյანის ასულზე (სხვა ცნობით დაზე) დაქორწინდა. ჩრდილოეთის დე-დოფალი კონსტანტინოპოლიში მონათლეს და ირინე დაარქვეს. მის შვილს — ლევ IV-ს ზედმეტ სახელად „ხაზარს“ ეძახდნენ.

VIII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ხაზარებმა ამი-ერქავებასის ტერიტორიაზე განაახლეს ბრძოლა არაბების წი-ნააღმდეგ. 764 წელს ისინი დერბენდის გზით ალბანეთში შე-იჭრნენ, ქვეყანა დაარბიეს და ხელთ იგდეს საქონლის ჯოგები და ცხენების რემა. შემდეგ ხაზარები აღმოსავლეთ საქართვე-ლოში შემოვიდნენ და ობილის ააოხრეს. ერთ-ერთი ქართვე-ლი მემატიანე გადმოგვცემს, რომ ქართლის მაშინდელ ერის-მთავარს ჯუანშერს სილამაზით სახელგანთქმული უმცროსი და ჰყოლია. სახელად შუშანი რქმევია. შუშანის მშვენიერე-ბის ამბავს ხაյანის ყურამდეც მიუღწევია. ხაյანს ჯუანშერისა-თვის მოციქული მიუგზავნია და უთხოვია, შუშანი ცოლად მო-მათხოვე და ქართლიდან არაბებს განგადვენინებო. ხაზარების ძლიერ სახელმწიფოსთან პოლიტიკური კავშირის დამყარება არც ისე ცუდი იყო ქართლისათვის, მაგრამ საღ და რეალურ პოლიტიკას რელიგიურმა მოტივმა სძლია. მემატიანის სიტყ-ვით, ჯუანშერმა ხაյანის სიტყვა თავის ძმას და დედას შეატყო-ბინა ეგრისში. მათ შემოუთვალეს: „უკეთუ უღონო იქმნეს ყოფა ჩუენი. უმჯობეს არს, რათა შევიღეთ საბერძნეთად და მივმართოთ ქრისტიანეთა, ვიდრელარა შეიგინოს შვილი ჩუენი წარმართთა მიერო.“ შუშანმაც უარი თქვა, ხაյანს ცოლად ვერ გავყვებიო.

გავიდა სამი წელიწადი. შეურაცხყოფილმა ხაյანმა ჯუანშე-რის წინააღმდეგ დიდძალი ჯარი გამოგზავნა. ჯარს სარდალი ბლუჩანი მეთაურობდა. ხაზარები პირდაპირ კახეთს მიადგნენ, იქ ეგულებოდათ ჯუანშერი და შუშანი. ილყა შემოარტყეს იმ ციხე-სიმაგრეს, სადაც ჯუანშერი გამაგრდა. რამდენიმე დღის ბრძოლის შემდეგ ხაზარებმა ციხე აიღეს და ტყვედ ჩაიგდეს



ერისმთავარი და მისი და. შემდეგ ბლუჩანმა „შემუსრა, ქაფუქუპა
ქი ტფილისი, წარტყუენა ქართლი და ყოველი ესე ქუფახაზე“ მოვა

არაბული წყაროს ცნობით, ამ ლაშქრობის დროს ქართლის
სამთავროში ხაზარებს აულიათ შეიძი პროვინცია, მათ შორის:
ჩელთი, წუქეთი, ველისციხე, თიანეთი, ხერკი და ტყვევი-
თა და ნადავლით დატვირთულნი უკან გაბრუნებულან.

ქართველი მემატიანე კი მოგვითხრობს, რომ ხაზარებმა
თან წაიყვანეს შუშანი და ჯუანშერი. გზაზე, სადღაც დარია-
ლის ხეობაში, შუშანმა უთხრა თურმე თავის ძმას: „უმჯობეს
არს ჩემთუის სიკუდილი, რათა ლირს მყოს მე უფალმან წმი-
დათა დედათა თანა, ვიდრელარა შეეიგინო წარმართთა მიერო.“
ხაյანის ცოლობასა და ტყვეობაში დამცირებას შუშანმა სიკუ-
დილი ამჯობინა. ის თან ატარებდა ხოლმე საწამლავს, რომელ-
საც ბეჭდის თვალში ინახავდა, „აღმოუგდო მას თუალი და
მოწოა იგი.“ ძლიერმა საწამლავმა მაშინვე იმოქმედა და შუ-
შანმა იქვე განუტევა სული. ხაյანი სასტიკად გაუჯავრდა თა-
ვის სარდალს, რატომ შუშანის გვამი არ მომიტანე, რომ მისი
სახე მეხილაო. ისე განრისხებულა ხაზართა მბრძანებელი, რომ
მისი ბრძანებით, ბლუჩანს ყელზე თოკი მოაძეს და „განზიდ-
ვად სცეს ორთა ცხენოსანთა იმიერ და ამიერ და მოსწყუიდეს
თავი მისი ბოროტად.“ ჯუანშერი შეიძი წელიწადს დარჩა ხაზა-
რებში ტყვედ, შემდეგ კი ხავანმა დიდად დაასაჩუქრა და ისე
გამოუშვა თურმე თავის ქვეყანაში.

როგორც არ უნდა ჰქონდეს ქართველ მემატიანეს გაზვია-
დებული შუშანის თავგადასავალი, ერთი რამ უიპვილი და ცხა-
დია: ქართლს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშეუმებული მურვან
ყრუს შემოსეებით მიყენებული კრილობა, რომ ხაზარებმა
ახალი უბედურება დაატეხეს თავს.

გამათავისუფლებელი პროლეატი VIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხეული

VIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ამიერკავკასიის ხალხთა
განმათავისუფლებელი მოძრაობა თანდათანობით იზრდებოდა.
ხაზარების წასვლიდან ორიოდე წლის შემდეგ კახეთი აჯანყდა

არაბების წინააღმდეგ. ამიერკავკასიის მმართველად ხალიფას დანიშნული არაბი სარდალი ვერას გახდა და თავისუფრთხოების ბეჭედს სთხოვა, დამხმარე ჯარით მომეშველეო. ხალიფამ ოცია-თასიანი რჩეული ჯარი გამოგზავნა. არაბთა დამსჯელი რაზმე-ბი ცეცხლითა და მახვილით მოედვნენ კახეთის მთა-ეელს. ის-ტორიკოს იაკუბის სიტყვით, არაბები არავის იბრალებდნენ, ხოცავდნენ ჩვილს, მხცოვანს, ქალს, კაცს. შარტო ერთი დღის ბრძოლაში მტერმა 16 000 ქართველი გაწყვიტა. იმავე ავტო-რის ცნობით, არაბებს ამიერკავკასიაში და, კერძოდ, აღმოსავ-ლეთ საქართველოში, იმ დროს, ორჯერ ულაშერიათ: 766-67 და 771-72 წლებში.

ოღნიშნულ მოვლენებთან უნდა იყოს დაკავშირებული ქარ-თლის ერისმთავრის ნერსეს თავგადასავალი, რომელიც მოთხ-რობილია იოვანე საბანისძის თხზულებაში. როგორც ჩანს, ნერსეს აჯანყებაში აშეარა მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ის რომ არაბების წინააღმდეგ მოქმედებდა, უეჭველია. ამას ადასტურებს იოვანე საბანისძის მონათხრობი. ნერსე ხალიფას-თან დაუბრეზებით, ქართლის ერისმთავარი ხალიფას ბალდალ-ში დაუბარებია და საპყრობილები ჩაუსვამს. ნერსე სამი წე-ლიწადი მჯდარა ბალდადის ციხეში.

774 წელს სომხეთში დაიწყო დიდი აჯანყება. აჯანყებას სათავეში არტავაზდ მამიკონიანი ჩაუდგა. არტავაზდი დვინიში ჩავიდა. აქ მან არაბებს თავი ერთგულად მოაჩვენა, ჯარი შეაგ-როვა და შეაიარალა, თქვენს მტრებს უნდა შევებრძოლოთ. შემ-დეგ მოულოდნელად თავისი ჯარით სოფელ კუმაირში (ახლან-დელი ლენინაკანი) თავს დაესხა ხარჯის ამკრეფ არაბ მოხელე-ებს და ამოხოცა. აჯანყებულნი ცდილობდნენ, დასავლეთისა-ძენ გაპრილიყვნენ და შეერთებოდნენ ბიზანტიის მესაზღ-ვრებს. არაბების ლაშქარი მათ კვალდაკვალ მისდევდა და სამ-ცხეში დაეწია. არტავაზდი ევრისში გადავიდა და იქ გამაგრდა.

775 წლის აჯანყებამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. სომეხ-თა ლაშქარმა მუშელ მამიკონიანის მეთაურობით დიდ წარმა-ტებას მიაღწია. არაბები ციხე-სიმაგრეებში ჩაიკეტნენ და გა-რეთ გამოსვლას ეერ ბედავდნენ. პირველი წარმატებები იმდე-ნად დიდი იყო, რომ სომხებს ევონათ, არაბთა ბატონობა უკ-ვე დამთავრდა. შეშინებულმა ხალიფამ ოცდაათიათასიანი

რჩეული ჭარი გამოვზავნა აჯანყების ჩასაქრობად. ვანის ტრის
მიდამოებში სისხლისმღვრელსა და გმირულ ბრძოლაში ცირქულაცია
ბი დამარცხდნენ.

775 წელს ხალიფა გარდაიცვალა. ახალმა ხალიფამ ქართ-
ლის ერისმთავარი ნერსე საპყრობილიდან გაათავისუფლა და
სამშობლოში გამოისტუმრა. ნერსემ ისევ განაგრძო დამპყრობ-
თა წინააღმდეგ ბრძოლა. ამის გამო „კუალად იყო განრისხება
ხელმწიფეთა მათ სარკინოზთა (ე. ი. არაბთა) ნერსე ერისთავ-
სა ზედა... ჩამეთუ სასტიკად პბრძოდეს მას სარკინოზთა ერი“
(იოვანე საბანისძე). ნერსე იძულებული გახდა, ჯერ თავისი
ოჯახი და ახლობლები გაეხიზნა, ხოლო შემდეგ თვითონაც,
დიდი ამალით, ხაზარეთის გზით, აფხაზეთში გადასულიყო. ბო-
ლოს ნერსე ისევ შეურიგდა არაბებს და თბილისში დაბრუნდა.

VIII საუკუნის 90-იან წლებში (793-794 წწ.) აზერბაიჯან-
ში ითეთქა აჯანყებამ არაბების წინააღმდეგ. აჯანყებულთ სომ-
ხებიც შეუერთდნენ. არაბმა ამირამ ქალაქ დვინის ციხე-სიმაგ-
რეს შეაფარა თავი. აჯანყებულებმა დვინი ოთხი თვე ალყაში
მოამწყვდიეს, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდნენ.

ამრიგად, VIII საუკუნის უკანასკნელმა ბრძოლებმაც ვერ
გაათავისუფლეს სომხეთი, ალბანეთი და ქართლი არაბთა ბა-
ტონობისაგან. აჯანყებები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა
ადგილას იწყებოდა. ადგილობრივი ფეოდალები ერთმანეთის
მოწინააღმდეგე ბანაკებად იყვნენ გაყოფილი და განმათავი-
სუფლებელ მოძრაობას მიზნის ერთიანობა აკლდა. აჯანყებებ-
მა მაინც თავისებურად იმოქმედეს და დამპყრობთა ბატონობა
რამდენადმე შემსუბუქდა.

იდეოლოგიური პროცესი კართლში არაბების წინააღმდეგ

დამპყრობლებს ფეოდალთა კლასი იდეოლოგიური გზითაც
ებრძოდა. იმ დროს გაბატონებული იდეოლოგია რელიგია
იყო. ქრისტიანული ეკლესია არაბების წინააღმდეგ ქრისტია-
ნობის დაცვის ლოზუნებით იბრძოდა. მშრომელ ხალხს უცხო-
ელიც ტვირთად აწვა და ადგილობრივი დიდეკაციობაც. ამიტომ
მშრომელი მასა ხან ერთს უმკლავდებოდა და ხან მეორეს.



ბრძოლა მშრომელებსა და ფეოდალუბს შორის განკუთხულებული ბით მშვიდობიანობის დროს ძლიერდებოდა. ამრიგოდა, დამატებულ რობთა წინააღმდეგ ბრძოლა კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში ხდებოდა.

არსებული წყობილების შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით ვაბატონებული კლასი, — საერო და სასულიერო ფეოდალები, — მშრომელებს უქადაგებდა, სილარიბისა და უბედურების ერთადერთი მიზეზი უცხოელთა ბატონობაა, თორეს უცხოლანი ტკბილად და უზრუნველად ვიცხოვრებდითო. ასეთი ქადაგება ხალხის მასებში უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის სტიმულს ზრდიდა, რწმენას ჰმატებდა სულიერად და ცემულებს.

786 წლის 6 იანვარს თბილისში ამირას ბრძანებით თავი მოჰკვეთეს ერთ არაბს, რომელიც გადაუდგა თავის სარწმუნოებას და ქრისტიანად მოინათლა. დამპყრობელთა წინააღმდეგ სახალხო მოძრაობის იდეოლოგებმა ეს ფაქტი თანამემამულეებში ეროვნული დამოუკიდებლობისა და სიამაყის შეგნების გასალვივებლად გამოიყენეს. VIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლში ასეთ იდეოლოგებსა და მქადაგებლებს შორის ცნობილი არიან ქართლის მაშინდელი კათალიკოსი სამოელი და მწერალი იოვანე საბანისძე.

სამოელ კათალიკოსის შეკვეთით იოვანე საბანისძემ დაწერა აბოს მოღვაწეობისა და წამების ისტორია.

აბო 17-18 წლის ყმაწვილი იყო, როცა ბალდაღში გაიცნო ქართლის ერისმთავარი ნერსე. ტყვე ნერსეს სულიერმა სიმტკიცემ დიდი ზეგავლენა იქნია არაბ ჭაბუქზე. როცა 775 წელს, ახალმა ხალიფამ ნერსე ციხიდან გაათავისუფლა, აბოც წამოჰყვა ქართლში. თბილისში მან შეისწავლა ქართული ენა და საფუძვლიანად გაეცნო ქრისტიანულ სარწმუნოებასა და ზნეივეულებებს. მოეწონა ქრისტიანთა აღათ-წესები და მაპმადიანობას განუდგა. როცა არაბებისაგან დევნილი ნერსე ხაზარეთში გადაეიდა, აბოც თან გაჰყვა, იქ მოინათლა კიდეც. შემდეგ, ნერსესთან ერთად აფხაზეთს ეწვია. აფხაზეთს იმ დროს პიზანტია მფარეველობდა. ქრისტიან აბოს შესთავაზეს, დარჩენილიყო აფხაზეთში, მაგრამ ნერსე არაბებს შეურიგდა, თბილისში გადმოვიდა და აბოც თან გადმოჰყვა.



თბილისში აბო სამი წელიწადი თავისუფლად მუდუღწეოუტკა
და, ადგილობრივ არაბებში ქრისტიანობის პროპაგანდის მუწეს
ოდა. ბოლოს ის ამირასთან დააბეზლეს. დამბეზლებლებმა ამი-
რას მოახსენეს, თუ აბო სიკვდილით არ დაისაჯა, მრავალნი
მის მაგალითს მიჰბაძავენო. ამირამ ბრძანა, შეიძყარითო, მსა-
ხურებმაც შეიძყრეს და თავიანთ მბრძანებელს მიჰვარეს.

მბრძანებელმა აბოს გამოჰყითხა, რისთვის უარყო მაპმა-
დის რჯული და ურჩია, შეცდომა გამოასწორე, ისევ დაუბრუნ-
დი მშობლიურ სარწმუნოებასო. აბო ამირას შეეკამათა, ქრის-
ტიანობა მაპმადიანობასთან შედარებით უკეთესი სარწმუნოე-
ბააო და თან დასძინა, რომ ის ყოველთვის დარჩებოდა ამ ჭეშ-
მარიტი რჯულის მატარებელი.

მბრძანებელი ხან დაემუქრა აბოს, ხან ოქრო და ვერცხლი
შეაძლია, მაგრამ მტკიცე ნებისყოფის ვაუკაცმა უკან არ დაიხია
და ბოლოს ასე მიმართა ამირას:

— „ოქროს და ვერცხლი შენ თანავე იყავნ წარსაწყ-
მელელად თავისა შენისა; მე პატივსა კაცთაგან არა ვეძიებ,
რამეთუ მაქუს მე ნიჭი ქრისტეის მიერი, გუირგვინი ცხორები-
სა და უხრწნელებისად და პატივი საუკუნოჲ ცათა შინა.“

განრისხებული ამირას ბრძანებით, აბოს ხელ-ფეხი შეუ-
ბორკეს და საპყრობილები ჩააგდეს. ცხრა დღეს აწამეს, გვე-
მეს და ცემეს. მეათე დღეს ისევ ამირას წარუდგინეს. დარბა-
ზის კარებზევე აბომ პირველი გადაიწერა. გაავდა მბრძანებე-
ლი, მაგრამ თავი შეიკავა და მოფერებით სცადა, აბო გადაე-
ბირებინა. მერე ისევ სიკვდილით დაემუქრა, ქრისტეს სჯულს
უგუნური უწოდა. აბომ მიუგო:

„...ვითარცა კედელსა მაგას, რომელსა მიყრდნობილ
ხარ, ეგრე არა მესმიან ცუდნი ეგე სიტყუანი შენი. რამეთუ
გონებაა ჩემი ქრისტეის თანა არს ზეცას!“

ამირას მოთმინების ფიალა აევსო. დარწმუნებულმა, რომ
ვერც დაპირებითა და ვერც მუქარით ვერ მოარჩულებდა,
ბრძანა, თავი მოკვეთეთო.

786 წელს, 6 იანვარს, ორმოცი მოწამის სახელობის ეკლე-
სიის შესასვლელთან, აბოს თავი მოპკვეთეს. მისი გვამი ჯალა-
თებმა ურმით საზოგადოებრივ სასაფლაოზე, ყოფილი მეტე-
ნის ციხის ახლოს, წაიღეს, აქ გვამს ნავთი გადაასხეს და ღაწ-



ვეს, ფერფლი და ძვლები კი ცხვრის ტყავში გაახვიუს და ჩრდილოება რში გადაყარეს.

იოვანე საბანისძე ქრისტიანული იდეოლოგიის დიდი მწარავებელი იყო. მისი აზრით, ქრისტიანობა ქართველი ხალხის ეროვნული არსებობის საფუძველია. აბოს წამების ამბავი მან მშვენიერად გამოიყენა არაბთა ბატონობის იმ შავბნელ დროში, რომ ადამიანები გაემხნევებინა.

იოვანე საბანისძე ამ ნაწარმოებით ქართველ ხალხს ეუცხებოდა: აი, შეხედეთ, როგორია ჩვენი სჯული, ჩვენი ზნე-ჩვეულება! მისი გულისათვის თვით არაბმა გასწირა სიცოცხლე და, ჩვენ, ქართველები, მონობისა, ტირილისა და გოდების ნაცვლად, მოვალენი ვართ, მედგრად შევებრძოლოთ ჩვენს მჩაგვრელებსო. ასეთ ქადაგებას, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მებრძოლი ხალხის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისათვის.

ბაზეპის აჯანყება

სახალიფოში ფეოდალური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი და სხვადასხვა ზნე-ჩვეულებების მქონე ხალხი ნაძალადევად იყო გაერთიანებული. ამიტომ მისი სიმტკიცე მოჩვენებითი გამოდგა. გარეგანი ბრწყინვალების მიუხედავად, VIII საუკუნიდანვე დაეტყო დაშლის პირეელი ნიშნები. მძლავრი სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად სახალიფო განსაკუთრებით IX საუკუნიდან დასუსტდა. ამირები ხალიფის განუდგნენ და ადგილობრივი ფეოდალური სამთავრო-სამეფოები ჩამოაყალიბეს. IX საუკუნეში ბალდადის სახალიფოს გამოეყვნენ: ეგვიპტე, შუა აზია, ირანი, ავღანეთი და სხვა ქვეყნები.

არაბთა ბატონობამ ნაწილობრივ შეაფერხა ფეოდალურად შედარებით განვითარებული ქვეყნების წინსელა, მაგრამ მისი შეჩერება მაინც ეკრ შეძლო. ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში ფეოდალური ურთიერთობა წინ მიღიოდა და მტკიცდებოდა. VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში ჩამოყალიბდა ახალი ფეოდა-



ლური სამთავროები: დასავლეთ საქართველოს ფერდალური სამთავრო, რომელსაც მმართველი დინასტიის მიხედვით „აფხაზთა სამეფო“ ეწოდა, ტაო-კლარჯეთის, კახეთისა და პერეთის სამთავროები, თბილისის საამიროც, რომელიც სულ უფრო და უფრო ამელივნებდა სახალიფოსაგან გამოყოფის ტენდენციას, თანდათანობით ადგილობრივ ფეოდალურ სამთავროდ იქცა.

სახალიფოს დაშლის ტენდენციისა და მისი დასუსტების ხანაში გაძლიერდა დამორჩილებულ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა. IX საუკუნის პირველი ათეულიდან ეს მოძრაობა აზერბაიჯანში გლეხთა დიდ ომში გადაიზარდა. აჯანყება სამხრეთ აზერბაიჯანში დაიწყო 808 წელს და ოცდაათი წელიწადი გაგრძელდა. აჯანყება მიმართული იყო, როგორც არაბი დამპყრობლების, ისე ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგაც. 816 წელს სახალხო ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა ბაბეკი. მან თავი გამოიჩინა, როგორც სახალხო ვმირმა და ნიჭიერმა მხედართმთავარმა.

მეტად მძიმე იყო ბაბეკის ბავშვობა. მას მამა აღრე გარდა-ეცვალა და დედამისი იძულებული გახდა, ხელშე მოსამსახურედ დამდგარიყო. 10 წლის ბაბეკი მწყემსად დაუდგა ერთ მდიდარ მეჭოებს, შემდეგ დიდხანს აქლემების ქარავანს უვლიდა და ბოლოს თავრიზში ხელოსნობის შესწავლას მიჰყო ხელი. ბავშვობიდანვე მძიმე შრომამ, ხალხის ცხოვრების პირობებზე დაკვირვებამ ახალგაზრდა ბაბეკი არსებული სინამდვილისადმი სიძულევილის გრძნობით განაწყო. 18 წლის ვაბეკი ჩაება აზერბაიჯანში დაწყებულ სახალხო მოძრაობაში და მალე მისი ბელადი გახდა. აჯანყებამ მოიცვა ერცელი ტერიტორია. მასში მონაწილეთა რიცხვმა რამდენიმე ასეულ ათასს მიაღწია. ხალიფას მიერ გამოგზავნილი ლაშქარი ზედი-ზედ დამარცხდა. აჯანყდნენ სომხეთის და აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებშიც. ბაბეკმა მათთან კავშირი დაამყარა. ალბანთა და ქართველთა შეერთებულმა რაზმებმა სოფელ გვაჩ-ში (ახლანდელი ყვარლის რაიონი) სასტიკად დაამარცხეს არაბების ჯარი.

მეათე საუკუნის არაბი ისტორიკოსის მასუდის სიტყვით, „ბაბეკის მოძრაობამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო, მისი გავ-



ლენა ძლიერ გაიზარდა, ლაშქარმაც იმდენად იმატა, რომ მას უფლებელი დამ მოისპო აბასიანთა სამეფო.“ მეორე არაბი ისტორიკოსის — ტაბარის (IX—X სს.) ცნობით, აჯანყებამ არაბებში უდიდესი დაბნეულობა გამოიწვია, დამპყრობლები შიშის ზარმა მოიცა.

ბაბეკის აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს ფეოდალებმაც. ისინი შეეცადნენ, სახალხო მოძრაობა საკუთარი კლასობრივი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ.

834 წელს ჰამადანთან (ირანი) სისხლისმღვრელ ბრძოლაში ბაბეკის ლაშქარმა დიდი ზარალი ნახა. მან დაკარგა 60 ათასამდე მებრძოლი. შემდეგ წელს ხალიფამ ახალი, უზარმაზარი და კარგად შეიარაღებული ჯარი გამოგზავნა აჯანყების ჩასაქრობად. აჯანყებულთა რიგები თანდათან მცირდებოდა. ამავე დროს ფეოდალები ხედავდნენ, რომ აჯანყებული გლეხობა მათ წინააღმდეგაც მოქმედებდა და ამიტომ მტერს ეხმარებოდნენ.

ერთ-ერთ ბრძოლაში არაბებმა ტყვედ ჩაიგდეს ბაბეკის ვაჟი. არაბთა სარდალი შეეცადა, ბაბეკი დაეყოლიებინა და ნებაყოფლობით დაემორჩილებინა. ბაბეკის ვაჟი აიძულა მამისათვის მიეწერა, წინააღმდეგობის შემდგომი გაგრძელება უაზრობააო. შეიღი სწერდა მამას, სარდალი სიცოცხლეს შეგინარჩუნებს, თუ წინააღმდეგობას შეწყვეტო. უსაზღვროდ აღმუოთდა ბაბეკი და შეიღს მისწერა: შენ რომ ჩემი შვილი იყო, ჩემს კვალს გაჰყვებოდი, მაგრამ არა ხარ ჩემი შვილიო. სჭობს, ერთი დღე იცხოვრო თავისუფლებაში, ვიდრე ორმოცი წელი საცოდავ მონობაშიო.

837 წელს არაბებმა აიღეს აჯანყებულთა უკანასკნელი ციხე-სიმაგრე ალბანეთში. თანამებრძოლებთან ერთად ბაბეკმა მტრის ალყა გაარღვია, მაგრამ ერთმა ალბანელმა ფეოდალმა, რომელიც ადრე აჯანყებაში მონაწილეობდა, ბაბეკი გასცა, იგი შეიძყრეს და არაბებს გადასცეს.

იმავე წლის 14 სექტემბერს არაბებმა საშინლად აწამეს და ისე მოკლეს ბაბეკი. სახალხო გმირი სიკვდილსაც გმირულად შეხედა. დასჯის წინ სიძულვილით გადახედა მის ირგვლივ მდგომ არაბებს და თქვა: როგორ ვწუხვარ, რომ არ დამცალდა, მომესპო ყველა ეს ძალლი! ჯალათებმა ბაბეკს ხელი მოჭრეს.

ბაბეკმა სახე საკუთარი სისხლით შეიღება და განაცხადა: ცა-
ცა კაცი კვდება, ის ფიტრდება ხოლმე, მე კი არ მიწდა. ჩემი
მტრები გაფიტრებულს მხედავლნენო. შემდეგ ბაბეკი მომდევნობის
მოსპრეს და ბოლოს თავიც მიაყოლეს.

ბაბეკის მეთაურობით წამოწყებული აჯანყება უველაზე
უფრო დიდი სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო
შუა საუკუნეების ისტორიაში. აჯანყებამ საგრძნობლად დაა-
სუსტა სახალიფო და ქართველებს, სომხებს და არაბების მიერ
დამორჩილებულ სხვა ხალხებს გაუადვილა ბრძოლა მტრების
წინააღმდეგ.

ბულა თურქის უამოსი

ბაბეკის ღამარცხების შემდეგ არაბებმა ამიერკავკასიაში
თავიანთი შერყეული ბატონობა დროებით აღადგინეს. ხალიფა
შუთავაჭილმა ბრძანა, ხარკი აკრიფეთო და არაბი მოხელეე-
ბიც ცეცხლითა და მახვილით შეუდგნენ გადაუხდელი ხარჯის
აკრეფას. ახალმა რეპრესიებმა ხალხის ახალი მოძრაობა გამო-
იწვია. პირველად აჯანყდნენ სომხები IX საუკუნის შუა წლებ-
ში. არაბთა დამსჯელ რაზმს გმირულად აღუდგნენ წინ სამხრეთ
სომხეთის ერთი მთიანი მხარის — სასუნის მცხოვრებლები. სომებთა
ეს გმირული ბრძოლა უდევს საფუძვლად სომხურ
ხალხურ ეპოსს „დავით სასუნელს“. IX—X საუკუნეებში
„დავით სასუნელი“ ზეპირად გავრცელდა ხალხში.

პოემაში ასახულია, როგორ გმირულად იბრძოდა სომები
ხალხი თავისუფლებისათვის, როგორი დიდი რწმენა პქონდა
უკეთესი მომავლისა, როგორ ესწრაფოდა მეზობელ ხალხებ-
თან მშვიდობიან და მეგობრულ ურთიერთობას. პოემის გმირს
დავითს ჰყავს ქართველი მეგობარი გორგიკი. დავითის შვილს
მჰერის ცოლად ჰყავს ქართველი ქალი. მჰერი სასუნში გაემგ-
ზავრა, შინ ცოლი დატოვა მცველად. განთიადისას ბიძის სახლ-
კარს რომ მიაღვა ამაყად თქვა:

„ჲე, ბიძაჩემო, გამოილვიძე,
იბლად დავაგდე ჩემი სახლ-კარი,
ქარებს ელვარე შუბი დარაჯობს,
შუბის მცველია ქართველი ქალი.“

პოემაში ხაზგასმულია აღამიანებისადმი ჰუმანური დამოუკიდებელის იდეა. როცა დავითმა დაამარცხა არაბების უკანასკნელი ხოცა ომში ძალდატანებით გამოგზავნილი მოლაშქრული გულას თავისუფლებულ ტუკის კი უთხრა:

„ვათავისუფლებ თეიოთეულ თქვენგანს
და საღაც უნდა, წავიდეს იქო!
თქვენგან არ მიშაქეს ნადავლიც,—გასწიო,
მოიხსენიეთ ჩემი სახელი...
იჯექით მშეოდად... ელოდეთ რისხევის,
თუ ხელშეორედ ხელი გვახელით!“

სომხეთში დაწყებულ აჯანყებას მალე გამოეხმაურნენ ქართლი და ალბანეთი. 852 წელს ხალიფამ დიდი დამსჯელი რაზმი გამოგზავნა ბულა თურქის მეთაურობით. სარდალს ხალიფამ დაავალა, აჯანყებულები გაწყვიტე და თბილისის ამირას კისერი მოუგრიხე, დიდი ხანია, არ მემორჩილებაო. ქართველი მემატიანის სიტყვებით, ბულამ „შემუსრა ყოველი სომხეთი და ტუშე ყვნა ყოველნი მთავარნი მათნი.“ სასუნის აჯანყება ჩააქრო, სომხეთი ააოხრა და „ზღვის ვეშაპი“ (ასე შეარქვეს ამ დაუნდობელ ჭალათს სომხებმა) — ბულა თბილისისაკენ წამოვიდა. ბულას თურქ-არაბთა ჭარში, სომხები ისტორიულისი — იომა არწრუნის ცნობით, ორასი ათასი მეომარი ითვლებოდა. ბულამ თვითონ მტკერის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ახლანდელი ავლაბრის რაიონში დაიბანაკა და თბილისის ამირას საპაკისმაილის ძის წინააღმდეგ თავისი სარდალი ზირაქი გაგზავნა. ზირაქი მტკერზე გავიდა და ქალაქის მოედანში შეიჭრა. თვით ბულა მტკერის მარცხენა სანაპიროზე ერთ მაღალ გორაქზე ასულიყო და იქიდან ადევნებდა თვალყურს ბრძოლის მიმდინარეობას. არაბები კუპრს ცეცხლს უკიდებდნენ და ქალაქში ისროდნენ. თბილისი ცეცხლის ალში გაეხვია. ამირა საპაკი შეიკურეს და ბულას ბრძანებით თავი მოპკვეთეს ამ „პატარა ტანის მოხუცს, მსუქანსა და დიდთავას, რომელიც მუქი ფერის პასმით ილებავდა თმას“ (ტაბარი).

ბულამ თბილისი გადაწვა და იღო 853 წლის 5 აგვისტოს, ჟაბათ დღეს.

შემდეგ ბულა „აფხაზთა სამეფოს“ და კახეთის სამთავროს

დაცერია. ამ სამთავროთა მეთაურები თბილისის ამირას შემდეგ
შინერები იყვნენ. 26 ავგისტოს ბულას სარდალმა შეკვეთული
ერისთავი კონსტანტი (კონსტანტინე) კახა, 85 წლის გმირთულის
კონსტანტის ბულამ წინადაღება მისცა, გამაპმადიანებულიყო.
მან სასტიკი უარი განაცხადა. მაშინ მოხუცი ტყვე ხალიფა მუ-
თავაქილთან გაგზავნეს.

— ჩემს ხელთა შენი სიცოცხლე, — მიმართა ხალიფამ
კონსტანტის. მიიღე სჭული ჩვენი და უარყავ ქრისტეს ცოორი-
ლება; ხოლო თუ არა, „სიკუდილითა მოპეუდე შენ პირითა
მახვილითა და ხორცი შენი მიესცნე საჭმელად მფრინველთა
ცისათა!“

— მე კარგად ვიცი, რომ შენ სრული „ხელმწიფება გაქუს
ხორცითა ჩემთა ზედა“ და არა სულზე, ამისათვის არა მეტინის
„მახვილისაგან შენისა“, — მშვიდად მიუგო ხალიფას მოხუცმა.

გაცეცხლებულმა ხალიფამ კონსტანტი საპყრობილეში ჩა-
ავდო. 853 წლის 10 ნოემბერს კი ხალიფას ბრძანებით გმირ
მოხუცს თავი მოჰკეთეს.

ბულას ლაშქარი ბრძოლას განავრძობდა. კახეთიდან ბულას
რაზმები მთიულეთში შეიტნენ. არაბებმა მორჩილების ნიშ-
ნად მთიულებს სამასი მძევალი გამოართვეს. ბულა ოსეთში
შეკრას ცდილობდა, მაგრამ მხოლოდ ცხავატამდე მიაღწია.
მთიულებს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა წარმომადგენელი,
აშორ კურაპალატის უმცროსი შვილი გუარამ მამფალი და
სომეხთა ერისთავი აბულაბაზი ავულიანებდნენ და არაბების
წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. მთიულებმა გას-
წირეს მძეველები და მტერს მედგრად შეიბრძოლნენ. ამ დროს
დიდი თოვლიც მოვიდა. არაბებს ძლიერ გაუჭირდათ. დამშეუ-
ლი ცხენები იელს დაესიენ და იხოცებოდნენ. დამარცხებული
ბულა იძულებული გახდა, საქართველოს გასცლოდა და ბარ-
დავში დაეზამთრა. აქედან მან ერთხელ კიდევ დალაშქრა კახე-
თი და ბოლოს გაეცალა ამიგრაციასიას.

ბულას ლაშქრობამ დიდი ზიანი მიაყენა აღმოსავლეთ სა-
ქართველოს. თბილისის აღების დროს ცეცხლში დაწვეს ხუთი
ათასამდე კაცი, „რადგან კუპრის ხანძარი განუწყვეტლად ბო-
ბოქრობდა დღისითაც და ღამითაც.“

ბულას ლაშქრობამ ვერ განამტკიცა არაბთა ბატონობა ამი-
ერკავკასიაში. სახალიფო თანდათანობით იშლებოდა.



914 წელს, ხალიფას ბრძანებით, სომხეთსა და ქართლის გამოვჩავნეს დამსკელი ექსპედიცია, რომელსაც სარდალი აბულ ყასიმი მეთაურობდა. ეს იყო არაბების უკანასკნელი დიდი ლაშქრობა ამიერკავკასიაში. როგორც წინათ, ამეამადაც ქართველები და სომხები ერთად იბრძოდნენ. არაბებმა ცეცხლს მისცეს სომხეთის მიწა-წყალი. დამარცხებული სომხების ერთმა ნაწილმა დასაცლეთ საქართველოს შეაფარა თავი.

სომხების ოხრების შემდეგ არაბთა სარდალი თბილისში შემოვიდა, აქედან კახეთს გადავიდა, აიღო უჯარმისა და ბოჭორმის ციხეები და კახეთის მთავარი აიძულა, ზავი დაედო.

არაბებმა კახეთში საქმეები მოაგვარეს და ისევ ქართლში გადმოვიდნენ. ქართველებმა წინასწარ დაანგრიეს უფლისცინის გალავანი, რომ არაბებს არ გამოეყენებინათ. ქართლიდან არაბთა ლაშქარი სამცხეში გადავიდა, ააოხრა სამცხე და ჯვახეთი, მაგრამ დიდი ცდის მიუხედავად, ვერ აიღო კარგად გამაგრებული თმოვეის ციხე. აქედან აყრილი არაბთა ჯარი ყუელის ციხეს მიადგა, რომელიც გურგენ ერისთავთ-ერისთავს დაუთვნოდა.

არაბებმა ყუელის ციხეს მჭიდრო ალყა შემოარტყეს. ქართველი მწერლის სტეფანე მტბევარ ეპისკოპოსის (X საუკუნე) სიტყვით, არაბების თეთრი კარვები, თოვლივით რომ შემორტყმოდა ყუელის ციხეს, ხუთ სოფელში ვერ დაეტეოდა.

ციხე დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა მცირერიცხოვან ჯგუფს გაემაგრებინა. არაბები კი ბევრნიც იყვნენ და კარგად შეიარაღებულნიც. მათ მრავალი ფილაკანი (ციხის კედლების სანგრევი მანქანები), რამდენიმე ასეული აქლემის ტვირთი ისრები და ჰოროლები (შუბები) ჰქონდათ. ციხის მცველებმა მაინც თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწიეს არაბებს. ბრძოლა სასტიკი და დაუნდობელი იყო. არაბთა ისრების წვიმამ ლამის მზე დააბნელა.

ადგილობრივ მცხოვრებთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ბავშვები, ქალები და მოხუცები საკუთარი მიწა-წყალიდან აყრილიყვნენ და აქარასა და შავშეთში შეეფარებინათ თავი. აქ იმდენი ხალხი მოყრილიყო, რომ თავის გამოკვება შეუძლებე-

ლი გახდა და დამშეულები კალიასავით ხის ფოთლებსა და ბაზარულის ჭამდნენ. ბევრი მიწისმუშა სამუშაოს ვერ სცილენტული მაგრამ არაბები იქერდნენ და უმოწყალოდ ხოცაელმუშაოთვაა

28 დღე-ღამეს გაგრძელდა სისხლისმღვრელი ბრძოლები შუელის ციხის გარშემო. განსაკუთრებით თავი ისახელა ახალ-გაზრდა მებრძოლმა გობრონმა, რომელიც სათავეში ედგა ციხის მცველებს. როცა არაბებმა ციხის გალავანი ააფეთქეს და ეზოში შეიჭრნენ, თავდამცველები გობრონის მეთაურობით ციხიდან გამოვიდნენ და განდევნეს მტერი. იერიში განახლდა. ციხის მცველთა რიგები შეთხელდა. ბრძოლის ველი გვამებით და დაჭრილებით მოიფინა. ცოცხლად დარჩენილები იძულებული გახდნენ, იარაღი დაეყარათ. არაბებმა ტყვედ იგდეს ორასი ქართველი და მათ შორის გობრონიც. აბულ ყასიმის ბრძანებით, ტყვეთა ერთი ნაწილი იქვე დახოცეს. გამდვინვარებული მტერი უიარაღო აღამიანებს შეუბრალებლად დაერია. მტერის ყოველი მეომარი იმას ცდილობდა, რაც შეიძლევა, მეტი ტყვე დაეხოცა. ისე მოქმედებდნენ, თითქოს რაიმე სიძლიდრის ხელში ჩაგდებას ესწრაფოდნენ. შეუბრალებელმა მტერმა, ზოგმა მახვილით, ზოგმა ისრით, ზოგმა დანებით და ჟუბებით ნაკუწ-ნაკუწად იქცია ტყვე ქართველები. გული რომ იჯერა, გულქვა აბულ ყასიმი საქართველოდან წავიდა და თან წაიყვანა ცოცხლად დარჩენილი ტყვეები, მათ შორის გობრონიც.

არაბი სარდალი ცბიერებით, მოფერებით, პატივისა და სატულის მინიჭების აღთქმით ცდილობდა, გადაებირებინა გობრონი და გაემაპმადიანებინა.

— მეცოდება მე შენი სიქაბუკე და შენი სიმამაცე, — ეუბნებოდა არაბი სარდალი გობრონს, — როგორც საყვარელ შეიღს, გირჩევ დატოვო შენი უგუნური სჯული, რომელმაც ვერაფერი არგო შენს მოყვრებს, აღიარე ჩვენი ჭეშმარიტი სჯული, მას მორჩილებს ყოველი და აღვითქვამ მოგცე გამგებლობა, რომლისა ოლქისასაც ისურვებ, მოგცე სასახლეები და დარბაზები, მონები, ტაძარი, აქლემები და გაგხადო შენ ჩემს რჩეულად, მოგანიჭო ლაშქარში პატივი!

გობრონი ვერ მოხიბლა მტრის დაპირებამ. მაშინ სარდალ-შა უბრძანა მსახურებს, გაეყვანათ და ეჩვენებინათ დახოცილ

თანამებრძოლთა გვამები, მომაკვდავი დაჭრილები. შემდეგ უჩვენებინათ სიმდიდრე და ჩაეგონებინათ, რომ დაჭყოფუსარღლის რჩევას. „ვინ უწყის, — უთხრა სარდალმა უშანულესობაში. შიშმან სიკულილისამან ანუ შესაძინებელმან კეთილისამან მოღრიყოს გული მისი“. მსახურებმა სარდლის ბრძანება აასრულეს და გობრონი ისევ მოჰვარეს მას.

— რა გამოიჩიიე თავისა შენისაი? — ჰქოთხა სარდალმა.

— პირველადვე გითხარ, რაიცა გამოვიჩიიე, — მიუგო გობრონმა.

არაბთა სარდალი შეეცადა, უკანასკნელი ლონე ეხმარა. მან უბრძანა მსახურთ, გაეყვანათ გობრონი და მის თვალწინ დაეხოცათ ქრისტიანი ტყვეები, თან გობრონიც, შესაშინებლად, მსუბუქად დაეჭრათ და ისევ მასთან მიეყვანათ.

მსახურებმა გობრონი ტყვეთა შორის ჩააყენეს. შემდეგ დაერივნენ ტყვეებს და ხოცა დაუწყეს. გობრონის წინაშე ეცვლნენ თავმოკვეთილი უდანაშაულო აღამიანები. მის ფეხობვეშ დახოცილთა თავები გორავდა. თვით გობრონიც დაჭრეს. გობრონი კვლავ წარსდგა სარდალ-მსაგულის წინაშე.

— მისმინე, ვითარცა კეთილისმყოფელს, — მიმართა სარდალმა გობრონს, ნუ წარწყმედ თავსა შენსა და დიდს პატივს ძოგაგებ.

— ჰქმენ, რაიცა გსურს, მე ქრისტიანი ვარ და ქრისტიანლვე მოვკუდები! — უშიშრად მიუგო ტყვემ.


როცა დარწმუნდა მბრძანებელი, რომ მისი ყოველგვარი ცდა ამაო იყო, ბრძანა სიკვდილით დაესაგათ გობრონი. 914 წლის 14 ნოემბერს გმირ ტყვეს თავი მოჰვეთეს.

* * *

IX—X საუკუნეებში არაბთა სახალიფოს დაშლის პროცესი მეტისმეტად გაღრმავდა. აბულ ყასიმის ლაშქრობის შემდეგ არაბებს ძალა აღარ შესწევდათ მორჩილებაში ჰკოლოდათ ამიერკავკასიის ხალხები. საქართველო IX საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე აღარ იყო არაბების მოხარკე. ქართული ფე-

ოდალური სამთავროები ეკონომიკურად და პოლიტიკურად
რეტიციცებოდნენ. ქვეყნის აუცილებელი განვითარება და მდგრადი განვითარების ანებას მოითხოვდა. 975 წელს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა-
წარმომადგენელი ბაგრატ III ქართლის მეფე გახდა. 3 წლის-
შემდეგ მისი ხელისუფლება დასავლეთ საქართველოშე გავრ-
ცილდა. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანე-
ბას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა...

არაბები კი სულ უფრო და უფრო სუსტდებოდნენ. XI სა-
უკუნეში არაბთა სამფლობელოების უდიდესი ნაწილი აზიაში-
თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს. ამიერიდან აღრე არაბთა ბატო-
ნობის ქვეშ მყოფ ხალხებს ახალი მტრების წინააღმდეგ მოუხ-
დათ ბრძოლა. ქართველები ამ ბრძოლიდან გამარჯვებულნი-
გამოვიდნენ. კახეთ-ჰერეთისა და თბილისის მიდამოების შემო-
ღროების შემდეგ 1122 წელს დავით აღმაშენებელმა თბილი-
სიც აილო და 400-ზე მეტი წლის განმავლობაში უცხოელთა
მფლობელობის ქვეშ მყოფი ქალაქი გაერთიანებული ფეოდა-
ლური ქვეყნის დედაქალაქიდ იქცა. საქართველო წინა აზიის-
უძლიერესი სახელმწიფო გახდა.



გ ი ნ ა რ ს ი

წინასიტყვა	3
I. ბრძოლა რომელი და პართელი-ირანელი დამპურობლების წინააღმდეგ...	5
პომპეუსის „შემოსევა“	5
ფარსიანი და ოროდი	19
რადამისტი და ზენობია	21
რომის იმპერია და სასანიანთა ირანი	24
ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის V საუკუნეში	29
II. ბრძოლა ბიზანტიიელი და ირანელი დამპურობლების წინააღმდეგ	39
„მიცვალებულები არ დამარხოთ!“	39
„საუკუნო ზავი“	42
ხოსრო I და იუსტინიანე	43
„მთავარი მეწერილმანე“	45
ხოსროს ლაშქრობა ეგრისში	47
პეტრიას ლაცება	48
შაჰის ეერაგული გეგმები	50
ომის განახლება	51
ირანელების განდევნა ეგრისიდან	52
ბრძოლა ცხენისწყლის ნაპირზე	54
აჯანყება აფხაზეთში	56
ბრძოლა პეტრიასათვის	57
ბრძოლა არქეოპოლისთან	60
„შეიცან თავი შენი!“	62
საომარი თპერაციები 553 წელს	64
ვერაგული მკელელობა	66
სახალხო კრება	71
„საცოდავებო, საცაა ამოწყდებით!“	75
ბრძოლა ფოთისათვის	76
მისიმიელთა აჯანყება	81
სისხლიანი ლამე	82
ზავი	84
ბიზანტიის გაელენის დამყარება საქართველოში	85
III. ბრძოლა არაბი დამპურობლების წინააღმდეგ	92
სახალიფო და დაპურობითი ომები	92
ამიერკავკასიის დაპურობა	97

არაპთა ბატონობის სიმძიმე	109
ხაზარების შემოსევა	107
განმათავისუფლებელი ბრძოლები VIII საუკუნის უკანასკნელ შეოთხედში	109
იდეოლოგიური ბრძოლა ქართლში არაპების წინააღმდეგ	111
ბაბეკის აფანიუება	114
ბულა თურქის შემოსევა	117
აბულ ყასიმის შემოსევა. გობრონის წამება	120

რედაქტორი ლ. გოგოხია
 მხატვარი გ. ვაშაკიძე
 მხატვ. რედაქტორი ი. ქლიბაძე
 ტექნიკური რედაქტორი ი. კიკნაძე
 კორექტორი ი. უშვერიძე

ზელმოწერილია დასაბეჭდად 20/X-66 წ.
 ქალალდის ზომა 84×1081/32
 ნაბეჭდი თაბახი 8
 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6
 ფი 00366 ტირაჟი 5.000 შეკვ. № 5070
 ფუსი 26 ქაპ.



Гучуа Виктор Гесаевич
ЗАГЛЯНЕМ В ПРОШЛОЕ
(На грузинском языке)

Детюониздат Грузинской ССР
«Накадули»
Тбилиси
1967

რ
094/1440



გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», ул. Марджанишвили № 5

სტამბა № 2, „ნაკადული“, თბილისი, ფურცელიძის ქ. № 5
Типография № 2, «Накадули», Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.

K 264.433
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
3

